[illegible] სახ. საჯ. [illegible] საჯარო [illegible] თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის – 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— ინდოეთში ფართოვდება ინგლისის საქონლის ბოიკოტი.
— რეინის ოლქის მესამე ზონის ევაკუაცია დამთავრდება 30 ივნისს.
— ინგლისი ახალ სამხედრო ძალებს ჰგზავნის ჩინეთში.
— გერმანიის კომპარტიის ბერლინ - ბრანდენბურგის რაიონის კონფერენციის გახსნა.
— ავსტრიელი მენშევიკები მხარს უჭერენ მუშათა თავდაცვის რაზმების დაშლას.
— „კომსომოლსკაია პრავდა"-ს დაჯილდოება ლენინის ორდენით.

სამშაბათი, 27 მაისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 121 (2769)

საქ. კომპარტიის (ბ) მეშვიდე ყრილობა

გაიხსნება ოთხშაბათს, 28 მაისს, საღამოს 6 საათზე
მელითონეთა კლუბში (პლეხანოვის პრ. № 123)
საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. გოგობერიძე.

კადრების პრობლემის გადაწყვეტით შევასრულებთ ხუთწლედს

მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე განვლილ პერიოდში პარტია უდიდესი გამძაფრებული მუშაობით სძლევდა ერთ-ერთ ძირითად და უდიდეს დაბრკოლებას სოციალიზმის გამარჯვების გზაზე—კადრების ნაკლებობას. პარტიამ სავსებით თავის დროზე, რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან შეფარდებით, ახალი სახით დასვა კადრების საკითხი.

პირველ თვეებში მე-15 ყრილობის შემდეგ პარტია ჩვენი მრეწველობის ძირითად დარგებში შახტის საქმის სახით წააწყდა ბურჟუაზიულ სპეციალისტთა ფართოდ დაყენებულ მავნებელ მუშაობას. შახტის საქმემ ცხადჰყო, რომ საერთაშორისო კაპიტალი, მავნებლებზე დაყრდნობით, სცდილობდა შეესუსტებია პროლეტარიატის სამეურნეო ძალა და გაეადვილებია საერთაშორისო იმპერიალიზმისათვის მომავალი სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

შახტის საქმის კლასობრივი სარჩულის გამომჟღავნებით პარტიამ მთელი სიმწვავით აღნიშნა იმის საჭიროება, რომ უნდა შეიცვალოს სამეურნეო და ხელმძღვანელი ტექნიკური კადრების შერჩევისა და მუშაობის და მუშათა კლასის წრიდან ახალი კადრების მომზადების პირობები. პარტიამ გადაჭრით აღნიშნა, რომ ჩვენი ახალი კადრების აღზრდა და სწავლება ცუდად ხდებოდა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში და წითელი სპეციალისტების მომზადება შეუწყნარებლად ნელა მიმდინარეობდა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1928 წლის ივლისში აღნიშნა, რომ სპეციალისტთა მომზადების არსებული სისტემა ორგანიზაციულად დაკავშირებული არ იყო მრეწველობასთან და რომ იგი არ შეეფერებოდა ჩვენი მრეწველობის მოთხოვნებსა და ტემპებს. მან განსაზღვრა გზა დისპროპორციის დაძლევისათვის სპეციალისტთა ახალი კადრების გამოშვებულ რაოდენობასა და რეკონსტრუქციის გზაზე დამდგარი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების მკვეთრ ზრდას შორის, მან დასახა მეთოდები ახალი კადრების ხარისხის ამაღლებისათვის ტექნიკური სკოლების მუშაობის მეთოდებისა და ფორმების ძირიანად შეცვლის საშუალებით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ ახალ სპეციალისტთა მომზადების ამოცანა მთელი პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცევა. საჭირო იყო, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, „დაგვეჩქარებია ახალი ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის ტემპი, ტექნიკური ინტელიგენციის, რომელიც გამოსული უნდა იყოს მუშათა კლასიდან, უნდა იყოს სოციალიზმის საქმის ერთგული და რომელსაც უნდა შეეძლოს ტექნიკური ხელმძღვანელობის გაწევა ჩვენი სოციალისტური მრეწველობისათვის" (სტალინი).

ივლისის პლენუმის მიერ კადრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემოწმებამ (ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1929 წელი) პლენუმზე ცხადჰყო, რომ ახალი კადრების მომზადება, ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. ჩვენი მეურნეობის ზრდის ბუმბერაზული ტემპი მოითხოვდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობისათვის საჭირო კადრების მომზადების საჩქაროდ გაძლიერებასა და გაფართოებას. ამხ. სტალინი თავის წერილში „დიდი გარდატეხის წელი" სწერდა: „მძიმე მრეწველობის შექმნის ამოცანას ელობება არა მარტო დაგროვების პრობლემა. ამ ამოცანას ელობება კადრების პრობლემაც, ის პრობლემა, რომ: ა) საბჭოთა განწყობილების ტექნიკოსები და სპეციალისტები ათი ათასობით ჩავაბათ სოციალისტურ მშენებლობაში, ბ) მოვამზადოთ ახალი წითელი ტექნიკოსები და წითელი სპეციალისტები მუშათა კლასის წრიდან. თუ დაგროვების პრობლემა საერთოდ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს, სამაგიეროდ კადრების პრობლემა ჯერ კიდევ ელის გადაჭრას... კადრების პრობლემა ეხლა. მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის პირობებში, სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ პრობლემას წარმოადგენს". აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა—პირისპირ მიუდგეს კადრების პრობლემებს და, რადაც არ უნდა დაუჯდეს, აიღოს ეს ციხე-სიმაგრე.

ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზული ამოცანები მოითხოვენ ძირიან გარდატეხას მთელ იმ მუშაობაში, რომელიც სწარმოებს სწრაფი ზრდის გზაზე დამდგარი მრეწველობისა და გაშლის გზაზე შემდგარი მსხვილი მიწათმოქმედების უზრუნველსაყოფად როგორც ხელმძღვანელი ტექნიკური კადრებით, ისე კვალიფიციური მუშა ხელით. პლენუმმა გადაჭრით მოითხოვა—ბოლო მოეღებოდა შინაურულად მუშაობას და ორგანიზაციულად მოუგვარებლობას ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. ცენტრალურმა კომიტეტმა ნოემბრის გადაწყვეტილებებში დასახა ბუმბერაზული ამოცანა—„მივაღწიოთ იმას, რომ სამრეწველო საწარმოები, საბჭოთა მეურნეობანი, ხოლო განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ტექნიკურად უფრო მოწყობილნი არიან, გადაიქცნენ თავისებურ სკოლად მუშათა, ოსტატთა, ტექნიკოსთა და ინჟინერთა კვალიფიციური კადრების მასიურად მომზადებისა და გადამზადებისათვის".

პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დასახა კონკრეტული გზა კადრების პრობლემის გადაჭრისათვის, მემარჯვენე ოპორტუნისტებისა და შემარიგებლობის ცდის წინააღმდეგ. ოპორტუნისტებსა და შემარიგებლებს არ ესმოდათ და არ ესმით მთელი სიმწვავე რეკონსტრუქციის პერიოდში კადრების მომზადების პრობლემისა. ისინი აფუჩეჩებდნენ და აფუჩეჩებენ პროლეტარული კადრების მომზადების დაჩქარების დაკვრით ამოცანას. მათ იმდენი მოხერხება გამოიჩინეს, რომ „ვერ შეამჩნიეს" ისეთი ფაქტი, როგორიც არის პოლიტიკური დიფერენციაცია სპეციალისტთა წრეში და ისეთი ფაქტი, როგორიც არის ის ბრძოლა, რომელსაც კლასობრივი მტერი აწარმოებდა და სცდილობს კვლავ აწარმოოს სოციალიზმის წინააღმდეგ კონტრრევოლიუციონურ მავნებელთა ცალკე ჯგუფების მეშვეობით. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა: „მემარჯვენეებს არ ესმით, რომ არა თუ სამეურნეო აუცილებლობა, არამედ სპეციალისტთა წრის პოლიტიკური დანაწილების პროცესიც ჩვენს ქვეყანაში არმოეზული გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში უდიდესი სიმწვავით სვამს საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე პროლეტარულ სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების ამოცანას".

ცენტრალური კომიტეტი თეზისებში მე-16 ყრილობისათვის კვლავ მიაქცევს პარტიის, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა უდიდეს ყურადღებას კადრების პრობლემას.

„ხუთწლიანი გეგმის შესრულების აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს კადრების პრობლემის გადაწყვეტა"—ნათქვამია თეზისებში მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ.

„საკოლმეურნეო კადრების შექმნა წარმოადგენს კოლექტივიზაციის განმტკიცების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას,"—ხაზგასმით აღნიშნულია თეზისებში საკოლმეურნეო მოძრაობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების შესახებ.

„პროფკავშირთა ახალი ხელმძღვანელი კადრების დაწინაურებისა და მომზადების ამოცანა წარმოადგენს პროფკავშირთა მუშაობის მთელი გარდაქმნის ერთ-ერთ გადამწყვეტ ამოცანას",—ასე განსაზღვრავენ კადრების პრობლემას თეზისები პროფკავშირთა ამოცანების შესახებ რეკონსტრუქციის პერიოდში.

კადრების პრობლემის მთელი ბოლშევიკური სიმტკიცითა და ძალით გადაწყვეტა ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გეგმის წარმატებით შესრულებას.

ცენტრალური კომიტეტი თავის თეზისებში წინადადებას იძლევა—გადაჭრით და მკვეთრად გაფართოვდეს და ხარისხობრივად გაუმჯობესდეს პრაქტიკული მუშაობა მრეწველობისათვის საჭირო კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის აწევის საქმეში,—საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების და მასიურ პროფესიათა სკოლების ქსელისა და კონტინგენტების თვალსაჩინოდ გადიდების საშუალებით, მუშა ხელის მომზადების მოკლევადიანი და სხვადასხვა ფორმების ფართოდ განვითარების საშუალებით, რათა აუცილებლად ამაღლებულ იქნას მუშათა კადრების საწარმოო-ტექნიკური და კულტურულ-პოლიტიკური დონე. ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს მაღალი კვალიფიციურ მუშათა კადრების, აგრეთვე დაბალი და საშუალო ტექნიკური პერსონალის მომზადების ამოცანის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მას ყრილობაზე მოსაწონებლად შეაქვს ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივლისისა და 1929 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის შემდგომი დადგენილებანი კადრების შესახებ იმ მიზნით, რომ განსაკუთრებით მოეწყოს თვალყურის დევნება და კონტროლი ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებაზე, რათა უმოკლეს ვადაში მიღწეულ იქნას ძირითადი გარდატეხა მუშათა კლასიდან გამოსულ წითელ ტექნიკოსთა და წითელ სპეციალისტთა წარმატებით მომზადების საქმეში. პარტია განაგრძობს ულმობელ ბრძოლას კონტრ-რევოლიუციონურ მავნებლობასთან და ამავე დროს ყურადღებით მოპყრობასა და მზრუნველობას გამოიჩენს ყველა იმ ძველი სპეციალისტების მიმართ, რომელნიც კეთილსინდისიერად მუშაობენ სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის თეზისები წინადადებას იძლევიან, რომ კოლმეურნეობებში მოეწყოს ხელმძღვანელ სამუშაოზე თვით კოლმეურნეთა სისტემატიური დაწინაურება. ამ შემთხვევაში კოლმეურნეთა წრიდან ნიჭიერ ორგანიზატორების ხელმძღვანელებისა და აღმზრდელების როლი უნდა დაეკისროს მუშათა ბრიგადებს, კოლმეურნეობებში გაგზავნილ მუშებს 25 ათასის რიცხვიდან და იმ პროლეტარებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს მშრომელი მასებისა და გლეხობის გადამჭრელ მობრუნებას სოციალიზმისაკენ. საკოლმეურნეო კადრების შესაქმნელად უნდა დაირაზმოს სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების სისტემის მთელი ქსელი სპეციალისტების მომზადებისათვის, — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში კოლმეურნე ახალგაზრდების ჩაბმით, კოლმეურნეობებში საწარმოო თათბირებისა და სადელეგატო კრებების მუშაობის გაშლით. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა წრიდან საკოლმეურნეო კადრების აღზრდისა და სადელეგატო კრებების მეშვეობით კოლმეურნე ქალთა დაწინაურების საჭიროება.

კადრების პრობლემა გადაჭრილი არ არის. ჩვენ მას გადავჭრით. მუშათა კლასმა პარტიის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარა ამ პრობლემის გადასაჭრელად. წარმატება უკვე ცხადი და თვალსაჩინოა. ახალი პროლეტარული კადრების მომზადება პროლეტარიატის უფართოეს მოძრაობად იქცევა. მაგრამ მუშაობა კადრების მომზადებისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაშლილი. არ მომხდარა ძირითადი გარდატეხა ამ პრობლემის გადაჭრაში, ვინაიდან მოთხოვნილება კადრებზე. უდიდესია, იგი იზრდება ჩვენი დიდი სოციალისტური მშენებლობის ტემპებთან შეფარდებით.

პარტიის მე-16 ყრილობა თავისი გადაწყვეტილებებით დარაზმავს პარტიას შემდგომი ბრძოლისათვის კადრების მოსამზადებლად.

„პრავდა", 26 მაისი.

ამხ. კარახანი--საბჭ. კავშ. წარმომადგენელი ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციაზე

ინგლისის ვაჭრობის კატასტროფიული მდგომარეობა.—ექსპორტი ყველაზე დაბალ ციფრს იძლევა 1913 წ. შემდეგ

50.000 მუშის დემონსტრაცია პარიზში კომპარტიის ლოზუნგებით

ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის წინ

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციაზე დაინიშნა ამხ. კარახანი

მოსკოვი, 26 მაისი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციაზე დაინიშნა საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოადგილე ამხ. კარახანი (ადს).

ჩინეთ-საბჭოთა კონფერენცია გადამწყვეტი რგოლია მანჯურიის ცხოვრებაში

შანხაი, 25 მაისი. მანჯურიიდან მიღებული ცნობები აღნიშნავენ, რომ **მთელი მანჯურიის ყურადღება მიქცეულია მოსკოვის კონფერენციაზე, რომლის შედეგებსაც დიდი მოუთმენლობითა და იმედით მოელიან, რადგან** მის წარმატებაზეა დამოკიდებული მთელი მანჯურიის ცხოვრების სტაბილიზაცია. (ადს).

ამხ. კარახანის წერილი მო დე-გუის

მოსკოვი, 26 მაისი. 25 მაისს ამხ. კარახანმა მო დე-გუის გაუგზავნა სია საბჭოთა ექსპერტებისა ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციაზე. ამხ. კარახანის წერილში, რომელიც დართული ჰქონდა სია, ნათქვამია:

„ჩვენი საუბრის დროს 20 მაისს ჩემს წინადადებაზე —განგვესაზღვრა ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის ვადა, თქვენ, ბატონო სრულუფლებიანო წარმომადგენელო, უფრო მოხერხებულად სცანით გადაგვედო ამ ვადის დაწესება ჩვენს შემდგომ შეხვედრამდე, რომლის დროისთვისაც ჩვენ შევთანხმდით ერთმანეთისათვის გადაგვეცა ორივე მხარის ექსპერტთა სიაში.

გიგზავნით რა ამასთანავე სიას ექსპერტებისას, რომლებიც შედიან საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციაში, პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ მე მზად ვარ, როდესაც გსურთ, გავხსნა ხაბაროვსკის ოქმით გათვალისწინებული ჩინეთ-საბჭოთა კონფერენცია",

ბრძოლა ინდოეთში

განდი იცავს ინდოელ მთავრებს

ლონდონი, 25 მაისი. გაზეთ „ინდიენ დეილი მეილ"-ში მოთავსებულია განდის განცხადება, რომელიც მოუწოდებს თავის მომხრეებს— არ გაავრცელონ სამოქალაქო ურჩობის კამპანია ინდოელი მთავრების ტერიტორიაზე. (ადს)

საპყრობილეები სავსეა

ლონდონი, 25 მაისი. როგორც „ობსერვერ"-ის კორესპონდენტი სწერს, ბომბეის პროვინციის საპყრობილეები სავსეა პატიმრებით. პოლიცია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ჩაახშოს მასების მოძრაობა. (ადს)

შეტაკებები

ლონდონი, 25 მაისი. ინგლისის ხელისუფლების პროვოკაციის შედეგად, დაკაში (ბენგალიის პროვინცია) მოხდა შეტაკება მაჰმადიანებსა და ინდუსებს შორის. მოკლულია 2 კაცი. ბევრია დაჭრილი. ბევრი სახლი და დუქანი გადამწვარია. (ადს)

განაგრძობენ ბრძოლას მარილისათვის

ლონდონი, 25 მაისი. ვადალში პოლიცია გარს შემოერტყა მოხალისეებს. პოლიციამ დააპატიმრა 400 კაცი, მაგრამ მოხალისეთა ჯგუფმა გაარღვია პოლიცია და მიაღწია მარილის მაღაროებს. მარილის ამოღებაზე მუშაობდა 20.000 კაცი. დხარსანსა და სტიგრახში გრძელდება მასიური გამოსვლები. (ადს)

ინგლისის საქონლის ბოიკოტი ინდოეთში ფართოვდება

ლონდონი, 25 მაისი. ბოიკოტი, რომელიც გამოეცხადა ინგლისის საქონელს ინდოეთში, დღითი-დღე ფართოვდება და ედება. ისეთ საქონელსაც, როგორიცაა მედიკამენტები, ავტომობილები და თამბაქო. ადგილობრივი ბამბეულის ფაბრიკები სრული დატვირთვით მუშაობენ. არსებული ცნობებით, ბოიკოტი მომავალში უფრო გაფართოვდება. ყოველდღე ახალ-ახალი ფირმები უარს აცხადებენ ინგლისის საქონლის შეძენაზე. (ადს)

მაკდონალდის მოლაპარაკება ლოიდ-ჯორჯთან

ლონდონი 24 მაისი. მაკდონალდმა განაახლა მოლაპარაკება ლოიდ-ჯორჯთან საარჩევნო სისტემის რეფორმის საკითხის შესახებ. საერთო აზრია, რომ პოლიტიკური კრიზისი დროებით გადაიდება (ადს).

მუშების განიარაღება ავსტრიაში

მენშევიკების მორიგი კაპიტულიაცია ფაშიზმის წინაშე

ვენა, 25 მაისი. ავსტრიის პარლამენტში „შინაურ განიარაღების" კანონპროექტის გარშემო სიტყვით გამოვიდა ს.-დ. ზეიცი, რომელმაც ქება შეასხა სოციალ-დემოკრატების „გამბედაობას და დამსახურებას" ბოლშევიზმთან ბრძოლაში და აღნიშნა, რომ **სოციალ-დემოკრატია მზად არის დაშალოს თავისი თავდაცვის რაზმები** (შუცბუნდი).

„როტე ფანე" მოუწოდებს მუშებს **იბრძოლონ პროლეტარიატის ყაჩაღური განიარაღების წინააღმდეგ და ემზადონ მასიური პოლიტიკური გაფიცვისათვის.**

„როტე ფანე"-ს იმ ნომერს, რომელშიც ეს მოწოდება იყო მოთავსებული, პოლიციამ კონფისკაცია უყო. (ადს).

კომპარტიის ბრძოლა მუშათა კლასის უმრავლესობის დასაპყრობად

ვენა, 25 მაისი. რევოლიუციონური პროფოპოზიციის კომისიამ ვენაში გადასწყვიტა ყველა საწარმოებში, სადაც კი არის პროფოპოზიციის უჯრედები, ქარხკომების არჩევნების დროს წამოაყენოს დამოუკიდებელი წითელი სიები. განზრახულია პროფოპოზიციის ორგანოს გამოშვება (ადს).

რუმინელ რკინისგზელების ბრძოლა

ვენა, 25 მაისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, უკმაყოფილება რუმინეთის რკინისგზელებს შორის, კაპიტალისტური რაციონალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, გამწვავდა. კონფლიქტები მუშებსა და რკინისგზის სამმართველოს შორის დემონსტრაციებისა და საპროტესტო გაფიცვების ფორმებს ღებულობენ. ამ ცოტა ხნის წინად დაითხოვეს რკინის გზის სახელოსნოების ათასი მუშა. (ადს)

მრეწველობის კრიზისი გერმანიაში

ბერლინი, 24 მაისი. ნახშირის ამოღება რურის რაიონში აპრილში, შარშანდელი წლის აპრილთან შედარებით, შემცირდა 10 პროც.-ით. ხოლო მიმდინარე წლის მარტთან შედარებით — 8 პროც.-ით. კოქსის წარმოება აპრილში მარტთან შედარებით, 8,1 პროცენტით შემცირდა. თუჯის პროდუქცია მთელს გერმანიაში, მარტთან შედარებით, 7,6 პროცენტით დაეცა.

ფოლადის პროდუქცია მთელს გერმანიაში დაეცა 28,9 პროცენტით, შარშანდელი წლის აპრილთან შედარებით, და 6,7 პროცენტით— მიმდინარე წლის მარტთან შედარებით (ადს).

მუშები იცავენ თავის გაზეთს

ლონდონი, 25 მაისი. ლონდონის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტოებმა უარი უთქვეს კომუნისტურ „დეილი უორკერ"-ის გავრცელებაზე. **კომპარტიის წევრებმა და თანამგრძნობმა მუშებმა გადასწყვიტეს თავისი საშუალებით მოაწყონ გაზეთის გავრცელება (ადს).**

რეინის ოლქის ევაკუაცია

ბერლინი, 25 მაისი. რეინის ოლქის მესამე ზონის ევაკუაცია, სადაც 40.000-მდე ჯარისკაცია, დამთავრდება არა უადრეს 30 ივნისისა.

გაფიცვა დამთავრდა

პარიზი, 25 მაისი. არაჩვეულებრივი რეპრესიების შედეგად რეიმსის 1.500 მშენებელმა მუშამ, 21 დღის გაფიცვის შემდეგ, მუშაობა განაახლა. ისინი ვერ ეღირსნენ თავიანთი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას. საერთო კრებაზე გაფიცულმა მუშებმა სრული ნდობა გამოუცხადეს შრომის უნიტარულ კონფედერაციას და კომპარტიას, გაუგზავნეს მისალმებები ყველა პოლიტპატიმრებს და განსაკუთრებით იმ 200 ამხანაგს, რომლებიც გაფიცვის დროს დააპატიმრეს. 20 კაცი კომკავშირში შევიდა.

სხვადასხვა

ქარუმიძის, სადათიერაშვილის და სხვათა საქმე ხელახლა გაირჩევა

ბერლინი, 25 მაისი. პროკურორის მიერ შეტანილ კასაციას ყალბი ჩერვონცების დამამზადებელი თეთრემიგრანტების — ქარუმიძის, სადათიერაშვილის და სხვათა საქმის გამო 11 ივნისს ხელახლა განიხილავს ბერლინის სასამართლოს სისხლის სამართლის კამერა. პროკურორი მიუთითებს იმაზე, რომ კანონიერი არ არის ამნისტიის გავრცელება ყალბი ჩერვონცების დამამზადებლებზე, რადგან ამნისტია უცხოელებზე არ ვრცელდებაო (ადს).

ინგლისის ახალი სამხედრო ძალები ჩინეთში

ლონდონი, 25 მაისი. როგორც „დეილი ჰერალდ"-ი იუწყება, ინგლისის სამხედრო გემი „კრიკეტ"-ი მიემართება ჩანჩაში (ჰუნანის პროვინცია). გემი „ლედიბერ"-ი მოვიდა ჩანშაში (ხუნანის პროვინციის სატახტო ქალაქი), გემი „სკარაბ"-ი მიემართება ხანკოუში (ხუპეის პროვინცია) (ადს).

დაიხურა საბჭ. კავშირის მელითონეთა კავშირის ც. კ-ის მე-8 პლენუმი. პლენუმმა დაადგინა — გაანთავისუფლოს ამხ. შვერნიკი მელითონეთა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი საკ. პროფსაბჭოს პირველ მდივნად არჩევის გამო. ც. კ-ის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ბულატი (ადს).

ინგლისის ვაჭრობის კატასტროფიული მდგომარეობა

ლონდონი, 25 მაისი. **საქონლის შემოტანა ინგლისში 1923 წლის სექტემბრიდან არასოდეს ისე არ დაცემულა, როგორც 1930 წლის აპრილში, ხოლო გატანა 1913 წლის დეკემბრიდან ისე, როგორც 1930 წლის იმავე აპრილში.**

1930 წლის აპრილში გატანილ იქნა 268.000 ტონა თუჯი, ფოლადი და ნახევარ-ფაბრიკატი, 1913 წლის დეკემბერში გატანილი 368.000 ტონის ნაცვლად. ბამბის ქსოვილების გატანა, გასული წლის აპრილთან შედარებით, ფულადი გამოხატულებით 33 პროცენტით შემცირდა. ბამბის შემოტანა დაეცა 49 პროცენტით. ბამბის ქსოვილების გატანა ომამდე ინგლისის მთელი ექსპორტის 40 პროცენტს შეადგენდა. მთავარი გამსაღებელი ბაზარი იყო ინდოეთი. **მას შემდეგ ინდოეთის ბამბეულის საკუთარი მრეწველობის ზრდისა და იაპონიის უაღრესად წარმატებული კონკურენციის გამო, გატანა ორჯერ შემცირდა.** მაგრამ დღემდე ინდოეთში მაინც გადის ინგლისის ბამბეულის ქსოვილების ექსპორტის 50 პროცენტამდე და ბრიტანეთის საქონლის შემდგომი ბოიკოტი უდიდეს კატასტროფას უქადის ბრიტანეთის საფეიქრო მრეწველობას, რომელშიაც ჩაბმულია 750.000 მუშა.

„ტაიმს"-ი მოელის, რომ მაისში „ვაჭრობის სამინისტროს ციფრებმა კიდევაც რომ ცვლილება გვიჩვენონ, ეს ცვლილება შემდგომი გაუარესების მომასწავებელი იქნებაო". (ადს).

ბოლშევიკური გზით

გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

ბერლინი 25 მაისი. წითელ ვედინგში, 500 დელეგატის თანადასწრებით, გაიხსნა ბერლინის, ბრანდენბურგის, ლაუზიცის და გრენცმარკის კომუნისტური ორგანიზაციების საოლქო კონფერენცია.

კონფერენციის გახსნის წინ, დიდი წვიმის მიუხედავად, რამდენიმე ათასმა რევოლიუციონერმა მუშამ საჯაროდ გამოააშკარავა თავისი კავშირი კომპარტიასთან. **პოლიციამ დააპატიმრა 27 ახალგაზრდა მუშა აკრძალული რევოლიუციონური ორგანიზაციების ფორმების ტარებისათვის.**

საოლქო კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ამხ. **სტალინი, მოლოტოვი, მანუილსკი, ვოროშილოვი, ტელმანი და ჩინეთის წითელი არმიის ხელმძღვანელები.** განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია აკრძალულ წითელფრონტელთა კავშირის რაზმის გამოჩენამ. მოხსენებით [illegible] მდგომარეობის და კომპარტიის ამოცანების შესახებ გამოვიდა ამხ. ულბრიხტი.

კონფერენციას მიესალმნენ უპარტიო მუშების დელეგაციები. დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ მოსკოვის რაიონული კონფერენციების მისასალმებელ დეპეშებს (ადს).

ბერლინი, 25 მაისი. გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის საოლქო კონფერენცია ჩატარდა **ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით.**

მომხსენებელმა ამხ. **ულბრიხტმა** აღნიშნა, რომ მასების გაღატაკების ზრდა და მუშათა კლასის გამემარცხენება ხელსაყრელ პირობებს ქმნიან კომპარტიის მიერ მუშათა კლასის უმრავლესობის დასაპყრობად. პარტიული ხაზის გატარების დროს დაშვებული იყო შეცდომები მემარჯვენე-ოპორტუნისტული და „მემარცხენე" სექტანტურ გადახრების მხრივ.

კამათში გამოსულმა ამხ. **ტელმანმა** ხაზი გაუსვა ბერლინის ორგანიზაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მთელი პარტიისათვის.

კამათში გამოსულმა მუშებმა აღნიშნეს, რომ **მთავარი ამოცანაა პროლეტარული კონტრ-შეტევის ორგანიზაცია კაპიტალისტების შეტევის საპასუხოდ.**

კონფერენციას ესწრება 494 დელეგატი. კონფერენციამ მიიღო პოლიტიკური რეზოლიუცია და **„მემარცხენე" ოპორტუნისტულ და ფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელ პოიკესა და მის ამხანაგებს ერთი წლით აუკრძალა პარტიული მუშაობა.** არჩეულია ახალი კომიტეტი 95 კაცის შემადგენლობით, რომელთაგან 75 დაზგის მუშაა (ადს).

მუშის მოკვლა ფაშისტების მიერ

ბერლინი, 25 მაისი. ფიურსტენვალდში, დემონსტრაციის შემდეგ, რომელიც ბერლინში გაიმართა გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის რაიონის კონფერენციასთან დაკავშირებით, **ფაშისტებმა მოჰკლეს მუშა—წითელფრონტელთა კავშირის წევრი. ამ ამბავმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მუშათა მასებში და ხელი შეუწყო მუშათა თავდაცვის ახალი მასიური ორგანიზაციების შექმნას.** (ადს).

კომპარტიის ლოზუნგებით

50.000 კაცი კომუნარების კედელთან

პარიზი, 25 მაისი. მსვლელობაში კომუნარების კედელთან, რომელიც კომპარტიისა და შრომის უნიტარული კონფედერაციის მოწოდებით შესდგა, **მიუხედავათ პოლიციის რეპრესიებისა და კოკისპირული წვიმისა, მონაწილეობა მიიღო 50.000 კაცმა მასები გამოვიდნენ კომპარტიის ლოზუნგებით: ბრძოლა რეაქციასთან საბჭოთა კავშირის—პარიზის კომუნის საქმის გაგრძელების დასაცავად.**

პოლიცია განუწყვეტლივ ესხმოდა თავს დემონსტრანტებს, კრძალავდა წითელი დროშების გაშლას და რევოლიუციონურ სიმღერებს სასაფლაოს ფარგლებს გარეთ.

პოლიციასთან შეტაკების დროს ბევრი დემონსტრანტი დაიჭრა, 150 კაცი დააპატიმრეს. სერიოზულად დასჭრეს და დააპატიმრეს რიმედასის საფრანგეთის სექციის მდივანი რუფიანი. კომუნარების კედელთან დემონსტრანტებს მიესალმენ საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრები და პარიზის კომუნის ვეტერანები (ადს).

„კომსომოლსკაია პრავდა"-ს 5 წ. თავი

„კომსომოლსკაია პრავდა-"ს დაჯილდოვება ლენინის ორდენით

მოსკოვი, 26 მაისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა—ლენინის ორდენით დაჯილდოვოს „კომსომოლსკაია პრავდა"-ს რედაქცია. (ადს).

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მისალმება „კომსომოლსკაია პრავდა"-ს

მოსკოვი, 25 მაისი. „საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი ბოლშევიკურ სალამს უძღვნის კომკავშირის მებრძოლ ორგანოს — „კომსომოლსკაია პრავდა"-ს და რწმენას გამოსთქვამს, რომ „კომსომოლსკაია პრავდა" მომავალშიაც ასევე შეასრულებს თავის ძირითად ამოცანას — მუშა და გლეხ ახალგაზრდობის მილიონების მობილიზაციას სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის ლენინური პარტიის დროშის ქვეშ".

მოწყობილობა კასპის ცემენტის ქარხნისათვის

მოსკოვი, 25 მაისი. თბილისიდან მიღებული იმ ცნობების გამო, რომლებიც კასპის ცემენტის ქარხნის ამუშავების დაგვიანებას შეეხებოდნენ, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს სრულიად საკავშირო ელექტრო - გაერთიანებაში აცნობეს:

„სატრანსფორმატორო ფარები, რომლების დამზადებასაც მოსკოვის ქარხანა „ელექტროსილა" აგვიანებს, წარმოადგენენ ძირითად მოწყობილობას, რაც აკლია ცემენტის ქარხნის ამუშავებას. ქარხნის მმართველობამ იკისრა მოათავოს ფარების დამზადება არა უგვიანეს 1 ივნისისა და დაუყოვნებლივ გაუგზავნოს ეს ფარები კასპის ქარხანას. „სევკაბელი"-ს ლენინგრადის ქარხნების მაღალძაბვის კაბელით ცემენტის ქარხანა დაკმაყოფილებული იქნება მაისის საწარმოო პროგრამის ხარჯზე. მაისის დამლევს გაიგზავნება დანარჩენი კაბელი.

მემაღაროეთა ცეკას სარჩელი „ლენა გოლდფილდს"-ისადმი

შუამდგომლობა „ლენა-გოლდფილდს"-ის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ

მოსკოვი, 26 მაისი. მაღაროს მუშათა კავშირის ც. კ-მა შუამდგომლობით მიმართა საბჭოთა კავშირის პროკურორს — ყადაღა დაადოს „ლენა - გოლდფილდს"-ის საზოგადოების ქონებას და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები კოლხელშეკრულების დარღვევისათვის (ადს).

„ლენა - გოლდფილდს"-ის კონცესიის საწარმოებზე გამოცხადებულია საკონფლიქტო მდგომარეობა

მოსკოვი, 25 მაისი. მემაღაროეთა კავშირის ც. კ-ის პრეზიდიუმმა „ლენა - გოლდფილდს"-ის გამგეობას მოსკოვში 24 მაისს გაუგზავნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „თქვენი წერილი 21 მაისის თარიღით მოწმობს, რომ თქვენ არა თუ არ ღებულობთ რაიმე ზომებს კონცესიის საწარმოების მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის მისაცემად, არამედ არც ფიქრობთ ამ ზომების მიღებას, რაც კავშირის ც. კ-ს ხელშეკრულების უხეშ და შეგნებულ დარღვევად მიაჩნია. საშინელ მდგომარეობაში ჩაყენებული საზოგადოების მუშა - მოსამსახურენი იძულებული არიან შესწყვიტონ მუშაობა. ამის პასუხისმგებლობა ეკისრება კონცესიას. დღეის რიცხვიდან კავშირის ც. კ-ი კონცესიის ყველა სამთო საწარმოებზე აცხადებს საკონფლიქტო მდგომარეობას კავშირსა და საზოგადოებას შორის. ამასთან ერთად კავშირის ცენტრ. კომიტეტს საქმე გადააქვს სასამართლოში თხოვნით, რომ მისცენ საზოგადოება პასუხისგებაში და გადაახდევინონ მას ყველაფერი, რაც კოლხელშეკრულებით არის გათვალისწინებული" (ადს).

პარტიის სწორი ხაზისათვის სასოფლო-მეურნეო მშენებლობაში

საუბარი პირველი

საბჭოების რესპუბლიკაში მედგრათ სცემს დიადი სოციალისტური მშენებლობის მაჯისცემა. სწარმოებს გაცხოველებული ბრძოლა კაპიტალიზმის სრული მოსპობისათვის და ხდება მისი საუკუნოვანი ფესვების აღმოფხვრა სოფლად.

„თუ მემამულეებისგან მიწების ჩამორთმევა იყო ოქტომბრის რევოლიუციის პირველი ნაბიჯი, კოლმეურნეობებზე გადასვლა წარმოადგენს მეორე და ამავე დროს გადამწყვეტ ნაბიჯს, რომელიც განსაზღვრავს უმნიშვნელოვანეს საფეხურს საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აგების საქმეში".

ასე ახასიათებს „უდიდეს გარდატეხას სასოფლო მეურნეობის განვითარებაში"—ამხ. იაკოვლევის თეზისები მე-16 პარტყრილობისათვის. სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა ეს არის კლასობრივი ბრძოლა, ხოლო კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა ამ ბრძოლის ყველაზე ნათელი ფორმები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ დრომდე უმთავრესად ემყარებოდა და ჯერაც კიდევ ემყარება წვრილ და დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობას.

მსხვილ კოლექტიურ და სახელმწიფო მეურნეობებს დღემდე უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. მიწადმოქმედების ტეხნიკა საერთოდ ჩვენს ქვეყანაში იყო პრიმიტიული.

ახლა ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ რადიკალურად იცვლება ყველაფერი.

განსაზოგადოებული სექტორის ძლიერი მშენებლობა როგორც ქალაქის მრეწველობაში, ისე სასოფლო მეურნეობაში და მათი ინდუსტრიალიზაცია მტკიცე საფუძველს უყრის სასურსათო და ნედლეულის საკითხებს და გადაჭრით არყევს სოფლის კულაკურ კაპიტალისტურ ელემენტების ფესვებს.

ამჟამად კოლექტივიზაციის პროცესმა საბჭოთა კავშირში თავის სფეროში მოიქცია გლეხურ მეურნეობათა დიდი რაოდენობა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გლეხობა საერთოდ იგებს და კიდევ უფრო ითვისებს კოლექტივიზაციის მთელ უპირატესობას. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენენ ერთად ერთ საშუალებას, რაც გლეხებს აძლევს სილატაკიდან და კულტურული სიბნელიდან გამოსვლის საშუალებას. მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხობის მთელ მასასთან კულაკობის წინააღმდეგ, იმ კულაკობის, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერია განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ჩამორჩენილ და აღმოსავლეთის ნაციონალურ რაიონებში, წარმოადგენს კოლმეურნეობრივი მოძრაობის საფუძველს მიმდინარე მომენტში.

კოლექტივიზაციას საფუძვლად უდევს ნებაყოფლობითი პრინციპი. და მართლაც კოლმეურნეობებში გლეხობის უდიდესი ნაწილი ნებაყოფლობით გაერთიანდა. ასეთი კოლმეურნეობები სასიცოცხლო უნარის მქონე და მტკიცე აღმოჩნდა. მაგრამ ამავე დროს მრავალ რაიონში დარღვეულ იქნა ნებაყოფლობის პრინციპი. კოლმეურნეობებს აარსებდნენ ძალით, ადმინისტრატიული ზომებით. ესწრაფებოდნენ რაოდენობას. ზოგან იყო შეჯიბრება „[illegible]". ზოგიერთი „ჭკვიანი" უთავბოლოდ [illegible], რომ ანზოგადოებდნენ ქათმებს, იყოფდნენ და უჟღდნენ ოჯახურ ავეჯს. ამით ისინი ეხმარებოდნენ მხოლოდ კულაკს, კლასობრივ მტერს, რომელმაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა ეს შეცდომები.

ზოგიერთ ადგილებში გვერდს უხვევდნენ არტელს კოლექტივიზაციის ამ ძირითად ფორმას და პირდაპირ კომუნას აარსებდნენ.

ქათმების განსაზოგადოვებით გატაცებულები მხედველობიდან უშვებდნენ უმთავრესს —მათ ვერ მოახდინეს მშრომელი გლეხობის ყურადღების მობილიზაცია საგაზაფხულო თესვის მოსამზადებლად, რომელიც წარმოადგენს საკავშირო კომპარტიის ცეკას საბრძოლო დამკვრელ ამოცანას; ამავე დროს ივიწყებდნენ სასწრაფო სეზონურ სამუშაოებს (ინვენტარის შეკეთება, თესლის გაწმენდა და სხ.)...

ყველა კოლმეურნეობებისთვის აწესებდნენ რაღაც შაბლონს. ანგარიშს არ უწევდნენ არც ადგილობრივ პირობებს, არც ყოფა-ცხოვრებითი გარემოთი შექმნილ განწყობილებებს.

ტყუილად კი არ ამბობდა ლენინი, რომ: „განსაზღვრული შაბლონისათვის ყველაფრის დამორჩილება იქნება უდიდესი სისულელე".

ბევრ ადგილებში ცდილობდნენ „დასწეოდნენ და გაესწროთ". ასეთი აჩქარების გამო მთელ რიგ რაიონებში ირღვეოდა პარტიის დირექტივები.

„ამაში მეტის მეტი აჩქარება საზიანოა"... (ლენინი).

სურდათ უმოკლეს ვადაში გაეტარებინათ კოლექტივიზაცია მაშინ, როდესაც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ფრთხილი წინასწარი დავალებებით, მათ განკარგულებაში იყო სამი-ოთხი წელი, როგორც ეს იყო ჩვენში, ამიერ-კავკასიისათვის.

ასეთი უდროოთ მომწიფებული და „ადმინისტრატიულად" შექმნილი კოლმეურნეობების შედეგები მალე გამოირკვა.

დაიწყო კოლმეურნეობებიდან გასვლა, ხოლო ზოგიერთ ადგილას სრულებით დაშლა. ამ გასვლის ერთ-ერთი მიზეზი იყო კოლექტიური შრომის მოწყობის არ ცოდნა და კოლმეურნეობებში ხელფასის უმართებულოდ დაწესება.

კულაკებმა აქაც არ დააყოვნეს ესარგებლად ამ მოვლენით. კლასობრივ მტერს არ ეძინა. იგი მანევრებს აკეთებდა. კოლმეურნეობათა ჩამოყალიბების დროს კულაკები ქადაგობდნენ, რომ თუ კი გლეხები მიდიან კოლმეურნეობებში, სახელმწიფო ვალდებულია მათ მისცეს ყველაფერი. გლეხობის მერყევი ნაწილი წამოეგო ამ ანკესზე და დაიწყეს თავიანთი ცოცხალი და მკვდარი სამუშაო ინვენტარის განიავება... კოლმეურნეობიდან გასვლის დროს კი კულაკები კლასობრივი მტრის ყოველი ხრიკებით უწყობდნენ ამას ხელს და ამავე დროს სისინებდნენ, რომ ეს არის გამოწვეული პარტიის არასწორი პოლიტიკით. ისინი ამით სცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების სახელის გატეხას.

კოლმეურნეობიდან გავიდენ მერყევი ელემენტები,—საშუალო და, ასე გასინჯეთ, ღარიბი გლეხებიც, რომლებიც შეურაცყოფილი დარჩენ ჩვენი უთავბოლო მუშაკებით.

რასაკვირველია, დარჩენილი კოლმეურნეობები ახლა უფრო მონოლიტური ხდება. განმარტებების შემდეგ მრავალი წასული ისევ დაბრუნდა კოლმეურნეობაში, რადგანაც მათ დაინახეს და ხედავენ, რომ მხოლოდ კოლექტიურ შრომაშია მათი ხსნა. და ახლა უკვე არავის არ შეუძლია ჩვენს სოფელს გადაახვევინოს სოციალისტური განვითარების გზიდან, რომელზედაც გლეხთა მასები დადგენ პარტიის ხელმძღვანელობით, — რასაკვირველია, თუ ადგილებზე ენერგიულად და ულაპარაკოდ იქნება გამოსწორებული ყველა შეცდომები და დამახინჯებანი.

მაგრამ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა ძლიერი მშენებლობის ამოცანის მთელი სერიოზულობის მიუხედავად არ შეიძლება დავიწყებულ იქნას, რომ ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებს აქვს და ჯერ კიდევ ექნება უდიდესი მნიშვნელობა კარგა ხანს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მიმდინარე გაზაფხულზე, მიუხედავად კოლექტივიზაციის უდიდესი მიღწევებისა, ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა ნახევარზე მეტი დათესავს ინდივიდუალურად.

რასაკვირველია, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვმართებს წვრილი ინდივიდუალური მეურნეობის იდეალიზაცია. ჩვენ ყოველ ნაბიჯზე უნდა ვაჩვენოთ გლეხობას კარგად მოწყობილი საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები და საერთოდ მსხვილი მეურნეობის უპირატესობანი და ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი კოლმეურნეობათა ორგანიზაციას. მაგრამ ამავე დროს, სანამ ღარიბთა და საშუალოთა საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ არ შესულა კოლმეურნეობებში, ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რომ ნათესების სივრცე გაფართოვდეს და მოსავლიანობა გადიდდეს ამ ხაზითაც, ე. ი. ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებშიაც.

[illegible] საბჭოთა ორგანიზაციის მხრივ ჯერ ჩვენ კიდევ ვერ ვხედავთ საკმაო ზრუნვას და მუშაობას საჭირო ტემპით ინდივიდუალურ, ღარიბ და საშუალო მეურნეობათა შორის, რომლებშიაც საკმაო დეზორგანიზაცია შეიტანეს ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა კულაკებმა და ზოგიერთმა უთავბოლო მუშაკებმა. ეს კი იწვევს იმას, რომ მრავალ რაიონში ინდივიდუალურ მეურნეობებში ვერ დაითესა საკმაო სივრცე, ან ითესება დიდი დაგვიანებით. ყველა ამას ემატება ბუნება —ამინდი, ხოლო ამიერ-კავკასიისათვის — წყეული კალია.

საშუალოდ ავამუშაოთ ყველა ბერკეტები, რომ უზრუნველვყოთ ნათესების სივრცის გაფართოვება ინდივიდუალურ მეურნეობებშიაც, როგორც ახლა, სადაც რამდენადაც ჯერ კიდევ არ არის გვიანი, ისე განსაკუთრებით შემოდგომაზე, მთავრობა ყოველთვის უსვამდა ხაზს და ახლაც ყოველდღე აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს თესვის ორგანიზაციას ერთპიროვნულ მეურნეობებში, რომ გასულ წელთან შედარებით ნათესების სივრცე 6 პროცენტით მაინც გაფართოვდეს.

ამრიგად, პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გადასდგა უდიდესი ნაბიჯი სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში, სოციალისტურ ნიადაგზე ინდივიდუალურ, ღარიბ და საშუალო მეურნეობათა რაც შეიძლება სწრაფად გადაკეთებისათვის, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კულაკობის, როგორც კლასის, საჩქაროდ ლიკვიდაციისათვის და სოციალიზმის სასწრაფო აგებისათვის ჩვენს ქვეყანაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ დაუყოვნებლივ. უმოკლეს ვადაში გამოსწორდეს ის შეცდომები, რაც იყო დაშვებული კოლექტივიზაციის გატარების დროს.

მიხა ცხაკაია.

მოსკოვი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტა სოჭა - თბილისის ხაზზე

მოსკოვი, 26 მაისი. მოსკოვში დაბრუნდა „დობროლიოტ"-ის დირექტორ-განმკარგულებელი ამხ. პოგოდინი, რომელმაც „დობროლიოტ"-ის უკრაინისა და კავკასიის საჰაერო ხაზების უფროსთან ერთად შემოიარა საჰაერო გზები მარშრუტით: მოსკოვი —ხარკოვი—როსტოვი—ბელორეჩენსკაია—სოჭა—ქუთაისი —თბილისი — ბაქო.

მიუხედავად იმისა, რომ ა.-კავკასიის სახელმწიფო ორგანოები მოითხოვდნენ საჰაერო ხაზის დატოვებას არსებული სახით, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი რიგი ცალკე ავია-სპეციალისტები გადაჭარბებულად თვლიდნენ არსებული მარშრუტის საშიშროებას, სამოქალაქო ავიაციის მთავარმა ინსპექციამ, ფრენის უშიშროების მაქსიმალურად უზრუნველყოფის მოსაზრებებით, გასცა განკარგულება—შესწყდეს საჰაერო მიმოსვლა სოჭა-თბილისის ხაზზე, სანამ „დობროლიოტი" არ მიიღებს ახალ სამმოტორიან აეროპლანებს.

ამასთან დაკავშირებით, 1-ლ ივნისიდან „დობროლიოტ"-ის აეროპლანები როსტოვიდან თბილისამდე იფრენენ შემდეგი მარშრუტით: როსტოვი— მინერალნიე ვოდი-გროზნო—მახაჩ-კალა—დერბენტი—ბაქო—თბილისი. გარდა ამისა რჩება დამოუკიდებელი ხაზი როსტოვი—სოჭა.

ნაციონალური რესპუბლიკების საკოლმეურნეო სისტემათა წარმომადგენლების თათბირი

მოსკოვი, 26 მაისი. 5 ივნისისათვის კოლმეურნეობათა საკავშირო ცენტრი იწვევს ნაციონალური რესპუბლიკების საკოლმეურნეო სისტემის მუშაკების თათბირს. თათბირზე განხილულ იქნება საკოლმეურნეო მშენებლობის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები.

მიიღება ხელისმოწერა
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ივნისისათვის
მთ. კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81

საქართველოს კომუნისტი

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა

სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე დასმა უდიდესი მნიშვნელობის ახალი ამოცანები, რომელნიც მას პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღების საგნად ხდიან. საკავშირო კომპარტიის ც. კ. დადგენილება (15 მაისის) ითვალისწინებს ამ ამოცანებს, კოოპერატიული სისტემის დეფექტებს და მოითხოვს მთელი მუშაობის გარდაქმნას იმ მიზნით, რომ კოოპერაციამ გაამართლოს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მას დაკისრებული აქვს ხუთწლედით და 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ მშენებლობასთან დაკავშირებით. კოოპერაციას ეკისრება გააუმჯობესოს ქალაქის და სოფლის მშრომელთა მომარაგება, ძირიანად გარდაქმნას მშრომელთა ყოფა-ცხოვრება, უზრუნველჰყოს მუშათა რეალური ხელფასის დონის ზრდა, დააკმაყოფილოს ახალი მოთხოვნილებანი, რომელნიც აუცილებლობით წამოიჭრებიან მილიონობით გლეხთა მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით და სხვა და სხვა. თუ აქამდე კოოპერაცია მთელ რიგ მნიშვნელოვან მიღწევებს აღნიშნავდა თავისი საქმიანობის საერთო ჯამში, ახლა უდავოა, რომ მთელი სოციალისტური მშენებლობის თვალსაზრისით განხილული, ეს მიღწევები ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად; ვინაიდან კოოპერაციის საორგანიზაციო მეთოდი და მუშაობის ტემპი ჩამორჩება საბჭოთა მშენებლობის საერთო ტემპს.

ეს ეხება მთლიანად სამომხმარებლო კოოპერაციას, აღებულს საკავშირო მასშტაბით.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს აქედან გამონაკლისს, მასაც აქვს მიღწევები, მაგრამ თან ახლავს მეტად მნიშვნელოვანი დეფექტები, რომელთა დაძლევა და გამოსწორება დღიურ ამოცანათ არის დასმული.

მთავარი დირექტივები, რომლებიც ჩვენს სამომხმარებლო კოოპერაციას ეძლეოდა უკანასკნელ წლებში უმთავრესად შემდეგია: კერძო ვაჭრობის განდევნა ბაზრიდან და სავაჭრო ქსელის მიახლოვება მოსახლეობასთან, მოსახლეობის შეკავშირების ტემპის დაჩქარება ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით და მოჯამაგირეების და ღარიბეს გლეხების ჩაბმა კოოპერაციაში ასი პროცენტით, საპაიო თანხების აკრეფის გაძლიერება, მომხმარებელთათვის სამსახურის გაწევის გაუმჯობესება, საშუამავლო ხარჯების და ფასების მაქსიმალურად შემცირება, ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში მუშაობის გაძლიერება, ახალი კადრების მომზადება და საერთოდ მთელ რიგ ღონისძიებათა მიღება, რათა სამომხმარებლო კოოპერაცია გადაიქცეს ნამდვილ საზოგადოებრივ, მასიურ და კულტურულ ორგანიზაციად.

ამ უდიდეს პოლიტიკურ - ეკონომიურ მნიშვნელობის ამოცანების გადაჭრის პროცესში ჩვენს სამომხმარებლო კოოპერაციას აქვს მრავალი დეფექტი, მაგრამ აქვს მიღწევებიც, რაც უფრო აშკარად გამოჩნდება, როდესაც უფრო კონკრეტულად დავახასიათებთ მისი მოქმედების სხვადასხვა მხარეს.

გავითვალისწინოთ ჩვენი კოოპერაციის მუშაობა 2 ნახევ. წლის განმავლობაში, დაწყებული 1927 წლის ოქტომბრიდან, როდესაც მთელმა სისტემამ საერთოდ უკვე დააღწია თავი მძიმე კრიტიკულ მდგომარეობას და სავსებით შედგა გაჯანსაღების გზაზე.

დავიწყოთ კოოპერატიული ქსელიდან და გავშინჯოთ მისი ზრდა ამ ხნის განმავლობაში.

უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენი კოოპერატიული მშენებლობა მრავალდუქნიან სისტემას წარმოადგენს და აქ კოოპერატიულ ერთეულთა რიცხვი მცირეა, მაგრამ შედარებით დიდია სავაჭრო წერტილების და დამხმარე დაწესებულების რიცხვი. კოოპერატივთა რიცხვი საანგარიშო ხნის განმავლობაში ამა წლის 1 აპრილამდე გაიზარდა 148-დან 172-მდე, ანუ სულ 16 პროცენტით მაშინ, როდესაც სავაჭრო წერტილების რიცხვმა მიაღწია 1233-დან 2.063-მდე, ანუ ზრდა გამოიხატება 67,5 პროცენტში. დამხმარე დაწესებულებები გაიზარდა 194-დან 487-მდე, ანუ 151 პროცენტით. აქედან ქალაქის და მუშათა კოოპერატივებზე მოდის 1.079 სავაჭრო წერტილი, ხოლო დანარჩენი 657 მოდის სოფლის კოოპერატივებზე.

სავაჭრო ქსელი თანდათან უახლოვდება მოსახლეობას. თუ თვითეულ კოოპერატივზე მოდიოდა 15.000 მცხოვრები, ახლა მოდის — 13.400, ხოლო თუ თვითეულ სავაჭროზე მოდიოდა 2.000 სული ახლა მოდის 1.400. რა თქმა უნდა, ეს კიდევ შორსაა სასურველი მდგომარეობიდან და მომხმარებლისათვის უკეთესი სამსახურის მოწყობა აუცილებლად მოითხოვს სავაჭრო ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას.

წევრთა რიცხვის ზრდა მეტად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდში წევრთა რიცხვი 166.200-დან ავიდა 664.000, ე. ი. ზრდა გამოიხატება 149,4 პროცენტში. ამავე დროს ქალები შეადგენენ მთელი რიცხვის 25,2 პროცენტს ნაცვლად 8,9 პროცენტისა 2 ნახევ. წლის წინად. რა თქმა უნდა, ქალთა შეკავშირების პროცენტი ფრიად უმნიშვნელოა. ქალი უფრო ცხოველად არის დაინტერესებული კოოპერატივის საქმიანობით და ყოველ შემთხვევაში მას იქ მამაკაცზე ნაკლები ადგილი არ უნდა ეჭიროს, ე. ი. ქალთა შეკავშირების პროცენტი 50-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ჩვენი კოოპერაციის წინაშე მუდამ მორიგ ამოცანად სდგას ქალთა შეკავშირების გაძლიერება. საერთოდ, მთელი მოზრდილი მოსახლეობიდან ამჟამად კოოპერაციაში შეკავშირებულია 44,5 პროც. ნაცვლად 18,7 პროცენტისა 1927 წელს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოჯამაგირეების და ღარიბეს გლეხობის შეკავშირებას. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც კოოპერატივის მოგებიდან სდგება ღარიბთა შეკავშირების ფონდები. ამ ფონდების ხარჯზე შეკავშირებულია 81.610 მოსახლე, ხოლო 1929 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის, სულ შეკავშირებულია 100.458 ღარიბი მოსახლე, რაც შეადგენს 77,5 პროცენტს ღარიბი მოსახლეობისას.

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში გეგმით გათვალისწინებული იყო ღარიბთა და მოჯამაგირეთა მთელი 100 პროცენტით შეკავშირება, მაგრამ ეს ამოცანა მთლიანად ვერ იქნა შესრულებული, ერთი მხრით, კოლექტივიზაციის მუშაობასთან დაკავშირებით სამომხმარებლო კოოპერაციის გადატვირთვის გამო და, მეორე მხრით, იმიტომ, რომ ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოები სათანადოთ ვერ ეხმარებიან ამ საქმეში კოოპერატივებს და ვერ აწვდიან თავის დროზე ცნობებს ღარიბი მოსახლეობის შესახებ. ამ გეგმის მთელი 100 პროცენტით რეალიზაცია გათვალისწინებულია მიმდინარე სამეურნეო წლის დასრულებამდე.

ამჟამად ჩვენს კოოპერაციას მოეპოვება ნახევარ მილიონზე მეტი (664.000) წევრი. რა მონაწილეობას იღებს ეს უზარმაზარი ჯარი კოოპერატივის საქმიანობაში? ეს სჩანს, პირველ ყოვლისა, იქიდან, თუ რა საპაიო გამოსაღები აქვს გადახდილი ამ მასას.

მთელ ქსელში საპაიო თანხა გაიზარდა 995.800 მანეთიდან 1927 წლ. 6.420.000 მანეთამდე ამა წლის 1 აპრილს, ე. ი. ზრდა გამოიხატება 544,1 პროცენტში. თუ თვითეულ წევრზე 1927 წ. საპაიო გამოსაღები უდრიდა 3 მან. და 74 კაპ., ამჟამად სოფლის კოოპერატივის თვითეულ წევრზე მოდის 9 მან. და 1 კაპ. ხოლო ქალაქის და მუშათა კოოპერატივების წევრზე—10 მან. 40 კ.

აღსანიშნავია, რომ როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მოსახლეობის დაბალი ფენები უფრო მეტ აქტივობას იჩენენ საპაიოს გადახდის მხრივ და უფრო ნაკლებად არიან დავალიანებული, ვიდრე მაღალი ფენები (შემოსავლის მხრივ).

მაგალითად, ვისი ხელფასიც უდრის 20—50 მანეთამდე, ის ვალდებულია გადაიხადოს 15 მანეთი საპაიო. ცეკავშირის მიერ მომხდარი გამოკვლევის თანახმად (47 ჩვენება) ირკვევა, რომ ამ ფენას გადაუხდია 76,781 მანეთი და რჩება გადასახდელი 20.794, ე. ი. მასზე ირიცხება მხოლოდ 21 პროც. დავალიანება და გასტუმრებული აქვს 79 პროც. სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან განთავისუფლებულ ღარიბ მოსახლეობას 606.650 მანეთიდან გადაუხდია 477.008 მანეთი, რჩება გადასახდელი 129.642 მანეთი, რაც გვაძლევს იმავე შეფარდებას გადახდილ და გადაუხდელ თანხებს შუა (79 პროც. და 21 პროც.). დიდ ხელფასიანი ფენები სულ წინააღმდეგ სურათს გვაძლევენ. მაგ., ვისი ხელფასიც უდრის 225 მანეთს და მეტს, ვალდებულია გადაიხადოს 50 მანეთი საპაიო, რაც არც ისე დიდი გამოსაღებია შედარებით ღარიბ ფენებთან მაგრამ მათ გადაუხდიათ მხოლოდ 46 პროც. და რჩება დავალიანება 54 პროც. ინდივიდუალურად დაბეგრილთ გადაუხდიათ 55 პროც. და გადაუხდელი აქვთ 45 პროც.

კოოპერაციის საქმიანობა მის საქონლის ბრუნვებში გამოიხატება. როგორ არის ამ მხრივ საქმე? ქალაქის და მუშათა კოოპერატივების საქონლის ბრუნვა გაიზარდა — 17.597.000 მანეთიდან 1927 წ. 36.676.000 მანეთამდე 1928-29 წ., ანუ 10[illegible] პროცენტით, სოფლის ქსელში 17.018.000 მანეთიდან — 31.043.000 მანეთამდე, ანუ 82,4 პროც., ხოლო თუ მთელ სისტემას ავიღებთ, საქონლის ბრუნვა გაიზარდა 34.615.000 მანეთიდან — 67.719.000 მანეთამდე ანუ 95,6 პროცენტით. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში ეს ბრუნვა აღწევს 47,627 მანეთს, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე 1927 წლის მთელი წლიური ბრუნვა. (34.615.000).

ამ ციფრებში არ შედის თბილისის მუშკოოპის საქონლის ბრუნვა და იგი ცალკე უნდა იქნეს აღნიშნული.

1926-27 წელს თბილისის მუშკოოპის საქონლის ბრუნვა უდრიდა 19.496.000 მანეთს, შემდეგ წელს ამ ციფრმა მიაღწია 30.684.000 მან. 1928-29 წ.—42.052.000 მანეთს, ხოლო მიმდინარე წლის ექვს თვეში ბრუნვა უდრის 30.012.000 მანეთს.

ამგვარად ცეკავშირის სისტემაში შემავალი მთელი კოოპერატიული ქსელის (აფხაზეთის გამოკლებით) ბრუნვა სამი წლის განმავლობაში შემდეგი ციფრებით გამოიხატება: 54.111.000 მანეთი, 78.018.000 მანეთი და 109.771.000 მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვის ბრუნვა შეადგენდა 77.639.000 მანეთს.

კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა სისტემატიურად უმჯობესდება. ქსელის საკუთარი თანხებმა 6.630.800 მანეთიდან მიაღწია 10.101.200 მანეთს, უკანასკნელი წლის წმინდა მოგება უდრის 1.200.000 მანეთს.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ კოოპერაციაში მატულობს დანარიცხები და საერთო სავაჭრო ხარჯები. აქ დაუფარავად უნდა ითქვას, რომ, თუმცა ქსელში ტარდებოდა ღონისძიებები ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯების და დანარიცხების შემცირების შესახებ, მცირედენ ზრდას ამ მხრივ მაინც აქვს ადგილი (დანარიცხები 14,2 პროცენტიდან გაიზარდა 14,4 პროცენტამდე, საერთო სავაჭრო ხარჯები 9,7 პროცენტიდან 10,6 პროცენტამდე), რაც აიხსნება ხარჯების ნაწილში გადასახადების საგრძნობი ზრდით და დანარიცხების ნაწილში საქონლის ასორტიმენტის გაფართოებით მეორე და მესამე მოთხოვნილების საგნების ანგარიშზე. თვით ცენტრს (ცეკავშირს) შეუდრეკლად აქვს აღებული კურსი ხარჯების შემცირებაზე, რაც სჩანს იქიდან, რომ ეს ხარჯები 1927-28 წელს შეადგენდა 2,3 პროცენტს, 1928-29წ.—2 პროცენტს, ხოლო 1929-30 წლის პირველ ნახევარში — 1,8 პროცენტს.

მომხმარებელთათვის სამსახურის გაწევის გაუმჯობესების მიზნით თანახმად შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა მთელ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ჩატარებულ იქნა სპეციალური კამპანია რაცმინიმუმის გასატარებლად. ამ კამპანიის დროს ჩატარებულ ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად გაფართოვდა კოოპერატიული ქსელი, მოეწყო ახალი ფარდულები, შემოღებულ იქნა დატარებითი ვაჭრობა, მრავალი სავაჭრო წერტილები გადაყვანილ იქნა განუწყვეტელ ვაჭრობაზე და შეძლებისდაგვარად სავაჭროებში მოეწყო საქონლის წინასწარი აწონვა და დამზადება. მუშაობა ამ მიმართულებით თანდათან ძლიერდება.

კაპიტალური მშენებლობის გაძლიერება და სახალხო კვების საქმის სათანადო დონეზე დაყენება არის სამომხმარებლო კოოპერაციის მეტად გადაუდებელი ამოცანა. 1927-28 წლის განმავლობაში ცეკავშირის სისტემაში გარდა თბილისის მუშკოოპისა დაბანდებულ იქნა მშენებლობაზე 55.000 მანეთი, ხოლო 1928-29 წელს—199.800 მ.

კაპიტალური დაბანდება მეტწილად ხდება ახალი საწყობების, დუქნების და სასადილოების აგების და მოწყობის დარგში. მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპით გაფართოვებას აფერხებს სახსრების უქონლობა.

სახალხო კვების საქმე ჯერ კიდევ ვერ არის მოწყობილი სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში და ამ მხრით ამჟამად მიღებულია სათანადო ღონისძიებები. სულ სასადილოების რიცხვი პერიფერიის ქსელში ამჟამად უდრის 120-ს. თვით ცეკავშირის მიერ გახსნილია სასადილო-სკოლა, რომელიც მოამზადებს სასადილო კვების დარგისათვის საჭირო მუშაკებს და გაუწევს მათ შესაფერ ხელმძღვანელობას.

სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობაში ამ უკანასკნელად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საორგანიზაციო-საზოგადოებრივ და მასიურ მუშაობას. ძირითადი საკითხები, რომლებიც აქ უნდა აღინიშნოს არის სპეციალური კამპანიების ჩატარება, თვითკრიტიკა, საგაზაფხულო თესვის კამპანიაში მონაწილეობა, სოციალისტ. შეჯიბრება. ინდუსტრიალიზაციის სესხის განაღდებისათვის ხელისშეწყობა, ანგარიშგება მოსახლეობის წინაშე, ღარიბთა შორის და კოოპერატიულ აქტივთან მუშაობა და სხვ. უნდა ითქვას, რომ წარსულთან შედარებით ამ მხრით ადგილი აქვს მნიშვნელოვან მიღწევებს. კოოპერატივებთან და განყოფილებებთან მოწყობილია და ეწყობა ღარიბთა ჯგუფები და მუშაობაში ჩაბმულია კოოპერატიული აქტივი და სადუქნო კომისიები.

საგაზაფხულო თესვის კამპანიაში სამომხმარებლო კოოპერაციის მონაწილეობა გამოიხატება კულტურული ღონისძიების ჩატარებაში, საწევავი მასალით მომარაგებაში და ორგანიზაციულ დახმარებაში. აგრეთვე აქტიურად უნდა ჩაითვალოს კოოპერაციის მონაწილეობა მე-3 ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებაში და ყოველგვარ სპეციალურ კამპანიების ჩატარებაში.

მნიშვნელოვანი გარდატეხაა საჭირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ქსელში მთელი 100 პროცენტით. უნდა განსაკუთრებულად აღინიშნოს, რომ სოციალისტური შეჯიბრის წარმოებას კოოპერაციაში არ აქვს საკმაო მასიური ხასიათი წევრთა ფართო ფენების ამ მოძრაობაში ჩაბმის სახით.

რაც შეეხება თვითკრიტიკას, უკანასკნელს საკმაო ყურადღება ჰქონდა მიქცეული და განსაკუთრებით იშლება იგი კოოპერატივების ხელმძღვანელ და საკონტროლო დამხმარე ორგანოების სხდომებზე და აგრეთვე კოოპერატიულ აქტივის და წევრთა მასების კრებებზე და თათბირებზე. საკმაო გამოხატულებას პოულობდა თვითკრიტიკის გამოყენება აგრეთვე ძირითად კოოპერატივების კედლის გაზეთში და საერთოდ კოოპერატიულ პრესაში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ღარიბთა შორის და აქტივთან მუშაობის, სოცშეჯიბრის და თვითკრიტიკის გაშლის და საერთოდ საორგანიზაციო-საზოგადოებრივ და მასიური მუშაობის დარგში სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით მეტი გაღრმავებაა საჭირო.

ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც გადაწყვეტილ იქნა სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით მდგომარეობს იმაში, რომ სოფლის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით ღარიბთა ფონდიდან 35 პროც. ხმარდება კოოპერატივის წევრთა კოლმეურნეობებში გაერთიანებას და ამ მიზნით ირიცხება ღარიბთა ფონდის 35 პროცენტი. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები მთელი თავისი აქტივობით იქნენ ჩაბმული საკოლმეურნეო მუშაობაში და დახმარება ამ მხრით გამოიხატებოდა ორგანიზაციულ და იდეურ ხელმძღვანელობაში, კოლექტივებისათვის ანგარიშების შედგენაში და კადრების მომზადების საქმეში მონაწილეობით.

რაიონებისათვის კადრების მომზადების მიზნით გაიგზავნა და იგზავნება უმაღლესი კოოპერატიულ კურსებზე კანდიდატები, ჩატარებულ იქნას სამხრეთ - ოსეთისათვის სპეციალური კურსები მოანგარიშეთა მოსამზადებლად, მოეწყო თბილისში ხელმძღვანელ ორგანოებისათვის ულარიბესი გლეხობის და მოჯამაგირეთა კურსები და სხვ.

განსაკუთრებულად ყურადღება ექცევა აგრეთვე ამ რაიონების საქონლით მომარაგებას და კრედიტების მიცემას.

კულტგანმანათლებელ მუშაობის წარმოებისათვის სამომხმარებლო კოოპერაციის მთელ სისტემაში მოწყობილია საჭირო აპარატი. წევრთა მასებში უშუალო კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას და კოოპერატიულ აგიტაცია-პროპაგანდას აწარმოებენ ძირითადი კოოპერატივები, ხოლო მათ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და კადრების მომზადებას აწარმოებს ცეკავშირი.

ამ მუშაობისათვის შექმნილია როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში სპეციალური ფონდი, რომელიც წარმოადგენს ძირითად მატერიალურ წყაროს—კულტგანმანათლებელ მუშაობისათვის.

ცეკავშირი უკვე დიდი ხანია, რაც კოოპერატიულ მუშაკთა მომზადების საქმეს დიდ ყურადღებას აქცევს. 1924 წლიდან ცეკავშირი ყოველწლიურად აწყობდა კოოპერატიულ მუშაკთა (გამგეობის წევრების, მოანგარიშეების და ნოქართა) მოსამზადებელ კურსებს, რომლის მსმენელთა კადრი შესდგებოდა უმთავრესად პერიფერიიდან გამოგზავნილ პირებისაგან. წარსულ სამეურნეო წლიდან კადრების მომზადების საკითხში ცეკავშირი მჭიდროთ დაუკავშირდა სპეციალურ სასწავლებლებს და ამასთან ერთად მოაწყო მუდმივად მომქმედი კოოპერატიული კურსები.

კონკრეტულად ცეკავშირის ღონისძიებანი სამოსწავლო და საკურსო საქმეში წარმოებდება შემდეგნაირად:

საშუალო-ეკონომიურ და კოოპერატიულ ტეხნიკუმების საშუალებით. ასეთი ტეხნიკუმები ცეკავშირის დახმარების და ხელმძღვანელობის ქვეშ არსებობს თბილისში, სიღნაღში, ქუთაისში და ოზურგეთში. აღნიშნულ ტეხნიკუმებში 1928-29 წელს ცეკავშირს ჰყავდა 60 სტიპენდიანტი, რომლის შენახვაზე საჭირო კაბინეტების მოწყობით დაიხარჯა 18366 მანეთი, ხოლო მიმდინარე წელს სტიპენდიანტთა რიცხვი აღწევს 72-ს.

მაღალი კვალიფიკაციის მუშაკთა მომზადების საქმეში ცეკავშირი ემყარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და აგრეთვე მოსკოვის და ლენინგრადის უმაღლეს კოოპერატიულ კურსებს. წარსულ სამეურნეო წელს გაღებულ იქნა სულ 6.000 მანეთი სტიპენდია, ხოლო მიმდინარე წელს აყვანილია კონტრაქტაციის სახით 58 სტუდენტი. გარდა ამისა, მოსკოვის კოოპერატიულ ინსტიტუტში და ლენინგრადის კოოპერატიულ კურსებზე ცეკავშირს ჰყავს გაგზავნილი 7 კაცი საკუთარ ხარჯზე, რომელთაგან 3 მსმენელი მივლინებულია ნაცუმცირესობათა [illegible]ბიდან.

გარდა უმაღლესი სასწავლებლისა და ტეხნიკუმებისა კადრების მომზადების და გადამზადების მიზნით თვით ცეკავშირს მოწყობილი აქვს მუდმივად მომქმედი კოოპერატიული კურსები. ამ კურსებზე სწარმოებს ძირითად კოოპერატივების მუშაკების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება სპეციალობის მიხედვით. აღნიშნული კურსები გაიარა 1928-29 წლის განმავლობაში: კულტმუშაკების კურსები — 72 კაცმა, ნოქრების—99, წიგნით ვაჭრობის—20, კოოპერატივების გამგეობის და სარევიზიო კომისიების წევრების—43 და კინო-მექანიკოსების—15. გარდა ამისა, მაზრებში ჩატარებულ იქნა მოკლევადიანი კურსები, რომელიც დაამთავრა 131 მსმენელმა.

მიმდინარე სამეურნეო წელს კიდევ უფრო გაღრმავებულ იქნა მუშაობა ამ დარგში. განვლილ ნახევარ წლის განმავლობაში კულტმუშაკების კურსები გაიარა 110 კაცმა, ნოქრების—76, ძირითად კოოპერატივების ხელმძღვანელ ორგანოების ულარიბესი გლეხობის და მოჯამაგირეთაგან—99, ბუხჰალტერების—82, ცეკავშირის აპარატში დაწინაურებულ მუშაკების—11, კოოპერატიული სკოლა—26, დემობილიზაციაქმნილ წითელარმიელებისათვის სპეციალურად მოწყობილი კურსები—33 და კახეთის ოლქის განათლების განყოფილებასთან ერთად კოლმეურნეობათა მოანგარიშეებისათვის მოწყობილი კურსები 134 კაცმა. ამრიგად, სულ ნახევარი წლის განმავლობაში საკურსო მუშაობაში ჩაბმული იყო სულ 521 კაცი.

კინოფიკაციის საქმე ცეკავშირმა დაიწყო 1928 წლიდან. ამჟამად სულ მოწყობილია ქსელში 9 კინო-ამხანაგობა 28 კინოაპარატით. გარდა ამისა თვით ცეკავშირს აქვს კიდევ 9 მოძრავი აპარატი. წარსულ სამეურნეო წელს მიცემულ იქნა 782 სეანსი 96.406 მაყურებელთა რიცხვით, ხოლო მიმდინარე წლის 1-ლ ნახევარში 2.108 სეანსი 245.785 მაყურებელთა რიცხვით.

რადიოფიკაციის საქმე დაიწყო მხოლოდ მიმდინარე 1928-29 წელს და ამჟამად მოწყობილია სამტრედიის რაიონში 4 მიმღები სადგური 120 წერტილით, ხოლო განზრახულია წლის დამლევისათვის აყვანილ იქნეს სადგურების რიცხვი 30-დე 3.000 წერტილით.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ცეკავშირმა მთავარ პოლიტგანის იდეოლოგიური ხელმძღვანელობის ქვეშ მოაწყო მოძრავი თეატრი, რომელიც მოგზაურობს სხვადასხვა ჩამორჩენილ სოფლებში: ამ თეატრმა მისცა წარმოდგენა (ანტირელიგიური, ცრუქიმბაზობის წინააღმდეგ და კოოპერატიული შინაარსის) ქართლის 46 სოფელში.

წარსულ სამეურნეო წლის და მიმდინარე წლის პირველ ნახევრის განმავლობაში ცეკავშირის და ძირითადი კოოპერატივების მიერ მოწყობილია: საბავშვო ბაღი—10, საბავშვო ბაგა—4 (მათ შორის—1 კომუნაში და 2 კოლექტივში) და დედათა და ბავშვთა კუთხე 7.

თითქმის ყველა ძირითად კოოპერატივებში კულტგანმანათლებელი მუშაობა მიმდინარეობს გარკვეული გეგმით და ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

წარსულ სამეურნეო წლის განმავლობაში კოოპერატივების მიერ შესრულებულია შემდეგი მუშაობა: ჩატარებულია მასიური საუბრები 1734, საუბრები კოოპკუთხეებში—254, კინოსეანსები (საუბრებით), აგიტგასამართლება და წარმოდგენა—1323, წიგნების და ჟურნალ-გაზეთების ხმამაღლა კითხვა—176, ადგილობრივი ექსკურსიები—108, კოოპკუთხეები და ბიბლიოთეკები—264, კითხვა-პასუხის საღამოები და კოოპბაზრობა—52, მოწყობილია წერა-კითხვის უცოდინარ. სალიკ. სკოლები—56, 500-მდე კოოპერატიული წრე, რომელშიაც გატარდა 13.500 მსმენელი, მათ შორის 5.724 ქალი.

მოკლევადიან აქტივის მოსამზადებლად კურსებზე გატარებულია 100-მდე სადუქნო კომისიის წევრები.

წარსული სამეურნეო წლის განმავლობაში ყველა კოოპერატივების მიერ კულტგანმანათლებელ მუშაობაზე დახარჯულია—200 000-დე მანეთი.

გარდა ყოველივე ამისა პოლიტგანათლების ორგანოებთან ერთად მოწყობილია 675 წერა-კით. უცოდ. სალიკვიდ. სკოლები, კოოპსკოლები და კოოპწრეები 208—7.000 მსმენელთა რიცხვით, ჩატარებულია საუბრები—1460, მოწყობილია კოოპბაზრობა—35, აგიტგასამართლება—54, ჩატარებულია წარმოდგენები და სეანსები საუბრებით—240, კოოპკუთხეები და ბიბლიოთეკები—21 და გამოშვებულია კედლის გაზეთი—140.

ყველა კოოპერატივების მიერ ნახევარ წლის განმავლობაში კულტმუშაობაზე დახარჯულია 123.854 მანეთი, აქედან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებზე დახარჯულია 48.000 მანეთამდე.

თავისთავად ცხადია, რომ იმ დიად ამოცანათა მიმართ, რომლებიც წინ უდგას სამომხმარებლო კოოპერაციას, აღნიშნული მიღწევები სრულიად საკმარისი არ არის. უნდა მოხდეს მუშაობის სრული გარდაქმნა: კოოპერაციის მომავალი მიღწევები უნდა გაიზომებოდეს არა მარტო იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლითაც ის აქამდე ხელმძღვანელობდა (მოსახლეობის შეკავშირების %, საპაიოს აკრეფა, ბრუნვის ზრდა, ბალანსის გაჯანსაღება, ცოტად თუ ბევრად წარმოებული კულტგანმანათლებელი მუშაობა და სხვ.), არამედ განსაკუთრებით მით, თუ როგორ სრულდება გეგმიანობა მისი მუშაობის ყოველ დარგში, როგორ ებმებიან წევრები მის ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორ ვითარდება თვითკრიტიკა, სოც.-შეჯიბრი, როგორ ხდება აპარატის გაწმენდა და მისი რაციონალიზაცია. ყველაფერი ეს მოითხოვს პირველ ყოვლისა მმართველი ორგანოების მუშაობის მეთოდის შეცვლას იმ მიზნით, რომ ისინი ყოველდღიურად ანგარიშს უწევდენ მოსახლეობის, სოციალისტური მშენებლობის ახალ-ახალ მოთხოვნილებებს და ხდებოდენ ამის შემსრულებლები და გამტარებლები.

სამომხმარებლო კოოპერაცია უნდა გადაიქცეს ნამდვილ მასიურ, საზოგადოებრივ ორგანიზაციად. მას ბევრი რამ აქვს ამ მხრივ გასაკეთებელი და მან უნდა შესძლოს ახალ ამოცანების შესაფერისად გადაჭრა.

მ. ტოროშელიძე.

პარტიის ზრდის მოწესრიგების შესახებ

სოციალისტური მშენებლობის წარმატებები და ამასთან დაკავშირებით მუშათა კლასის, ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების აქტივობის ზრდა მთელი თავისი სიმწვავით აყენებს საკითხს პარტიაში მუშების სისტემატიურად მიღების შესახებ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 1928 წ. ნოემბრის პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს პრაქტიკულ ამოცანად დაუსახა იმის მიღწევა, რომ „არა უგვიანეს 1930 წლის დასასრულისა პარტიის შემადგენლობის ნახევარზე არა ნაკლებს შეადგენდნენ მუშები წარმოებიდან". ამ ამოცანასთან დაკავშირებით პლენუმმა აუცილებლად სცნო:

„პარტიაში მიღებულ იქნან მუშათა კლასის მართლაც მოწინავე ელემენტები, რომელთაც შესწევთ უნარი წინ გაუძღვენ მუშათა მასებს სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა პრაქტიკულად დასაძლევად, წვრილბურჟუაზიულ იდეურ მერყეობისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, პარტიისადმი ნდობის ყოველმხრივ ასაწევად მუშების და სოფლის მშრომელთა მასებს შორის".

ჯერ განვიხილოთ—როგორ ატარებენ პარტიული ორგანიზაციები დირექტივის პირველ ნაწილს (რიცხვობრივ დავალებას).

ერთი წლის მანძილზე საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობის შემდეგ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს პარტიაში მუშების მიღების საქმეში აქვთ ერთგვარი მიღწევები. ერთ-ერთ მთავარ მიღწევად ამ მუშაობაში უნდა ჩაითვალოს სტალინის შეკრების—2000-დე მუშის შემოსვლა პარტიაში ამ წლის დამდეგს. ამ წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა პარტიულ ორგანიზაციების **სოციალური შემადგენლობა**. 1929 წლის 1 აპრილისათვის საქართველოს კომპარტიაში მუშათა ხვედრითი წონა უდრიდა 48,1 პროცენტს, მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის კი მუშები უკვე 53,1 პროცენტს შეადგენენ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ, თუ ავიღებთ ზრდის აბსოლიუტურ ციფრებს, დავინახავთ, რომ ამ წლის განმავლობაში პარტიაში მიღებულთა თითქმის მთელს რაოდენობას მუშები შეადგენენ.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად ჩვენ ძალიან ბევრი ნაკლი გვაქვს პარტიის სწორი ზრდის საქმეში.

პირველი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, —ეს არის უაღრესად სუსტი მუშაობა პარტიაში მუშების მისაღებად პარტიის წმენდასთან დაკავშირებით. მიუხედავად მე-6-ე ყრილობის პირდაპირი დირექტივისა, რომ პარტიის წმენდასთან ერთად აუცილებლად უნდა სწარმოებდეს პარტიაში მუშების მიღება, წმენდის დროის განმავლობაში ჩვენს ორგანიზაციებს თითქმის არ გაუწევიათ მუშაობა მუშების მისაღებად. ამის შედეგად მივიღეთ ის, რომ წმენდის დროის განმავლობაში საქართველოს კომპარტიაში მიღებული იყო დაახლოებით 400 კაცამდე. თუ განვიხილავთ პარტიის ზრდის ტემპებს 1929 წლის განმავლობაში დავინახავთ აგრეთვე, რომ წლის დასაწყისში (ე. ი., 1928 წ. ნოემბრის პლენუმის მიერ პარტიის ზრდის შესახებ დადგენილების მიღების მახლობელ ხანებში) მუშების მიღება სწარმოებდა დამაკმაყოფილებლად, შუა წელიწადში (სწორედ წმენდის დროს) მუშების მიღების ტემპი შენელდა და მხოლოდ 1929 წლის ბოლოს და 1930 წლის დამდეგს გაძლიერდა მუშების პარტიაში მიღება.

ხაზი უნდა გაუსვათ აგრეთვე პარტიაში მოჯამაგირეების სუსტად ჩაბმას. მართალია, ერთი წლის განმავლობაში მე-6-ე ყრილობის შემდეგ გაიზარდა მოჯამაგირეების რიცხვი და ხვედრითი წონა (1929 წლის 1 აპრილისათვის იყო 544, ანუ 1,6 პროც., 1930 წლის 1 აპრილისათვის კი—776, ანუ 2,3 პროც.), მაგრამ ეს ზრდა არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს.

ასეთივე მდგომარეობაა გლეხების მიღების საქმეშიც. ერთი წლის განმავლობაში მე-6 ყრილობის შემდეგ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ გლეხების ხვედრითი წონა შემცირდა 3,4 პროცენტით. ამ ხნის განმავლობაში პარტიაში მიღებული იყო მხოლოდ 70 გლეხი.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ მიუხედავათ საერთოდ სწორი ხაზისა და მუშაობისა პარტიის ზრდის საქმეში, ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ ვერ მოაგვარეს სწორი მუშაობა პარტიაში მუშების და გლეხების მიღების საქმეში.

პარტიას უდიდესი რეზერვები ჰყავს მუშათა კლასში. საკმარისია მივუთითოთ იმაზე, რომ საქართველოში დამკვრელობითი მოძრაობაში ჩაბმულია დაახლოვებით 25.000 მუშა, ასობით უპარტიო მუშები სწავლობენ სხვადასხვა კურსებზე პროფკავშირების ხაზით, სოცშეჯიბრების მსვლელობის შემოწმების დროს აქტიურ მუშაობაში სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების შესამოწმებლად საწარმოებში ჩაბმული იყო დაახლოებით 7.000 დამკვრელი. მუშაობაში სახელმწიფო აპარატის გასაწმენდად გამოიწვრთნენ ასობით მუშები, რომლებმაც მიიღეს პრაქტიკული მომზადება სახელმწიფო აპარატისათვის მასიურ, მუშურ კონტროლის გაწევის საქმეში. საშეფო ორგანიზაციების ხაზით უკანასკნელი წლის განმავლობაში მასიური მუშაობის სკოლა გაიარეს ასობით მუშებმა. დაბოლოს, წარმოებაში ჩვენ გვყავს სოციალიზმის საქმის ერთგული არა ერთი ათეული სპეციალისტი, რომელნიც მთელს თავის ცოდნას და ძალას სწირავენ მრეწველობის აღორძინების და რეკონსტრუქციის საქმეს.

განა ეს არ არის საუკეთესო რეზერვები, საიდანაც პარტიამ უნდა შემოიმატოს საუკეთესო კადრები? სავსებით ცხადია, რომ პარტიულ-მასიური მუშაობა კიდევ არ არის ისე დაყენებული, რომ სისტემატიურად ხდებოდეს სოციალისტურ მშენებლობის მოწინავე ფრონტზე საუკეთესო მებრძოლთა პარტიაში ჩაბმა.

საკოლმეურნეო მოძრაობის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ პარტიას სოფლად ძლიერი დასაყრდენი აქვს ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა მასებში. კლასობრივი ბრძოლის პროცესში იჭედება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის მებრძოლთა მოწინავე აქტივი, რომელიც აგრეთვე საუკეთესო რეზერვია პარტიისათვის. პარტიის რიგები სისტემატიურად უნდა ივსებოდეს ამ აქტივიდან. მოჯამაგირეების, ღარიბი და საშუალო გლეხებისაგან გამოსული უპარტიო აქტივისტების ასეულებმა, რომელთაც გაიარეს საკოლმეურნეო მშენებლობის სკოლა და მომზადება სხვადასხვა კურსებზე, უნდა გამოჰყონ თავიანთ წრიდან საუკეთესო და ერთგული ამხანაგები, რომელთაც შეუძლიათ პარტიის რიგების შევსება. უნდა ითქვას, რომ ამ დარგში სოფლის უჯრედის მუშაობა დიდათ მოიკოჭლებს.

პარტიული მუშაობის გარდაქმნამ, რომელიც ამჟამად სწარმოებს, წარმოებებში და სოფლად უნდა გამოასწოროს ეს უდიდესი ნაკლი. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უპარტიო აქტივთან მუშაობას. უჯრედის ირგვლივ, როგორც საწარმოებში, ისე სოფლად, თავმოყრილი უნდა იქნეს უპარტიო აქტივი. საჭიროა ამ აქტივთან მუდმივი მუშაობა, მისი ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში უჯრედის დავალებათა მიხედვით. ისეთი ამხანაგები, რომელნიც თავს გამოიჩენენ პრაქტიკულ მუშაობაში, მას შემდეგ, რაც ისინი შემოწმებული იქნებიან იმ მხრივ, თუ რამდენად შეუძლიათ მათ პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლა, უჯრედებმა უნდა ჩააბან პარტიული განათლების ქსელში, ხოლო საუკეთესო მათგანი უნდა შეარჩიონ პარტიის რიგებში ჩასაბმელად.

უპარტიო აქტივთან ასეთ მუშაობის დიდ მნიშვნელობას განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის (1928 წლ.) პლენუმმა თავის დადგენილებაში: „ემყარება რა თავის მუშაობაში ამ უპარტიო პროლეტარულ აქტივს, ხელს უწყობს რა ყოველმხრივ მის შემდგომ გაფართოებას, აგრეთვე მის კულტურულ და პოლიტიკურ ზრდას, ჰკრებს რა მისგან შესაფერ ძალებს თავის ორგანიზაციისათვის, პარტია უდიდეს საქმეს აკეთებს იმისათვის, რომ მუშები უფრო აქტიურად ჩაბმულ იქნენ ინდუსტრიის განვითარების საქმეში და მთელს სოციალისტურ მშენებლობაში, რომ სერიოზულად გამოცოცხლებულ იქნენ მასიური ორგანიზაციები და გაშლილ იქნენ ჭეშმარიტი პროლეტარული დემოკრატია და, დაბოლოს, რომ ყოველმხრივ განამტკიცოს თავისი კავშირი მუშათა კლასის მასებთან".

ჩვენ ნაკლი გვაქვს აგრეთვე კომკავშირის რეზერვის გამოყენების საქმეშიაც. კომკავშირის აქტივი არასაკმაოდ არის ჩაბმული მასიურ პარტიულ მუშაობაში. მიუხედავად იმისა, რომ კომკავშირის სკოლა საუკეთესო რეზერვებს ამზადებს პარტიისათვის, საგრძნობი კადრები მუშა - კომკავშირელებისაგან რჩებიან „ასაკს გადაცილებულებად", თანდათან შორდებიან პარტიულ - კომკავშირულ ორგანიზაციებს. მართალია, გასული წლის განმავლობაში პარტიაში მიღებულთა შორის კომკავშირელები 39,4 პროცენტს შეადგენენ, რაც სწორად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საჭიროა შემდეგშიაც გავაძლიეროთ პარტიაში კომკავშირელების მიღება; განსაკუთრებით საჭიროა მუშაობის გაძლიერება „ასაკს გადაცილებულებთან" და იმათგან რეზერვების მომზადება პარტიისათვის

პარტიის მე-6 ყრილობის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს კომპარტია საგრძნობლად განმტკიცდა, იდეურად გაიზარდა, ბრძოლაში ყოველგვარ ნაკლოვანებებთან, თვითკრიტიკის ცეცხლში, ბრძოლაში სამრეწველო - საფინანსო გეგმისათვის, ბრძოლაში კოლმეურნეობებისათვის, პარტიამ გამოსჭედა მოწინავე უპარტიო აქტივის ახალი კადრები მუშებისა, მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხებისაგან. უპარტიო აქტივის ეს რაზმები, რომელნიც მრავალი ძაფით არიან დაკავშირებული პარტიასთან, საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ ჩვენი პარტია, მუშათა კლასის პარტია შემდეგშიაც ასევე წარმატებით წაიყვანს მასებს ახალი გამარჯვებებისაკენ სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ორ ფრონტზე ბრძოლით, პარტიულ და უპარტიო მასების ამ ბრძოლის მიხედვით აღზრდით პარტია შემდეგშიაც უზრუნველჰყოფს თავისთვის მტკიცე კადრებს პარტიის გენერალური ხაზისათვის.

პარტმუშაკი.

კოლმეურნეობანი საქართველოში

1929 წლის ივნისში, როდესაც საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობა შეიკრიბა, საკოლმეურნეო მოძრაობას საქართველოში ჯერ კიდევ არ ჰქონდა გლეხთა ძირითადი ფენების მასიური მოძრაობის ხასიათი. 1928 წლის იანვრიდან (როდესაც, საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებათა შემდეგ, ჩვენში პირველად დადგა საკოლმეურნეო მოძრაობა პრაქტიკულ ნიადაგზე) ზემოაღნიშნულ მომენტამდე კოლექტიურ მეურნეობებში დახლოებით გაერთიანებული იყო 13.000 მეურნეობა, ანუ ყველა მეურნეობათა 3 პროცენტი. მეურნეობათა მთელი ეს მასა გაერთიანებული იყო 889 კოლმეურნეობაში, რომლებიც გაფანტული იყვნენ საქ. ს. ს. რ. სოფლის მეურნეობის სივრცეზე. ეს კოლმეურნეობები მათში გაერთიანებული მეურნეობების რიცხვის მიხედვით მეტად პატარები იყვნენ (საშუალოდ თითო კოლმეურნეობა აერთიანებდა 15—16 მეურნეობას) და იმავე დროს ისინი სოციალური შემადგენლობით, უმთავრესად ღარიბი მეურნეობებისაგან შესდგებოდენ. საშუალო გლეხობის სრულიად უმნიშვნელო ხვედრითი წონის გამო ძალიან უმნიშვნელო იყო ამ კოლმეურნეობების წარმოების დონეც. მაგალითად, ჩვენს ხელთმყოფი ცნობებით, 1929 წლის გაზაფხულის ნათესების ფართობი სულ უდრიდა 9.500 ჰექტარს, რაც კოლმეურნეობაში გაერთიანებულ თვითეულ ცალკე კოლმეურნეობაზე იძლევა სამ მეოთხედ ჰექტარს, მაშინ, როდესაც თვითეულ მათგანზე სათესი ფართობი შეადგენდა 1,3 ჰექტარზე მეტს. ამრიგად, მაშინ როდესაც კოლმეურნეობებში ყველა მეურნეობათა 3 პროცენტი იყო გაერთიანებული, განსაზოგადოებული საგაზაფხულო ნათესების რაოდენობა შეადგენდა მხოლოდ 1,5 პროცენტს. 1929 წლის გაზაფხულისათვის არსებული კოლმეურნეობების საგაზაფხულო ნათესების ფართობის სიმცირე რამდენიმედ იმითაც აიხსნება, რომ ამ ვადისათვის მიწადსარგებლობის განსაზოგადოების პროცენტი ძალიან დაბალი იყო. მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ნათესების კოლექტივიზაციის პროცენტის მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტისაგან „ჩამორჩენის" მეორე მიზეზია სწორედ საშუალო გლეხობის აღნიშნული ფრიად მცირე მონაწილეობა საკოლმეურნეო მოძრაობაში.

1929 წლის შემოდგომიდან საკოლმეურნეო მოძრაობა უფრო სწრაფ ტემპზე გადადის და პირველ დეკემბრისათვის უკვე საგლეხო მეურნეობათა 6,3 პროცენტს აერთიანებს, რაც ორჯერ აღემატება იმავე პირველ ივნისს არსებულ პროცენტს.

პირველ დეკემბრისათვის ჩვენ უკვე გვქონდა 1.400 კოლმეურნეობა, რომელთაგან რამდენიმე უკვე საკმაოდ მსხვილი იყო, როგორც მათში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვის, ისე განსაზოგადოებული მიწადსარგებლობის სიფართოვის მიხედვით. კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი კი სულ შეადგენდა 28.806.

რაც შეეხება საკითხს, თუ როგორი იყო ამ დროს კოლმეურნეობებში შემავალი გლეხობის სოციალური შემადგენლობა, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ამ საკითხის შესახებ არსებული ცალკე ცნობები ამტკიცებენ, ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში საკოლმეურნეო მოძრაობაში საშუალო გლეხობის მონაწილეობა უფრო თვალსაჩინო ხდება, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მონაწილეობა ჯერ კიდევ სუსტია.

საშუალო ჯგუფების მასიური საკოლმეურნეო მოძრაობა დამახასიათებელი ხდება მხოლოდ წარსული წლის დეკემბრიდან, როდესაც კოლექტივიზაციის აჩქარებული ტემპის გამო, შედარებით მოკლე ხანში, 2—3 თვის განმავლობაში, მთელ რიგ რაიონებში კოლექტივებში გაერთიანებულ იქნა რაიონის 20,30 და 40 პროცენტი. ეს რამდენიმე თვე იყო ნამდვილი პერიოდი, როდესაც ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობები მასიურად გადადიოდენ კოლექტიური წარმოების რელსებზე, როდესაც მიმდინარეობდა სულ ახალი და ახალი და მასთან ერთად საკმაოდ მსხვილი კოლმეურნეობათა შექმნა. თებერვლის დამდეგისათვის გამოიკვეთა მთელი რიგი რაიონები, სადაც გლეხთა ძირითადი ფენების საკოლმეურნეო მოძრაობის სიძლიერე აშკარად გვიმტკიცებდა, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია ამ რაიონების გადაყვანა მთლიან კოლექტივიზაციაზე. ამ პერიოდში კოლმეურნეობებში შესულ მეურნეობათა რიცხვი რამდენიმეჯერ გაიზარდა, თუმცა ის გარემოება, რომ საწესდებო ჩამოყალიბების საქმე ძლიერ ჩამორჩებოდა სწრაფად მოზარდ კოლმეურნე-

სოფლად პარტიული მუშაობის მორიგ საკითხებზე

ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც დგანან პარტიის წინაშე სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სფეროში, განსაკუთრებული სიმწვავით სვამენ, ყველაზე მეტად ამჟამად, სოფლის ორგანიზაციის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნის საკითხს.

ჩვენი პარტია ორგანიზაციულ ფორმას ყოველთვის უქვემდებარებდა სწორ პოლიტიკას. ამჟამად სავსებით ცხადია, რომ აღდგენითი პერიოდის მუშაობის ფორმები და მეთოდები პარტიულ ორგანიზაციების მხრივ გარდაქმნას მოითხოვენ. როგორია დამახასიათებელი ნიშნები უკანასკნელი პერიოდისა, რომელიც მოითხოვს სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობის მეთოდების გარდაქმნას?

„დამახასიათებელი ნიშანი ჩვენი მუშაობისა უკანასკნელ წელს არის ის, რომ ჩვენ, როგორც პარტიამ, როგორც საბჭოთა ხელისუფლებამ ა) გავშალეთ შეტევა მთელ ფრონტზე სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ და ბ) ამ შეტევამ მოგვცა და, როგორც ვიცით, კვლავ გვაძლევს, უაღრესად ხელშესახებ **დადებით** შედეგებს. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების **შეზღუდვის** პოლიტიკიდან ჩვენ გადავედით კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ განვახორციელეთ და კვლავ ვახორციელებთ ერთ-ერთ გადამწყვეტ მობრუნებას მთელს ჩვენ პოლიტიკაში" (სტალინი „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის", გვ. 14).

ცხადია, რომ ეს პოლიტიკა მოითხოვს სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობის გადაჭრით შეცვლას ეხლანდელ ეტაპზე, მასიური კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, — მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე — ლიკვიდაციის ამოცანებთან შეფარდებით.

ამისდა მიხედვით სოფლის პარტორგანიზაციების პრაქტიკული ამოცანა ის არის, რომ „ანგარიში გაუწიონ რამდენიმე ათეული მილიონი გლეხური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის გზების მთელ სირთულეს და სხვადასხვაობას და ყოველმხრივ განავითარონ თვით მასების ინიციატივა და თვითმოქმედება კოლმეურნეობათა მშენებლობაში, ამასთან ერთად უნდა გაძლიერდეს პარტიის ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო მოძრაობის მიმართ და უნდა განვითარდეს ახალი ფორმები მუშათა კლასის სოფლის ძირითად მასებთან კავშირისა და მათთვის დახმარების გაწევის ახალი ფორმები სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში". (ნოემბრის პლენუმი).

რა წარმოადგენს სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობის „ძირითად რგოლს"? უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ოპორტუნისტები, რომელნიც ამ უკანასკნელ პერიოდში კოლექტივიზაციის საქმეში დაშვებულ შეცდომებს პარტიის გენერალური ხაზის პრაქტიკულად განხორციელების აუცილებელ შედეგად სთვლიან, ფიქრობენ, რომ ეხლანდელ პერიოდში კოლექტივიზაცია საქართველოში, როგორც პრაქტიკული ამოცანა, მოხსნილია და ამასთან დაკავშირებით მოხსნილია ის ამოცანაც, რომ მომზადებულ იქნან ყველა პირობები კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. ცხადია, რომ ამ პირწავარდნილ ოპორტუნიზმს საერთო არაფერი აქვს პარტიის ხაზთან ამ საკითხში. ეს ამხანაგები ფიქრობენ, რომ თუ პრაქტიკულ მუშაობაში პარტორგანიზაციებმა ზოგიერთი გადახვევა და გამრუდება დაუშვეს საშუალო გლეხის მიმართ, ეხლა ამის გამოსწორება თითქოს იმით შეიძლება, რომ ხელი უნდა ავიღოთ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვაზე და უნდა შევასუსტოთ ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. ასეთი ამხანაგების შესახებ ამხ. სტალინი ამბობდა:

„ზოგი ფიქრობს საშუალო გლეხთან კავშირის დამყარებას კულაკობასთან ბრძოლაზე ხელის აღებით ან ამ ბრძოლის შესუსტებით: აქაო და, კულაკობასთან ბრძოლამ შეიძლება საშუალო გლეხობის ნაწილი, მისი შეძლებული ნაწილი დააფრთხოსო. სხვები ფიქრობენ დაამყარონ კავშირი საშუალო გლეხთან ღარიბი გლეხობის დარაზმვისათვის მუშაობაზე ხელის აღებით, ან მუშაობის შესუსტებით: აქაო და, ღარიბი გლეხობის დარაზმვა ღარიბი გლეხობის განკერძოებას იწვევს, ხოლო განკერძოებამ შეიძლება საშუალო გლეხობა დააფრთხოსო. სწორი ხაზიდან ამ გადახვევების შედეგად ვღებულობთ იმას, რომ ივიწყებენ იმ მარქსისტულ დებულებას, რომ საშუალო გლეხი არის მერყევი კლასი, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმება შეიძლება მკვიდრი გახდეს მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლით კულაკთან და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის გაძლიერებით".

(სტალინი: „ლენინიზმის საკითხები", გვ. 638).

რა წარმოადგენს ამჟამად ძირითად პირობას პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის სოფლად, შემდგომი შეტევისათვის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ფრონტზე? „აქ მთავარი საქმეა გამბედაობის გამოჩენა, თავიანთი შეცდომების აღიარება და ძალღონის პოვნა ამ შეცდომების უმოკლეს ვადაში ლიკვიდაციისათვის" (სტალინი).

აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს განწყობილება — უკან დახევად შეაფასონ პარტიის უკანასკნელი გადაწყვეტილებანი შეცდომების გამოსწორების შესახებ. ეს აშკარად შემცდარი გეზი შეიძლება გამოიჩინონ მხოლოდ იმ ამხანაგებმა, ვინც თავიდანვე **ვერ გაიგო** პარტიის დირექტივები, ვინც სწორად არ ანხორციელებდა მათ და ეხლაც **არ სურს** შეცდომების გამოსწორება.

აი რას ამბობს ამხ. სტალინი ასეთი ამხანაგების შესახებ:

„ჩვენ გვსურს, რომ იმ მუშაკებმა, რომლებმაც შეცდომები და გამრუდებები დაუშვეს, უკან დაიხიონ თავიანთი ხეპრული ნაბიჯებიდან ლენინიზმის პოზიციებზე. ჩვენ გვსურს ეს, ვინაიდან მხოლოდ ამ პირობით იქნება შესაძლებელი გაგრძელდეს ნამდვილი შეტევა ჩვენს კლასობრივ მტრებზე. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ უკან ვიხევთ? რა თქმა უნდა, არა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურს ვაწარმოოთ სწორი შეტევა და არა შეტევის ხეპრული თამაში".

(სტალინი — „პასუხი ამხ. კოლმეურნეებს").

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ დაშვებული შეცდომებისა და პარტიის გენერალური ხაზიდან „გადახვევების" გამოსწორება წარმოადგენს შემდგომი წინსვლის **ძირითად** პირობას.

⁂

ჩვენი პარტორგანიზაციების მიერ ამ უკანასკნელ თვეებში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ფრონტზე მიღებული გამოცდილება მთელი სიმწვავით აყენებს საკითხს სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის ტემპების დაჩქარების შესახებ. სავსებით ცხადია, რომ ეს შეცდომები და გადახვევები, რომლებიც პარტიამ კოლმეურნეობათა მშენებლობის პრაქტიკაში ამ უკანასკნელ დროს აღმოაჩინა, უმთავრესად წარმოადგენს ბევრი ჩვენი სოფლის პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობის შედეგს. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — გარდავქმნათ სოფლის უჯრედების მუშაობის ფორმები, მეთოდები და შინაარსი, შევცვალოთ ისინი პარტიის იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომელნიც გამომდინარეობენ იმ სამეურნეო - პოლიტიკური პროცესებიდან, რაც სოფლად ხდება.

მაგრამ უაღრესად ძნელია სოფლის პარტმუშაობის გარდაქმნის საკითხების **პრაქტიკულად** დასმა ამჟამად, უმთავრესად იმიტომ, რომ პარტმუშაობის გარდაქმნის გამოცდილება ჩვენ ჯერ არა გვაქვს. თუ მოიპოვება ზოგიერთი ცნობები საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონების — ჩრდილოეთ - კავკასიის, შუა და ქვემო ვოლგის — პარტმუშაობის შესახებ, — ეს ცნობები ნაწყვეტ-ნაწყვეტია, შემოწმებული არაა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პრაქტიკით, ხოლო უმთავრესი ის არის, რომ გარდაქმნის ძირითად რგოლს იქ უკვე კოლმეურნეობის უჯრედი წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ჩვენში კოლმეურნეობის უჯრედი ჯერ კიდევ არ შეიძლება მთავარ ფორმას წარმოადგენდეს. ამიტომ ამ რაიონების გამოცდილება არ შეიძლება წარმოადგენდეს ჩვენთვის სოფლის პარტმუშაობის გარდაქმნის ნიმუშს. მიუხედავად ამისა, უნდა გამოვიყენოთ ეს გამოცდილება და შევუფარდოთ იგი ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის ამოცანებსა და პირობებს.

სოფლის პარტმუშაობის გარდაქმნის ძირითად პირობად უნდა დავისახოთ არა უბრალო ორგანიზაციული გარდაქმნა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სოფლის უჯრედის მუშაობის **შინაარსის** შეცვლა. უჯრედის მუშაობის ცენტრად, „ძირითად რგოლად" უნდა გადაიქცეს მუშაობა სასოფლო - სამეურნეო წარმოების მიმართ. უჯრედმა ამ ამოცანას უნდა დაუქვემდებაროს მთელი მუშაობა სოფლად და ისე უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა, რომ სათავეში ჩაუდგეს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების აქტივობას და ჩამორჩენისა და წინ წახტომის გარეშე გაუძღვეს სოფელს სოციალისტურად გარდაქმნის გზაზე.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (ბ) ჯერ კიდევ ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების კოლმეურნეობებისაკენ მასიურ ლტოლვასა და სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით საჭიროა საკოლმეურნეო მოძრაობის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება და განმტკიცება. „ამისათვის საჭიროა პარტიის ყველა სასოფლო უჯრედების უაღრესად აქტიური მონაწილეობა კოლმეურნეობათა მშენებლობაში, აგრეთვე საკოლმეურნეო მოძრაობისათვის ყველა პარტიული ორგანიზაციების მხრივ დახმარების გაწევის ყოველნაირად გაძლიერება" (საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმი).

ამიტომ სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნა უნდა დაექვემდებაროს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანას. ამასთან შეფარდებით მუშაობის გარდაქმნის დროს ყოველ ცალკე რაიონში ანგარიში უნდა გაეწიოს ყველა თავისებურობას, განსაზღვრული სასოფლო - სამეურნეო რაიონის განსაკუთრებულ პირობებს და პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები უნდა შეეფარდნენ რაიონის პრაქტიკულ ამოცანებს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში.

ამხ. სტალინი თავის წერილში „პასუხი ამხ. კოლმეურნეებს" განსაკუთრებით აღნიშნავს საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ ერთ-ერთ შეცდომას — სხვადასხვა რაიონების პირობათა სხვადასხვაობისათვის ანგარიშის გაწევის პრინციპის დარღვევას:

„დაარღვიეს ლენინის პრინციპი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში არსებული მრავალფეროვანი პირობების გათვალისწინებისა საკოლმეურნეო მშენებლობის მიმართ. დაივიწყეს, რომ საბჭოთა კავშირში არსებობს სავსებით მრავალფეროვანი ოლქები სხვადასხვანაირი ეკონომიური წყობით და კულტურული დონით. დაივიწყეს, რომ ამ ოლქებს შორის მოიპოვებიან მოწინავეები, საშუალოები და ჩამორჩენილები. დაივიწყეს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ტემპები და მეთოდები არ შეიძლება ერთნაირი იყოს ამ სრულიად არაერთნაირ ოლქებისათვის".

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ პარტმუშაობის გარდაქმნის დროს ამ სხვადასხვაობის გათვალისწინების პრინციპი უნდა იყოს პარტმუშაობის გარდაქმნის მთავარი პირობა.

საქართველოში, მოწინავე სასოფლო-სამეურნეო რაიონებთან ერთად, სადაც მთელი რიგი ეკონომიური პრინციპები გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე (დასავლეთ - საქართველოს ნაწილი: ჩაი, აგრო - ინდუსტრიალური კომბინატი; გორის ოლქი: სამანქანო - სატრაქტორო სადგურის და სხვა), რომლის გზასაც დაადგენ ამ რაიონების ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობანი, გვაქვს აგრეთვე ჩამორჩენილი რაიონებიც (აჭარისტანი, ქუთაისის ოლქის მთლიანი ნაწილი, აფხაზეთი და სხვები), სადაც საგულისხმოა საყოფა-ცხოვრებო ჩამორჩენილობასთან ერთად, კავსა და თოხს ჯერ კიდევ დიდი ადგილი უჭირავთ იქაურ ნახევრად ნატურალურ მეურნეობაში. მთელ რიგ კულტურულად და ყოფა-ცხოვრების დარგში ჩამორჩენილ რაიონებში ჩვენ უკვე ვხედავთ სოფლის მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის პროცესებს (ბორჩალო, აფხაზეთი და სხვა) ტრაქტორისა და გუთნის შემოღების შედეგად.

ეს სხვადასხვაობა, უეჭველია, ართულებს პარტიული მასიური მუშაობის გარდაქმნის პირობებს საქართველოში. თუ მოწინავე სასოფლო - სამეურნეო რაიონებში ჩვენ უკვე ახლა შეგვიძლია ჩავთვალოთ საკოლმეურნეო უჯრედი „ძირითად რგოლად" დანარჩენ რაიონებში მუშაობა ისე უნდა გარდაიქმნას, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ღონისძიებები და „მთლიანი კოლექტივიზაციისათვის ყველა პირობების მომზადება" გადაიქცეს პარტიული მუშაობის „ძირითად საქმედ".

როგორ აყენებდა საკითხს ჩვენი სოფლის სამეურნეო ამოცანების შესახებ ლენინი? ის ამბობდა, რომ არ შეიძლება „ჩვენი დეკრეტები", რომლებიც სწორია, **თავზე მოვახვიოთ** გლეხებს. უნდა შევსძლოთ **საქმით** დავანახვოთ გლეხს, რომ ეს დეკრეტები მისთვის საჭიროა, რომ ისინი ხელსაყრელი არიან ღარიბი და საშუალო სოფლისათვის.

აი რას ამბობდა ამხ. ლენინი ჩვენი პარტიის მე-8 ყრილობაზე:

„ჩვენი დეკრეტები გლეხური მეურნეობის შესახებ არსებითად სწორია. ჩვენ არ გვაქვს საფუძველი უარვყოთ რომელიმე მათგანი, სინანული გამოვსთქვათ რომელიმე მათგანის შესახებ. მაგრამ თუ დეკრეტები სწორია, სწორი არ არის ის, რომ ეს დეკრეტები ძალით მოვახვიოთ გლეხობას. ამის შესახებ არც ერთ დეკრეტში არ არის რაიმე ნათქვამი. ისინი სწორია, როგორც დასახული გზა, როგორც მოწოდება პრაქტიკული ღონისძიებებისაკენ. როდესაც ჩვენ ვამბობთ: „წაახალისე გაერთიანება", ჩვენ ვიძლევით დირექტივებს, რომლებიც ბევრჯერ უნდა იქნეს გასინჯული, რომ გამოიძებნოს მათი გატარების საბოლოო ფორმა. რაკი ნათქვამია, რომ საჭიროა ნებაყოფლობითი თანხმობის მიღწევაო, სჩანს საჭიროა გლეხობის დარწმუნება, საჭიროა დარწმუნება პრაქტიკულად. სიტყვებით ისინი არ დაგარწმუნებინებენ თავს და კარგადაც იზამენ, რომ არ დაგარწმუნებინებენ. ცუდი იქნებოდა, რომ მათ მიეცათ საშუალება დაგვერწმუნებინათ დეკრეტებისა და საგიტაციო ფურცლების მარტო წაკითხვით. ასე რომ ყოფილიყო შესაძლებელი ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნა, მთელი ეს გარდაქმნა ერთ გროშადაც არ ღირს, ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ასეთი გაერთიანება უმჯობესია, ხალხი ისე უნდა გააერთიანო, რომ ისინი ნამდვილად უნდა გაერთიანდნენ და არ გაიფანტონ, — დამტკიცდეს, რომ ეს ხელსაყრელია. ასე სვამს კითხვას გლეხი და ასე სვამენ კითხვას ჩვენი დეკრეტები. თუ ჩვენ დღემდე ამის მიღწევა ვერ შევსძელით, ამაში სამარცხვინო არაფერია, ჩვენ ეს აშკარად უნდა ვაღიაროთ".

(ლენინი. სიტყვა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-8 ყრილობაზე. ტომი მე-16, გვ. 152).

როგორია პარტიულ - მასიური მუშაობის გარდაქმნის ძირითადი პირობები სოფლად?

თავის პასუხში „ამხანაგ კოლმეურნეებს" ამხ. სტალინს, სადაც კოლმეურნეთა მახლობელ ამოცანებს ეხება, გამოჰყავს შემდეგი დასკვნა:

„1) თესვის სწორი ორგანიზაცია,—ასეთია ამოცანა,

2) ყურადღების შემოკრება საკოლმეურნეო მოძრაობის სამეურნეო საკითხების ირგვლივ, — ასეთია საშუალება, რომელიც საჭიროა ამ ამოცანის გადასაწყვეტად".

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ პარტიული ორგანიზაციების უახლოეს და სავალდებულო ამოცანას სოფლად შეადგენს სამეურნეო მუშაობის რელსებზე გადასვლა იმ აუცილებელი პირობით, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ მუშაობაში ფართოდ იქნას ჩაბმული ღარიბ და საშუალო გლეხთა პარტიული აქტივი, რომ ეს აქტივი ჩაბმულ იქნას აგრეთვე სხვა საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულების ხელმძღვანელ მუშაობაში სოფლად, რომ იგი შემოკრებილ იქნას პარტიული ორგანიზაციის ირგვლივ და უკეთესნი მათგანნი შეყვანილ იქნან პარტიის რიგებში.

კოლმეურნეობათა მშენებლობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რამდენად სუსტად არის დაყენებული მუშაობა ღარიბთა, მოჯამაგირეთა და საშუალო გლეხთა აქტივში. ახლა ჩვენთვის სავსებით ნათელია, რომ საშუალო გლეხთა წინააღმდეგ მიმართული გადახვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ზოგიერთი რაიონის კოლექტივიზაციის პრაქტიკაში, შედეგია იმისა, რომ ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობა სუსტი იყო და პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ იყვნენ დაკავშირებულნი საშუალო გლეხებთან.

ამიტომ პარტორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის მთავარ პირობას სოფლად წარმოადგენს მასიური მუშაობის გაუმჯობესება, კავშირის განმტკიცება ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივთან და სისტემატიური მუშაობა ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მავნე წინადადება, რომელიც წარმოიშვა მასიურ საკოლმეურნეო მუშაობასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ მასიური კოლექტივიზაციის პერიოდში ღარიბთა შორის მუშაობა უნაყოფო საქმეა. ისინი მსჯელობენ ასე: თუ კი პარტიის მთავარ ამოცანას შეადგენს საშუალო გლეხთა ჩაბმა კოლმეურნეობაში, რაღა საჭიროა ღარიბთა შორის მუშაობა? ასეთი მსჯელობის სიყალბე სავსებით აშკარაა. ჯერ ერთი, უნდა გვახსოვდეს, რომ საშუალო გლეხთან კავშირის დამყარება მხოლოდ ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით შეიძლება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება „შეიკვეცოს" ლენინის ის ფორმულა, რომელიც შეეხება ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობას, საშუალო გლეხობასთან კავშირს და კულაკობასთან ბრძოლას, არ შეიძლება მისი მხოლოდ ერთი ნაწილის აღება. მეორე —ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოიყოს იმ მუშაობიდან, რომელიც მიზნად ისახავს საშუალო გლეხთა ჩაბმას სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, მესამე — ჩვენ გვაქვს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა გაძლიერდეს ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა სწორედ სოფლის მასიური კოლექტივიზაციის პირობებში და იმის შესახებაც კი, რომ ღარიბთა ჯგუფები მოეწყოს კოლმეურნეობებში. ამიტომ ღარიბთა შორის მუშაობის გაძლიერება სოფლის პარტორგანიზაციების მთავარ ამოცანას შეადგენს.

⁂

სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნის პრაქტიკულ საკითხებზე გადასვლის წინ უნდა შევეხოთ ზოგიერთ ორგანიზაციულ საკითხს.

სქემის შესახებ*) საკავშირო კომპარტიის (ბ) ზოგიერთი ორგანიზაციის პრაქტიკის გადასინჯვა, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალის და ჩვენი მუშაობის პრაქტიკის გადათვალიერება იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ პარტმუშაობის გარდაქმნის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ თვითეული რაიონის თავისებურება. ჯერ ერთი, რაიონები უნდა გაიყოს ორ ტიპად: ა) რაიონები განვითარებული საკოლმეურნეო მოძრაობით (სადაც კოლმეურნეობები განმტკიცდნენ დაახლოვებით ისეთ დონეზე, რომ მათში გაერთიანებულია რაიონის ან სოფლის მეურნეობათა ნახევარზე მეტი) და ბ) რაიონები, რომლის კოლმეურნეობებშიაც გაერთიანებულია რაიონის (სოფლის) მეურნეობათა უმნიშვნელო რიცხვი. მეორე — უნდა გამოიყონ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების, მსხვილი საბჭოთა მეურნეობების და აგროინდუსტრიალური კომბინატის რაიონები.

ასეთი დანაწილების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია მასიურ საკოლმეურნეო რაიონებში ავიღოთ გეზი საკოლმეურნეო რაიონებში (თუნდაც პირველ ხანებში უჯრედი არ იყოს კოლმეურნეობასთან). სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და მსხვილ საბჭოთა მეურნეობების რაიონებში (ისე, როგორც მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში) შეგვიძლია გეზი ავიღოთ პარტ-კოლექტივების ან პარტკომებისაკენ, რომლებსაც ექნებათ საუბნო უჯრედები წარმოების მიხედვით (რაც იმავე დროს შეფარდებული უნდა იყოს ადმინისტრატიულ - ტერიტორიალურ პრინციპებთან). დანარჩენ რაიონებში უჯრედი, ცხადია, ტერიტორიალური უნდა დარჩეს.

რა ძირითად დარგებს უნდა შეიცავდეს სოფლის უჯრედის მუშაობა?

საკოლმეურნეო უჯრედისათვის (სამანქანო-სატრაქტორო რაიონების უჯრედების ჩართვით) ჩვენ ვაყენებთ შემდეგ სქემას: ა) საწარმოო დარგი (თესვის გეგმა, შრომა, საშუალო და ღარიბ გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობებისათვის სამსახურის გაწევა; კადრები: კურსები, ტრაქტორისტების სწავლება და მომზადება და სხვა); ბ) საბჭოების, მასიური მუშაობის, კულტურული მშენებლობის (ღარიბები, მოჯამაგირეები და სხვა) და სხვათა ხელმძღვანელობის დარგი; გ) პარტმუშაობის დარგი.

რამდენიმე სიტყვა ამ სქემის განსამარტავად. იმ შემთხვევაში, როდესაც სამანქანო - სატრაქტორო სადგური კოლმეურნეობათა სუსტი განვითარების რაიონშია მოთავსებული და მახლობლად მყოფი მეურნეობების უმრავლესობა ინდივიდუალურია, უჯრედის საწარმოო დარგის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ შემზადდეს პირობები რაიონის მეურნეობათა კოლექტივიზაციისათვის სრული ნებაყოფლობის საფუძველზე და იმ საფუძველზე, რომ ამ ინდივიდუალურ მეურნეობებს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების მხრით დახმარება აღმოეჩინოთ. კოლმეურნეობებში ინდივიდუალური მეურნეობების ჩაბმის ირგვლივ უნდა იმუშაონ საკოლმეურნეო უჯრედებმაც (საწარმოო დარგის მეშვეობით), აგრეთვე მასიური კოლექტივიზაციის რაიონების უჯრედებმა. დანარჩენი უჯრედებისათვის ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია შემდეგი სქემა: ა) სოფლის მეურნეობის საორგანიზაციო დარგი (სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია: კონტრაქტაცია, მომარაგება, მასალები, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოთა მოწყობა, მარტივ საკოლმეურნეო - კოოპერატიულ გაერთიანებათა შექმნა და სხვა; საწარმოო დახმარება ღარიბ მეურნეობებს, კოლმეურნეობების საწარმოო მუშაობის ხელმძღვანელობა და სხვა); ბ) მასიური მუშაობის დარგი (ღარიბები, მოჯამაგირეები, ღარიბთა ჯგუფები კოლმეურნეობებში, კოოპერაციაში, გლეხკომებში და სხვ.); გ) საბჭოების და სხვა არაპარტიული ორგანიზაციების მუშაობის დარგი; დ) პარტმუშაობის დარგი.

ამ რაიონებში უჯრედების მუშაობა ისეთი ვარაუდით უნდა მოეწყოს, რომ პარტიულ ძალთა განაწილება დარგებში სამუშაოდ უნდა ხდებოდეს ამ დარგთა მნიშვნელობის მიხედვით. გარდა ამისა, დანარჩენ რაიონებში (ის, სადაც საკოლმეურნეო მოძრაობა სუსტად არის განვითარებული) კოლმეურნეობის არსებობა უჯრედს ვალდებულად ხდის გამოჰყოს თავისი შემადგენლობიდან ერთი ან ორი ამხანაგი, რომელიც კოლმეურნეობის გამგეობის ფრაქციას უხელმძღვანელებს, მაგრამ მას არ უნდა დაეკისროს მთელი უშუალო მუშაობა კოლმეურნეობის მიმართ, — ამ მუშაობას უჯრედმა უნდა უხელმძღვანელოს უშუალოდ.

თავში ვსთქვით, რომ საჭიროა გულდასმით იქნას გათვალისწინებული თვითეული რაიონის თავისებურება, რასაც პარტმუშაობის გარდაქმნის საქმეში გადამწყვეტი როლი ექნება მიკუთვნებული. პარტორგანიზაციის გარდაქმნა უნდა მოხდეს ამა თუ იმ რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათთან შეფარდებით. ამ შემთხვევაში, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ხშირად საჭირო გახდება საწარმოო პრინციპის ადმინისტრაციულ - ტერიტორიალურ პრინციპთან შეფარდება, მაგრამ არ უნდა ჩავეჭიდოთ ცალიერ სქემას, თუ, ვთქვათ, წარმოების მიხედვით მოგვიხდება ხალხის დაკავშირება 10-15 კილომეტრის მანძილზე.

ნიმუშისათვის მოვიყვანოთ სოფლის პარტორგანიზაციის გარდაქმნის სქემის რამდენიმე დამახასიათებელი ტიპი.

ავიღოთ აგრო-ინდუსტრიალური კომბინატი ან სამანქანო - სატრაქტორო სადგური. აქ პარტორგანიზაციის აგება ჩვენ გვესახება შემდეგნაირად: 1) აგრო-ინდუსტრიალური კომბინატის (ან სამანქანო - სატრაქტორო სადგურის) პარტკომი; 2) საწარმოო რაიონის (ან კოლმეურნეობათა) უჯრედი ან პარტკოლექტივი; 3) ჯგუფები ან საუბნო უჯრედები; 4) რგოლები, უბნები.

მსხვილი კოლმეურნეობა: 1) პარტკოლექტივი (საერთო საკოლმეურნეო); 2) უბნების უჯრედები (წარმოების მიხედვით); 3) ჯგუფები ან რგოლები. თუ კოლმეურნეობა ერთი სოფლის ფარგლებშია (პატარაა), საკოლმეურნეო უჯრედი უშუალოდ იყოფა უბნებად, ჯგუფებად ან რგოლებად.

საბჭოთა მეურნეობა: იმისდა მიხედვით, თუ რა ზომისაა საბჭოთა მეურნეობა ან მისი პარტორგანიზაცია, აგრეთვე (უმთავრესად) წარმოების ხასიათის მიხედვით, საბჭოთა მეურნეობაში შეიძლება იყოს რამდენიმე უჯრედი, რომლებიც გაერთიანებულნი იქნებიან პარტკოლექტივში და შემდეგ უჯრედები დაიყოფა უბნებად და რგოლებად. ასეთი სქემა გამოსადეგია ისეთ საბჭოთა მეურნეობებში, სადაც, წარმოების ხასიათთან დაკავშირებით, შეიძლება კომუნისტების კოლექტივი განაწილდეს წარმოების ხასიათის მიხედვით. ავიღოთ, მაგალითად, საბჭოთა მეურნეობა, რომელშიც არის მინდვრის სამუშაოთა დარგი (200 მუშით, სეზონის მუშათა გარდა), მესაქონლეობის დარგი (მერძევეობის ფერმა

---

*) ყველა ქვემოდ მოყვანილი სქემები აღებულია ზოგიერთი ორგანიზაციების პრაქტიკიდან ან შედგენილია პარტიული ჟურნალების მასალის მიხედვით.

პარტიის (ბ) მე-VII ყრილობისათვის

ების, ყოველთვის არ იძლეოდა საშუალებას კრიტიკულად ყოფილიყო განხილული ცნობები, რომელსაც გვაწვდიდენ ადგილები ახალ კოლმეურნეობათა შექმნის შესახებ.

მაგრამ ამ გარემოებას ოდნავადაც არ შეუძლია შესცვალოს თებერვლის წინა პერიოდის საკოლმეურნეო მოძრაობის ზემოაღნიშნული დამახასიათებელი მოვლენა, სახელდობრ, საშუალო გლეხის აქტივიზაცია, მისი ნებაყოფლობითი გადასვლა წარმოების კოლექტიურ ფორმებზე, თუნდაც პრიმიტიული გლეხური ინვენტარის შეერთების საფუძველზე.

ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში კოლექტივიზაციის ტემპის ყველაზე უფრო დიდი ზრდა იყო კახეთის ოლქში, ზუგდიდის მაზრაში და სამხრეთ-ოსეთში.

იმავე დროის განმავლობაში განსაზოგადოებული მიწადსარგებლობის პროცენტის ზრდის მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტის ზრდასთან შედარება გვიმტკიცებს, რომ თითქმის ისპობა მეურნეობათა კოლექტივიზაციის და განსაზოგადოებული მიწადსარგებლობის ის არახელსაყრელი შეფარდება (უმთავრესად მხედველობაში გვაქვს ნათესები), რომელიც ოქტომბერ-დეკემბერში გვქონდა, რაც გვიმტკიცებს, ჯერ ერთი—კოლექტივიზაციით გაერთიანებული მიწების უფრო სრულ შეერთებას და, მეორეს მხრივ იმას, რომ კოლმეურნეობებში საგრძნობლად გაიზარდა საშუალო გლეხის ხვედრითი წონა.

ასეთი იყო საერთოდ მდგომარეობა თებერვლის დამდეგისათვის.

ამჟამად კი იმ მასალების მიხედვით, რომლებიც კოლმეურნეობათა ცენტრმა თავისი საოლქო და სამაზრო კავშირებისაგან მიიღო, კოლექტივიზაციის ქსელის მდგომარეობა მაისის პირველი რიცხვებისათვის შემდეგია: სულ მთელ რესპუბლიკაში არსებობს 2094 კოლექტიური მეურნეობა, რომლებშიც გაერთიანებულია 104 ათასამდე მეურნეობა, ანუ თითქმის, ყველა გლეხურ მეურნეობათა 23 პროცენტი. განსაზოგადოებული მიწათსარგებლობის პროცენტი (ნათესების მიხედვით) აღწევს 16,9 პროცენტს. მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტის შედარება განსაზოგადოებული მიწათსარგებლობის პროცენტთან როგორც მთელი რესპუბლიკის, ისე ცალკე ოლქებისა და მაზრების ფარგლებში იძლევა დასკვნას, რომ თებერვალთან შედარებით დღეს მდგომარეობა რამდენიმედ გაუარესებულია კოლმეურნეთა „მიწით დაკმაყოფილების" საშუალო დონის მხრით. ის დასკვნა, რომ თებერვალთან შედარებით კოლმეურნეობებში საშუალო გლეხთა ხვედრითი წონა შემცირდა, მტკიცდება აგრეთვე კოლმეურნეთა სოციალური შემადგენლობის შესახებ ადგილებიდან შეკრებილი ცალკე ცნობებითაც.

მაგრამ, სანამ მაისის დამდეგისათვის არსებულ საკოლმეურნეო მოძრაობის ცალკე მომენტების დახასიათებაზე გადავიდოდეთ, მეტი სიცხადისათვის საჭიროა მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი საკოლმეურნეო მოძრაობის უადრეს პერიოდიდან, რომელმაც უეჭველია შესამჩნევი გავლენა იქონია კოლექტივიზაციის პროცესის მთელ შემდგომ განვითარებაზე. ეს ცნობები შეეხება პერიოდს—1930 წლის 20 თებერვლიდან 5 მარტამდე, ე. ი. იმ დროს, როდესაც საკოლმეურნეო მოძრაობის ადმინისტრატიული ღონისძიებებით მოწესრიგება, „კოლექტივიზაციის" თავბრუდამხვევ პროცენტს იძლევა.

ამ დროს მთელ რესპუბლიკაში იყო 2894 კოლმეურნეობა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 295 ათასზე მეტი მეურნეობა, ანუ ყველა საგლეხო მეურნეობათა 65 პროცენტზე მეტი.

ცალკე ოლქებსა და მაზრებში კოლექტივიზაციის დონე აღწევდა: 68 პროცენტს (სენაკის), 82 პროცენტს (გორის), 86 პროცენტს (ქუთაისის და კახეთის) და 90 პროცენტს (სამხრეთ-ოსეთის).

თვითეული კოლმეურნეობის საშუალო ზომა საერთოდ მთელს რესპუბლიკაში გაიზარდა 100 საგლეხო მეურნეობამდე, ხოლო ზოგიერთ ოლქში და მაზრაში აღწევდა 200 მეურნეობას (ქუთაისის, კახეთის), 300 და 400 მეურნეობასაც კი.

ამ პერიოდის მდგომარეობას თუ 1929 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის არსებულ მდგომარეობას შევადარებთ, მივიღებთ „კოლექტივიზაციის" ზედმეტად მაღალ ტემპებს მოკლე პერიოდის განმავლობაში. ქვემოდ მოყვანილია ეს შედარებითი ცნობები სათანადო დროის კოლექტივიზაციის პროცენტების შესახებ:

	1929 წ. 1 ოქტ.	1930 წ. 1 მარტი.
თბილისის ოლქი	4,0 პროც.	59,2 პროც.
კახეთის „	3,7 „	86,0 „
ქუთაისის „	1,0 „	86,0 „
გორის „	3,2 „	82,0 „
სენაკის მაზრა	7,4 „	68,0 „
ოზურგეთის „	12,9 „	61,0 „
ზუგდიდის „	3,8 „	80,0 „
ახალქალაქის „	2,8 „	34,0 „
ახალციხის „	1,0 „	25,0 „
აფხაზეთი	1,7 „	22,5 „
აჭარისტანი	7,2 „	11,2 „
სამხრეთ-ოსეთი	1,7 „	90,8 „

ამგვარად, ახალქალაქის მაზრაში კოლექტიურ მეურნეობებში შესულ მეურნეობათა რიცხვი იზრდება 12-ჯერ, ახალციხის მაზრაში 25-ჯერ, თბილისის ოლქში—15-ჯერ, გორის მაზრაში—26-ჯერ, სამხრეთ-ოსეთში—53-ჯერ და ქუთაისის ოლქში—86-ჯერ.

ამავე დროს, თუ 1929 წლის შემოდგომაზე კოლმეურნეობათა უმრავლესობა თავისი ნამდვილი მდგომარეობით (ესე-იგი ქონების ფაქტიური გაერთიანების მიხედვით), უბრალო გაერთიანებებს წარმოადგენდნენ, 1930 წლის 1-ლ მარტისათვის გაბატონებულ ფორმად აღიარებული იყო რთული ფორმები და მიწის საერთოდ დამუშავების ამხანაგობები უმნიშვნელო რიცხვს შეადგენდენ. საკოლმეურნეო მოძრაობის შესახებ ადგილებიდან მიღებული ცნობები იუწყებოდენ კოლმეურნეობებში შესული მეურნეობების საქონლის, ნარგავების და წარმოების სხვა საშუალებათა თითქმის სრული განსაზოგადოების შესახებ. რა თქმა უნდა, ეს ცნობები, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომმა განვითარებამ დაგვანახვა, სრულიადაც არ გამოხატავდენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, 1930 წლის 1-ლ მაისისათვის საგლეხო მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი მთელ რესპუბლიკაში დაახლოებით უდრიდა 23-ს. ცალკე ოლქებისა და მაზრების მიხედვით, გვაქვს კოლექტივიზაციის შემდეგი პროცენტი და კოლმეურნეობათა შემდეგი რიცხვი:

	კოლექტივიზაციის პროცენტი:	კოლმეურნეობათა რიცხვი:
თბილისის ოლქი	15,1	400
კახეთის „	10,5	260
ქუთაისის „	25,3	500
გორის „	31,9	419
სენაკის მაზრა	36,2	282
ოზურგეთის „	54,2	320
ზუგდიდის „	15,0	124
ახალქალაქის „	8,4	57
ახალციხის „	2,2	55
აფხაზეთი	22,2	235
აჭარისტანი	14,1	75
სამხრეთ-ოსეთი	45,0	167
	23,0 პროც.	2.094

კოლექტიური მეურნეობის ცალკე სახეების ხვედრითი წონა მთელ რესპუბლიკაში (არა სრული ცნობების მიხედვით) ასეთია: კომუნები—1,5 პროცენტი, არტელები—70,7 პროცენტი და მიწის საერთოდ დამუშავების ამხანაგობები—27,8 პროცენტი.

მთელ რესპუბლიკაში 1-ლ მარტისათვის არსებული 2894 მეურნეობიდან 1-ლ მაისისათვის სულ დარჩა 2.094 კოლმეურნეობა.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია წევრების გასვლის შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია როგორც კოლმეურნეობათა მიტოვების, ისე მათი დაშლის მიზეზით. 1-ლ მარტისათვის კოლმეურნეობებში საერთოდ ირიცხებოდა 291 ათასი მეურნეობა, ახლა კი ირიცხება სულ 104 ათასამდე მეურნეობა. ამრიგად, ამ მოკლე ხნის განმავლობაში საკოლმეურნეო სექტორს გამოაკლდა კოლმეურნეობებში 1-ლ მარტისათვის არსებული საგლეხო მეურნეობათა მთელი რიცხვის ორი მესამედი ანუ 64,8 პროცენტი.

წევრთა რიცხვის დაკლების მხრივ ასეთი სურათია: ოზურგეთის მაზრაში კოლმეურნეობათა ქსელი (გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვის მიხედვით) 1-ლ მარტთან შედარებით შემცირდა 12 პროცენტით, სენაკის მაზრაში—42,5 პროცენტით, სამხრეთ - ოსეთში — 50 პროცენტით, ზუგდიდის მაზრაში — 51,2 პროცენტით, გორის ოლქში — 61 პროცენტით, ქუთაისის — 70,8 პროც., ახალქალაქის მაზრაში — 75,5 პროცენტით, თბილისის ოლქში — 74,5 პროცენტით, კახეთის — 87,8 პროც. და ახალციხის მაზრაში — 87,8 პროცენტით.

აღნიშნული პერიოდისათვის ხელთ არა გვაქვს მასალა წარმოების საშუალებათა პროცენტის დაცემის შესახებ, რის გამო არ გვაქვს საშუალება უფრო სისწორით გამოვარკვიოთ და შევაფასოთ საკოლმეურნეო სექტორიდან მასიური, საგულისხმო გასვლის მოვლენა.

რაც შეეხება მიწადსარგებლობისა და ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის განსაზოგადოების საკითხებს, 1-ლ მაისისათვის არსებულ ცნობების მიხედვით, შემდეგი სურათი გვაქვს: კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 202.052 ჰექტარი სახნავი მიწა ანუ მთელი რესპუბლიკის სახნავი მიწის 16,9 პროცენტი, ყველა სახის მუშა-საქონელი კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 99.052 სულის რაოდენობით ანუ რესპუბლიკის მთელი მუშა - საქონლის 16,7 პროცენტი (აქედან ნაწილი უნდა მივაკუთნოთ ფორმალურ განსაზოგადოების გავრცელებულ შემთხვევებს).

გორის ოლქში კოლექტივიზაცია შეეხო ხილის ბაღების 38,3 პროცენტს, კახეთის ოლქში — 26 პროცენტს. კოლექტივებში გაერთიანებულია: ვენახების 6,2 პროცენტი კახეთის ოლქში, 6,5 პროც. ქუთაისის ოლქ., 33 პროც. გორის ოლქში.—ჩაის პლანტაციების ფართობი კოლმეურნეობებში გაერთიანდა: ოზურგეთის მაზრაში 1946 ჰექტარის რაოდენობით, ზუგდიდი — 1136 ჰექტარის, სენაკის — 609 ჰექტარის რაოდენობით, ქუთაისის ოლქში — 60 ჰექტარის რაოდენობით, აჭარისტანში — 896 ჰექტარის და აფხაზეთში—336 ჰექტარის რაოდენობით (ეს ცნობები წინასწარია). პროდუქტიული ცხოველი მთელ რესპუბლიკაში განსაზოგადოებულია: ძროხა — 3,6 პროც. და ცხვარი — 3,3 პროცენტი. ცალკე ოლქებისა და მაზრების მიხედვით პროდუქტიული პირუტყვის განსაზოგადოების პროცენტი შემდეგია: თბილისის ოლქში განსაზოგადოებულია: ძროხა— 10,6 პროც., ცხვარი 2,0 პროც., ქუთაისის ოლქში: ძროხა — 2,0 პროცენტი, სამხრეთ-ოსეთში: ძროხა — 7,1 პროცენტი, ცხვარი — 7,0 პროცენტი, კახეთის ოლქში: ძროხა — 3,7 პროც., ცხვარი — 6,5 პროც., გორის ოლქში: ძროხა — 6,4 პროც. და ახალქალაქის მაზრაში — ძროხა 3,7 პროცენტი.

საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდის მაჩვენებლები 29 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 30 წლის 1-ლ მაისამდე (ე. ი. 29-30 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში) შემდეგ სურათს იძლევა:

კოლმეურნეობათა რიცხვი 908-დან იზრდება 2094-მდე.

გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი 15.658-დან აღწევს 103.990-მდე ანუ განსაზოგადოება უდრის 23 პროცენტს.

განსაზოგადოებული მიწათსარგებლობა ფართოვდება 80.155 ჰექტარიდან 215.824 ჰექტარამდე (როგორც მიწათსარგებლობის უფრო ფართო განსაზოგადოების, ისე მეურნეობათა გაერთიანების ხარჯზე) ანუ 17 პროცენტით.

კოლმეურნეობის საშუალო ზომა იზრდება 17 მეურნეობისა და 33,3 ჰექტარიდან 49 მეურნეობამდე და 102 ჰექტარამდე.

1929 წ. ოქტომბრისათვის ყველაზე დიდი კოლმეურნეობა იყო ისეთი, რომელიც 280 მეურნეობას აერთიანებდა, ახლა კი არსებობს მთელი რიგი კოლმეურნეობები, რომლებიც აერთიანებენ 500-დან 1.500-მდე მეურნეობას.

საკოლმეურნეო სექტორი ძლიერ იზრდება მრავალწლოვანი ნარგავების განსაზოგადოების ხარჯზე. ხდება როგორც ძველი ნარგავების განსაზოგადოება, ისე ახალი ნარგავების მოშენება. განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს ჩაის კოლექტივების ზრდა, რომელმაც გადააჭარბა კოლმეურნეობის სექტორში გათვალისწინებულ გეგმას.

წარსულ წელთან შედარებით, საგრძნობლად იზრდება კოლექტიური მესაქონლეობა. ძროხის განსაზოგადოების საშუალო პროცენტი რესპუბლიკაში აღწევს 3,25-ს. ცალკე ოლქების მიხედვით გაერთიანების პროცენტი შეადგენს 3,7 — 6,4 — 7,1 და 10,6 პროცენტს.

ვ. ს—ი.

---

300 ძროხა, ცხვარი და სხვა) ყველ-კარაქის დამამზადებელი განყოფილებით და მექანიკური სახელოსნო. სრულიად აშკარაა, რომ ამ ცალკე დარგთა ტერიტორიალური დაშორებისა და საწარმოო დამოუკიდებლობის შემთხვევაში აქვს სრული აზრი (და საჭიროცაა) ცალკე უჯრედების არსებობას ყოველ ცალკე საწარმოო დარგში.

დასასრულ, ავიღოთ სოფელი. უჯრედის ეს ტიპი შეინარჩუნებს თავის ძველ ფორმას.

უჯრედების ეს სანიმუშო ტიპიზაცია, რა თქმა უნდა, უნაკლო არ არის, მაგრამ, ჩვენის აზრით, სოფლის პარტორგანიზაციის აგების ძირითადი სახეები ჩვენ მიერ სწორად არის წარმოდგენილი. საჭიროა მხოლოდ შევნიშნოთ, რომ ყოვლად დაუშვებელია ამა თუ იმ ტიპის მექანიკური გამოყენება. მუშაობის გარდაქმნის დროს უნდა შევეცადოთ სოფლის პარტორგანიზაციის ყველაზე უფრო მოხერხებული და ყოველმხრივ მისაღები სქემის შემუშავებას. აი როგორ ახსნა ამხ. კაგანოვიჩმა პარტიული მუშაობის და პარტიული აპარატის გარდაქმნის აზრი: „პოლიტიკური ამოცანები მუდამ განსაზღვრავდნენ პარტიული მუშაობის ამოცანებს და იწვევდნენ მისი ფორმების ცვლას თვითეულ პერიოდთან შეფარდებით". ეს იმას ნიშნავს, რომ ფორმა შინაარსს უნდა დაექვემდებაროს, ე. ი. სოფლის პარტორგანიზაცია უნდა გარდაიქმნას მისი მუშაობის შინაარსისა და მის წინაშე მდგომი ამოცანების მიხედვით.

* * *

სოფლის უჯრედებში და საწარმოო უჯრედებშიაც მუშაობა უნდა გადავიდეს ქვედა რგოლებში (საუბნო უჯრედები, ჯგუფები და სხვა), რაც კომუნისტების მხრით გააძლიერებს ყურადღებას წარმოების საკითხისადმი. საჭიროა ქვედა უჯრედის მთავარი ყურადღება მიექცეს საწარმოო თათბირების, შრომის ორგანიზაციის საწარმოო გეგმის და სხვა ამგვარ საკითხებს.

სოფლის უჯრედების მუშაობაში დღემდე ერთ-ერთ უბედურებას წარმოადგენდა „რწმუნებულების", „შტაბების", „კომისიების" და სხვათა სიმრავლე. თქმა არ უნდა, რომ ეს სისტემა თავისი „ბრძანებებისა" და „მოხსენების" გზავნით უფრო მეტს ხმაურობდა, ვიდრე რეალურ საქმეს აკეთებდა. საჭიროა „რწმუნებულებისა" და „შტაბების" სისტემიდან გადავიდეთ სისტემატიურ, მოფიქრებულ და დაუზარებელ მუშაობაზე ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მასების და კოლმეურნეთა მასების დასარაზმავად საწარმოო ამოცანების ირგვლივ. მთელი უჯრედი და ყოველი ცალკე კომუნისტი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის საუკეთესო ორგანიზატორი. მათ არა ბრძანებით, არამედ ჩვენებით უნდა წაიყვანონ სოფელი სოციალისტური გზით.

ზოგიერთი სოფლის უჯრედში არსებობს უმნიშვნელო გლეხური ფენა (უმრავლესობას მოსამსახურეები და სხვები შეადგენენ) და ხდება უპარტიო ღარიბი და საშუალო გლეხების სრულიად არა საკმაო დაწინაურება კოლმეურნეობების, საბჭოების და კოოპერაციის ხელმძღვანელ სამუშაოებზე, რაც უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენს. ღარიბი და საშუალო გლეხობიდან გამოსული იმ უპარტიო აქტივისტების პარტიაში მიღებასთან ერთად, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში, საჭიროა ეს აქტივისტები სისტემატიურად იქნენ წამოყენებული ხელმძღვანელ სამუშაოებზე კოლმეურნეობებში (საწარმოო დარგის ხელმძღვანელებად, ბრიგადირებად და სხვა), საბჭოში და სხვაგან, მოხდეს მათი დარაზმვა უჯრედის ირგვლივ, გაჩაღდეს მათ შორის მუშაობა და საუკეთესო მათგანი შეყვანილ იქნას პარტიაში.

უჯრედის მუშაობის უმთავრეს მხარეს უნდა შეადგენდეს გლეხ ქალთა შორის მუშაობა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ პარტკომებთან არსებული მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებების გაუქმებამ რამდენიმედ შეასუსტა გლეხ ქალთა შორის მუშაობა. ზოგიერთ ქვედა საფეხურის ორგანიზაციები იქამდეც კი მივიდენ, რომ გააუქმეს ქალთა ორგანიზატორების ფასიანი თანამდებობა. აშკარაა, რომ ეს შემცდარი ნაბიჯია.

ახლა ყველასათვის ნათელია, რომ გლეხქალთა შორის მასიური მუშაობა, რომ კარგად ყოფილიყო დაყენებული კოლექტივიზაციის პერიოდში მრავალი ცუდი მოვლენის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი. დიდი მნიშვნელობა აქვს სამკუთხედის (უჯრედი, საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა) ფუნქციათა სწორ გამიჯვნას, რასაც პარტიულმა კომიტეტებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. ჩვენ ამ დარგში არევდარევის მოწმე ვართ. უფრო ხშირად უჯრედი უძღვის ყველაფერს, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობა და სოფლის საბჭო შემთხვევიდან შემთხვევამდე აწარმოებს მუშაობას და არ იჩენს ინიციატივას. ხდება ისედაც, რომ უჯრედი თავისთვის მუშაობს, საბჭო კი ატარებს თავის ხაზს. ამიტომ საჭიროა, რათა მუშაობა მოგვარდეს ისეთნაირად, რომ, კოლექტიური ხელმძღვანელობის საფუძველზე, უჯრედი მიმართულებას აძლევდეს სოფლის საბჭოს, არ სწყვეტდეს წვრიმალ საკითხებს და უმთავრესად ასწორებდეს დაშვებულ შეცდომებს.

არ შეიძლება მხედველობაში არ იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ანტისაბჭოთა ელემენტებმა, რომლებმაც ღარიბი და საშუალო გლეხობის კოლმეურნეობებში შესვლისაკენ მიმართული მოძრაობის უაღრეს წერტილზე ასვლის მომენტში შესწყვიტეს თავიანთი მუშაობა, დაუყოვნებლივ იწყეს აქტივობის გამოცოცხლება, როგორც კი თავი იჩინა კოლექტივიზაციის დაბრკოლებებმა კოლმეურნეობათა შიგნით ცხოვრების მოუწყობლობის ნიადაგზე. აქ მათ ფართოდ გამოიყენეს საშუალო გლეხთა წინააღმდეგ მიმართული გამრუდებები, შეცდომები და სხვა. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ზოგან პარტიული ორგანიზაციები ფიქრობდნენ, რომ კულაკი შეურიგდა თავის მდგომარეობას და ხელი აიღო ბრძოლაზე.

როგორც ვიცით, ისტორიამ დაამარცხა ეს ვარაუდები.

ახლა ყველასათვის აშკარაა, რომ საკუთარი უძლურების შეგნებით გამხეცებული კულაკი არ ერიდება ბრძოლის არც ერთ საშუალებას — მოსყიდვიდან, დათრობიდან და დაშინებიდან დაწყებული და გათავებული ცემით, მკვლელობით და ცეცხლის წაკიდებით. სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მოიკრიბონ მთელი თავისი ძალ-ღონე კულაკის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ ბრძოლაში თან უნდა გაიყოლიონ სოფლის ღარიბი და საშუალო მასები. პარტიის ხაზის გამრუდებებისა და დამახინჯებების წინააღმდეგ ბრძოლის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას შესუსტებული კულაკობის საწინააღმდეგო ბრძოლა.

საშუალო გლეხთა მიმართ დაშვებული შეცდომების გამოსწორებასთან ერთად საჭიროა კულაკობის შეზღუდვისა და შევიწროების პოლიტიკის წარმოება იმ ადგილებში, სადაც, კოლექტივიზაციის პირობების მიხედვით არ არის უზრუნველყოფილი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. ზოგ ადგილას ჩვენმა ორგანიზაციებმა ეს ამოცანა მხედველობიდან გაუშვეს. უნდა გვახსოვდეს, რომ კულაკი იშვიათად, (თითქმის არასოდეს) გამოდის აშკარად და ხშირად ვხედავთ, რომ ის საშუალო ან ღარიბი გლეხის უკან არის ამოფარებული.

ასეთ შემთხვევებში პარტორგანიზაციამ უნდა გამოიჩინოს თავისი კლასობრივი სიფხიზლე და ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს კულაკთან ბრძოლა.

მაგრამ ამ ამოცანის შესრულება შეიძლება ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების მაქსიმალურად დარაზმვის პირობებში. საჭიროა პარტიის მთელი ძალა ამ მუშაობისაკენ იქნას მიმართული. საჭიროა მოხდეს ღარიბთა ჯგუფების მუშაობის სისტემატიური შემოწმება საბჭოებში, ამ ჯგუფების შექმნა კოლმეურნეობებში, ღარიბთა ჯგუფების კონფერენციების სისტემატიურად მოწვევა დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო - პოლიტიკური საკითხების განსახილველად. ყოველი კოლმეურნეობა, ყოველი სასოფლო საბჭო მით უფრო საშიში იქნება კულაკისათვის, რაც უფრო ძლიერი იქნება მასში ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფი.

ღარიბთა ძლიერი ორგანიზაციის საჭიროებას გვიკარნახებს აშკარა კლასობრივი ბრძოლა, რომლის არ დანახვა სოფლად ამჟამად მხოლოდ მემარჯვენე ოპორტუნისტებს შეუძლიათ. ძალიან ხშირად ჩვენ ვხედავთ ისეთ ფაქტებს, როდესაც კოლმეურნეთა მტკიცე შეკავშირებული ჯგუფი, რომელიც თავისი სისხლით იცავს კოლმეურნეობის არსებობას ყოველი ფეხის ნაბიჯზე იდევნება კულაკების მიერ.

ამჟამად კლასობრივი ბრძოლა იმყოფება იმ საფეხურზე, როდესაც სოფლად ნეიტრალური ჯგუფები აღარ არიან. ერთ მხარეს ჩვენ ვხედავთ კულაკს, მოკულაკო გლეხს, ანტისაბჭოთა ელემენტს და ბანდიტს, ხოლო მეორე მხარეს — მთელ დანარჩენ სოფელს. მაგრამ კულაკი იყენებს ბრძოლის ლეგალურ საშუალებებსაც. ხშირად ის შედის კოლმეურნეობაში, რათა ის შიგნიდან ააფეთქოს. კოლმეურნეობების და კოოპერაციის გამგეობებში და საბჭოებში ხშირად ახერხებენ შეძვრომას, როგორც აშკარა, ისე ფარული კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტები. ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს კოლმეურნეობების იმ გამგეობების გადარჩევა, რომელთა შემადგენლობაშიც მოიპოვებიან კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტები. ეს ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ იწარმოებს წარმატებით, თუ არ შენელდება სისტემატიური პარტიული ბრძოლა ორ ფრონტზე.

პარტიული მუშაობის გარდაქმნის ამოცანათა სწორი და წარმატებით განხორციელება სოფლად შეუძლებელია ორ ფრონტზე ბრძოლის გარეშე. სოფლის პარტორგანიზაციაში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა კიდევ იმიტომ, რომ ზოგიერთი კომუნისტები, რომელთაც კლასობრივი სიფხიზლე მოდუნებული აქვთ, ხშირად, ნებსით თუ უნებლიეთ, ვარდებიან კულაკის გავლენის ქვეშ და ხდებიან „კულაკის აგენტად". ასეთი ელემენტის წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლისა და პარტიის რიგებიდან მათი განდევნის გარდა, სოფლის პარტორგანიზაციის ამოცანას შეადგენს მხილება მემარჯვენე გადახრისა, რომელიც ცდილობს პარტიის ხაზის გამრუდებას, მისგან გადახვევას, განმარტება პარტიის ამოცანებისა მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაში. ამასთანავე არ კმარა „მემარცხენე" გამრუდებათა მარტო გამოსწორება, საჭიროა მათი დედა-აზრის გამოაშკარავება. ამხ. სტალინი ამბობს:

„რომ „მემარცხენე" გამმრუდებელთა შეცდომები საკოლმეურნეო მოძრაობაში ისეთ შეცდომებს წარმოადგენენ, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ ნიადაგს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის. რისთვის? იმიტომ, რომ ეს შეცდომები პარტიის ხაზს მახინჯად ხატავენ და, მაშასადამე, აადვილებენ მემარჯვენე ელემენტების ბრძოლას პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის სახელის გატეხვა არის ის ელემენტარული ნიადაგი, რომელზედაც მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება მემარჯვენე უკლონისტების მიერ ბრძოლის წამოწყება პარტიის წინააღმდეგ. ამ ნიადაგს მემარჯვენე უკლონისტებს აძლევენ „მემარცხენე" გამმრუდებლები, მათი შეცდომები და გამრუდებანი. ამიტომ მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ წარმატებით საბრძოლველად საჭიროა „მემარცხენე" ოპორტუნისტების შეცდომების დაძლევა. „მემარცხენე" გამმრუდებლები ობიექტიურად მემარჯვენე უკლონისტების მოკავშირეები არიან". (სტალინი. „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს").

ასეთია სოფლის ორგანიზაციების ამოცანა პარტიის გენერალური ხაზის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის მე-7 ყრილობამ, პარტიის სხვა პრაქტიკულ ამოცანებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს დირექტივები სოფლის პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნის ამოცანების შესახებ. ამიტომ საჭიროა პარტიის მე-7 ყრილობის წინაშე, რაც შეიძლება ფართოდ იქნეს გაშუქებული სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, რაც შესაძლებელს გახდის გამომუშავდეს საუკეთესო ღონისძიებები პარტიის ამოცანათა პრაქტიკული განხორციელებისათვის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

ს. მ.

თბილისის მეორე საოლქო პარტკონფერენცია

კამათი ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენების გარშემო

მეხუთე და მეექვსე სხდომა

24 მაისს, კონფერენციის მეხუთე სხდომაზე, გაიხსნა კამათი ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენების გარშემო. კამათში გამოსულ ორატორების უმრავლესობა ეხებოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებს და შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებები ამ შეცდომების გამოსწორებისა და მიღწეულ შედეგების განმტკიცებისათვის.

ამხ. კოზლოვი

ამხ. კოზლოვი შეეხო კოლმეურნეობათა მშენებლობას თბილისის ოლქში და აღნიშნა, რომ კოლმეურნეობების ჩამოყალიბების პერიოდში ადგილობრივმა მუშაკებმა არ იცოდენ საიდან დაეწყოთ მუშაობა. ჩვენ არ ვიცოდით კოლექტივებში როგორ უნდა მოგვეწესრიგებია შრომა, რა და რა ობიექტები გაგვეერთიანებია სასოფლო - სამეურნეო არტელებში და სხვ. ამასთან ერთად ღარიბ და საშუალო გლეხობაში არ იყო ჩატარებული წინასწარი ახსნა - განმარტება; გლეხებმა არ იცოდენ კოლექტივების მნიშვნელობა. ამის შედეგია ის შეცდომები, რომელიც ჩვენ დაუშვით საკოლმეურნეო მოძრაობაში. ჩვენი მუშაობის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაშვებულ შეცდომების გამოცდილება მომავალში გავითვალისწინოთ და განვამტკიცოთ საკოლმეურნეო მშენებლობაში მიღწეული შედეგები. არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის აუცილებელია შემდეგი: კოლმეურნეობებთან არსებულ სკოლებსა და შვიდწლედებში შემოღებულ უნდა იქნეს ანგარიშ - წარმოების სწავლება; კოლმეურნეობები მომარაგებულ უნდა იქნეს მანუფაქტურით და სხვა პირველ მოთხოვნილების პროდუქტებით; ზოგიერთ კოლმეურნეობებთან მოწყობილ უნდა იქნეს საცდელი პუნქტები და უნდა დაიგზავნოს ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების საუკეთესო ნაწილი საბჭოთა და პროფესიონალურ სამუშაოზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ქალაქში მუშების დაწინაურება ნელი ტემპით მიმდინარეობს, სოფლად კი ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების დაწინაურება საბჭოთა და პროფესიონალურ სამუშაოზე სრულიად არ ხდება.

ამხ. დავიდოვი

თბილისის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით თბილისის ოლქში პარტიული ორგანიზაცია იდეოლოგიურად მტკიცეა. ორგანიზაცია აწარმოებდა მკაცრ ბრძოლას მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმთან და მათთან შეურიგებლობისათვის. შემდეგში ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში მთავარ ადგილს დაიჭერს ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებთან. პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯება ნებას არავის არ მიეცემა. მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის წარმატების დასამარცხებლად და პარტიის გენერალური ხაზიდან მერყეობის აღმოსაფხვრელად საჭიროა პარტგანათლების ქსელის კიდევ უფრო მეტად გაშლა. ჩვენ პარტიის მასები უსათუოდ უნდა შევაიარაღოთ მარქსისა და ლენინის თეორიით და პრაქტიკით.

პარტიის უმაღლეს ორგანოების დირექტივებს — ერთმმართველობის გატარების შესახებ არ ექცევა საჭირო ყურადღება. ზოგიერთ სამეურნეო ორგანიზაციის მუშაკები ერთმმართველობის გატარების დირექტივას დაივიწყებენ, მათ სათანადო მუშაობა არ ჩაუტარებიათ უპარტიო და პარტიულ მუშათა მასებში. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საოლქო კომიტეტი სათანადო ზომებს ვერ ღებულობდა ამ სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკების მიმართ, რომლებიც ერთმმართველობის გატარებას აგვიანებდენ. შემდეგში თბილისის საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს წარმოებაში დაუსუსტებელი ერთმმართველობის დაუყოვნებლივ გატარებას.

ამხ. არეშინა

აღნიშნავს, რომ თბილისის მუშკოოპის მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. მუშკოოპმა ვერ შესძლო თავის დაპირების შესრულება. მუშკოოპს დადებული აქვს ხელშეკრულება საწარმოებთან პირველ მოთხოვნილების პროდუქტების მიწოდების შესახებ, მაგრამ ხელშეკრულება დღემდე შეუსრულებელია. ეს ხდება იმიტომ, რომ მუშკოოპის საჭირო პუნქტების გამგეებად არიან ყოფილი ვაჭრები, მეფის მთავრობის მოხელეები, სპეკულანტები და სხვ.; ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული მუშების სურსათ - სანოვაგით მომარაგებაში. ამხ. არეშინა მოითხოვს მუშკოოპის აპარატის გადათვალიერებას და უცხოს ელემენტების მუშკოოპის სავაჭრო ქსელიდან გაძევებას. რაც მთავარია, — სთქვა ამხ. არეშინამ, — მუშკოოპის აპარატში მუშების დაწინაურება არ ხდება. იქ მოკალათებულ ბიუროკრატებს არ სურთ დაწინაურებულ მუშების აპარატში მიღება, რადგან იციან, რომ მუშები ვერ მოითმენენ იმ უმსგავსოებას, რომელსაც ისინი სჩადიან.

ამხ. კორძახია

გარე - კახეთის რაიონის მშრომელ მოსახლეობაში დიდ გარდატეხას აქვს ადგილი. საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომების ბოლშევიკურად აღიარების და მისი გამოსწორების შემდეგ ღარიბი და საშუალო გლეხობა მტკიცედ ირაზმება კოლმეურნეობათა გარშემო. თბილისის საოლქო კომიტეტის დახმარებით რაიონში დაშვებული შეცდომები გამოსწორებულია. ღარიბ და საშუალო გლეხობას შემოაქვთ განცხადებები კოლექტივებში დაბრუნების შესახებ. გარე - კახეთის რაიონმა გადააჭარბა შესრულა თესვის კამპანიის გეგმა. კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის ტემპი მეტად ჩამორჩება სოც. მშენებლობის განვითარების ტემპს. სასკოლო ქსელი რაიონში სუსტად არის გაშლილი. არ გვყავს შესაფერისი მუშაკები ამ დარგში. გარე კახეთის რაიონში არსებულ სკოლებში 250 მასწავლებელი ითვლება. ყმაში პარტიის წევრი არის ერთი და კომკავშირელი ოთხი. თბილისის ოლქის განათლების განყოფილებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს გარე-კახეთის სკოლებს.

მასიური მოხმარების პროდუქტების დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობა მოისუსტებს. შესაძლებელია რძისა და სხვა პროდუქტების საკმაო რაოდენობით შეგროვება; საამისო შესაძლებლობა არის, მაგრამ დამამზადებელი ორგანოები გლეხებს თავის დროზე არ აძლევენ დაპირებულ თანხებს. მაგ. მერძევე გლეხებს აპრილში გაცემული რძის ფული ჯერ კიდევ არ მიუღიათ. ამის გამო გლეხები გვერდს უვლიან დამამზადებელ ორგანიზაცი- გვერდს უვლიან დამამზადებელ ორგანიზაციებს და რძე და ყველი კერძო ბაზარზე გააქვთ. საბჭოთა მეურნეობას — „უდაბნოს" საწარმოო სამეურნეო გეგმა არა აქვს; გეგმის არსებობა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმაც კი არ იცის. საბჭოთა მეურნეობის—„უდაბნოს" მეურნეობას, რომლის განკარგულებაში 40 ათასზე მეტი ცხვარი ითვლება, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. ვოლოვიკი

ამხანაგებო, კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. შარშან წელს თბილისის ოლქის მასშტაბით კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო სოფლის მშრომელი მოსახლეობის 6.5 პროცენტი. ამჟამად კი კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 17,5 პროცენტი, რაც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. თბილისის ოლქის მთლიან კოლექტივიზაციის ოლქად გამოცხადებასთან დაკავშირებით ადგილობრივ მუშაკებმა კიდევ უფრო გააღრმავეს საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომები. სოფლად ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობა სუსტად სწარმოებს. რაიონული კომიტეტები სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდენ ადგილებს. ხშირად პარტიის უმაღლეს ორგანოების დადგენილებები და დირექტივები ადგილებს არ ეგზავნებოდა გასაგებ ენაზე. თბილისის ოლქის ერთ-ერთ რაიონში ორი თვის განმავლობაში ეძებდენ რუსულ და თურქულ ენის მცოდნეს, რათა რუსულ ენაზე მიღებული დირექტივა თურქულად გადაეთარგმნათ. საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომების გამოსწორებასთან ერთად მეტი მუშაობა უნდა გაჩაღდეს ღარიბთა შორის. არ უნდა დარჩეს ისეთი კოლმეურნეობა, სადაც ღარიბთა ჯგუფები არ იქნება ჩამოყალიბებული. ამისათვის საჭიროა სოფლად გვყავდეს პარტიული მუშაკთა კადრები. თბილისის საოლქო კომიტეტმა კონფერენციის დამთავრებისთანავე უნდა იზრუნოს პარტიულ მუშაკთა კადრების მომზადებისა და გადამზადების შესახებ.

სასოფლო საბჭოებს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ თავიანთი მუშაობა, მათ ვერ შესძლეს სათანადო ხელმძღვანელობა გაეწიათ კოლმეურნეობათა მოძრაობისათვის; სასოფლო საბჭოების უმრავლესობა ძველებურად მუშაობს; საბჭოებმა უსათუოდ უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა. ისინი სათავეში უნდა ჩაუდგენ კოლმეურნეობათა მშენებლობას და კოლმეურნეობების გარშემო უნდა დარაზმონ ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასები.

ამხ. ონანოვი

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას. ამ საკითხზე მომხსენებელი და კამათში გამოსული ორატორები საკმაოდ შეჩერდენ. შეცდომების გამოსწორების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ორ ფრონტზე ბრძოლა. სოფლის პარტორგანიზაციებმა, მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, არ უნდა დაივიწყონ „მემარცხენე" ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრების დროზე აღსაკვეთად და დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად სოფლად გაგზავნილ უნდა იქნეს მუშების საუკეთესო ნაწილი. ქალაქის მუშებმა მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ სოფელს.

ბაზარზე ხილის ნაკლებობაა. ეს იმიტომ, რომ მუშკოოპმა ვერ შესძლო ხილის თავის დროზე დამზადება და გამოტანა ბაზარზე. ამის გამო რამდენიმე ასეული ფუთი ხილი (ბალი და სხვა) გადაყრილ იქნა. მუშების პერსონალური დაწინაურება უნდა შეიცვალოს. დროა მუშების ჯგუფურად დაწინაურება. ცალკე დაწინაურებულ მუშას უძნელდება მუშაობა, ხოლო თუ რამდენიმე ერთად დაწინაურებთ გარკვეულ დაწესებულებებში, ისინი უფრო ადვილად შესძლებენ საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებას.

ამხ. ისრაელოვი

ამხანაგებო, თქვენი ყურადღება უნდა შევაჩერო საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებზე. პარტიულ უჯრედებს გამოჰქონდათ რეზოლუციები კოლექტივების ჩამოყალიბების და მასში მშრომელ მოსახლეობის ასი პროცენტით გაერთიანების შესახებ. რეზოლუციების ცხოვრებაში გასატარებლად ისინი არღვევდენ კოლექტივებში გაერთიანების ნებაყოფლობითობის პრინციპს.

პარტიის და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დადგენილებათა შესრულების შემოწმება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ხშირად სოფლად კოლექტივიზაციის გატარებაზე იგზავნებოდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებმაც ადგილობრივი ენა არ იციოდენ (ბორჩალოს ყოფ. მაზრაში) პარტიის და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დირექტივების შესრულებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ცალკე უჯრედებმა და რაიონული კომიტეტებმა. მუშკოოპს ხელშეკრულება ქონდა დადებული მქრქალთან (№ 1) პირველ - მოთხოვნილების პროდუქტების მიწოდების შესახებ, მაგრამ მუშკოოპს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლები არ შეუსრულებია. მსხვილ საწარმოებში მუშათა თათბირებებზე უნდა დაისვას მუშკოოპის საანგარიშო მოხსენება.

ამხ. სარდიშვილი

ამხ. სარდიშვილი შეეხო მუშკოოპის და დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობას და აღნიშნა შემდეგი: მასიური პროდუქტების დამზადების საქმეში მთავარი დანაშაული მიუძღვის არა მუშკოოპს, არამედ დამამზადებელ ორგანიზაციებს. მუშკოოპის მთავარი დანიშნულებაა პროდუქტების განაწილება, პროდუქტები კი მუშკოოპმა უნდა მიიღოს დამამზადებელ ორგანიზაციებიდან. თუ დამამზადებელ ორგანიზაციებმა მუშკოოპს არაფერი არ ჩააბარა, მარტო მუშკოოპს არ შეუძლია მუშების მომარაგება სურსათ - სანოვაგით. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის შტატი გაბერილია, ეს კი იწვევს პროდუქტებზე ზედმეტ ფასების დადებას, რაც ბუნებრივად ფასების გაძვირებას იწვევს. დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობის გაჯანსაღებას თბილისის საოლქო კომიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამხ. გოზაევი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მეცხვარეობის განვითარების შესახებ არ ტარდება ცხოვრებაში. მეცხვარეობის განვითარებას ადგილებზე სერიოზული ყურადღება არ ექცევა. ხევის რაიონში მეცხვარეობას დიდი ადგილი უჭირავს. ზამთრობით მწყემსებს ცხვარი მიჰყავთ დაღესტანში. გზაში მეცხვარეებს ხვდებიან ბანდიტები და ცხვრებს ანადგურებენ. ამ გარემოებას კი ყურადღებას არავინ არ აქცევს. ერთხელ მეცხვარეთა კავშირმა მცველები გაგზავნა მწყემსების დასახმარებლად, მაგრამ ისინი ღვინის სმაში ატარებდენ დროს და მწყემსების დაცვაზე არც კი უფიქრიათ. შემჩნეულია, რომ მეცხვარეები ცხვრებს ანადგურებენ, მათ გამრავლებაზე ნაკლებად ფიქრობენ. ეს ხდება იმიტომ, რომ ვისაც 300 ცხვარი ყავს, მოხვედრილია კულაკების სიაში.

განათლების დარგში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ხევის რაიონში არის ისეთი კუთხეები, სადაც სკოლა არ არის. არსებული სკოლები უბინაობის გამო დიდ სიძნელეებს განიცდიან. მათ არა აქვთ სასწავლო ნივთები და სხვადასხვა ხელსაწყო იარაღები. ჩვენს რაიონში რამდენიმე კოლმეურნეობა არის, მაგრამ კოლმეურნეობათა ცენტრი მას ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას. ამ სამი თვის წინად კოლმეურნეობის ცენტრიდან მიღებული იყო დეპეშა გუთნების გამოგზავნის შესახებ. მაგრამ დღესაც არ ვიცით, სად გაგზავნეს ეს გუთნები. კოლმეურნეობებს თუ მეტი დახმარება არ აღმოუჩინეთ, უსათუოდ დაიშლებიან. მეტად მწვავედ დგას კოლმეურნეობებში ანგარიშ - წარმოების საკითხი. თბილისიდან გამოგზავნილი მოანგარიშეები ღვინის სმის მეტს არაფერს არ აკეთებენ. სათესლე ქერის აკრეფის დროს რაიონში დაშვებულ იქნა შეცდომა. ხევის რაიონს უნდა შეეგროვებინა 12 ათასი ფუთი ქერი, რაიონში კი ქერის წლიური მოსავალი 20 ათას ფუთს არ აღემატება. ამ შეცდომამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სოფლის მშრომელ მოსახლეობაში.

მეშვიდე სხდომა

კონფერენციის მეშვიდე სხდომას შესდგა ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით. გრძელდება კამათი ამხ. ლადო სუხიშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. ჯანიზაშვილი

ამხანაგებო! ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში ყველაფერი რიგზე ვერ არის. მე ვარ მუშათა ბრიგადის ერთ-ერთი წევრი. ჩვენი ბრიგადა ეცნობოდა რკინის გზ. სამმართველოს მუშაობას, მაგრამ ჩვენს მუშაობას წინ ელობებოდა მრავალი დაბრკოლებანი. დაწესებულება, თავისთავად მეტად დიდია, საქმეები იქ აურეველია და ცხადია მუშათა ბრიგადა თუ მას შესაფერის დახმარებას არ გაუწევდა, ყოველივეს ვერ გაარკვევდა თავს. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც შევძელით ზოგიერთ ნაკლოვანებების აღმოჩენა ა. კ. რკინის გზის სამმართველოში. აქ პასუხისმგებელ მუშაკთა შორის ძალიან გავრცელებულია ავანსების გაცემა, რომელთა დაფარვაც მეტად დიდხანს გრძელდება. არის ავანსები გაცემული 800—1000 მანეთის რაოდენობით და ვალი წლობით გაუსტუმრებელი რჩება. ადგილი აქვს აგრეთვე სახელმწიფო ქონების მითვისებასაც სამმართველოს ზოგიერთ მუშაკების მხრივ. როგორც იცით, რკინის გზის მუშებმა იმისათვის, რომ ტრანსპორტს მეტი წარმატებით ებრძოლა ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, უარი განაცხადეს უფასო ბილეთებზე იმ რაოდენობით, როგორც ეს დღემდე იყო დაწესებული. ამავე დროს რკინის გზის სამმართველოს ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკები ასე ადვილად არ იღებენ ხელს ძველ პრივილეგიებზე, სარგებლობენ თავიანთი მდგომარეობით და იწერენ უფასო ბილეთებს რამდენიც ეს მათ სჭირდებათ, ზაფხულ რბილ ვაგონებით ცოლშვილს მოსკოვში და სხვა ადგილებზე. ცხადია, ასეთი მდგომარეობა დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

აქ ბევრი ლაპარაკი იყო ბინის სივიწროვეზე. ამ საკითხს შეეხო თავის მოხსენებაში ამხ. ლადო სუხიშვილიც. მე უნდა ვსთქვა, რომ რკინის გზის მუშები ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან. თუ კი სადმე აიგო ახალი სახლები, ბევრი მათგანი გამოუსადეგარია მუშებისათვის და ამავე დროს მუშების დაბალი ფენები ვერ სარგებლობენ ამ სახლებით. თბილისის ოლქის პარტიულ ორგანიზაციამ ამ საკითხს მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ბევრი ითქვა აქ აგრეთვე კოლმეურნეობის მშენებლობაში დაშვებულ შეცდომებზე. მე ამ შეცდომათა ჩამოთვლას არ შევუდგები, მაგრამ შევეხები მეორე საკითხს, რომელსაც ჩემი აზრით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს უკვე არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის და საერთოდ საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი გაფართოებისათვის. მხედველობაში მაქვს პროდუქტების განაწილება კოლმეურნეობებში. საჭიროა აქედანვე შევუდგეთ თადარიგს, რომ ნამუშევარის განაწილება კოლმეურნეობებში ჯეროვანი ნიადაგზე იქნას დაყენებული.

ამხ. მნაცაკანოვი

მრეწველობის წარმატებით განვითარება და ამასთან ერთად ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის ოთხ წელიწადში შესრულება მჭიდროთ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად შესძლებს ჩვენ მრეწველობის რაციონალიზაციას და კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებას. თუ რაციონალიზაციის მხრივ ჩვენ გვაქვს ერთგვარი მიღწევები, ამას ვერ ვიტყვით მუშათა კვალიფიციურ კადრების მომზადების შესახებ. მცოდნე მუშების რიცხვი თანდათან კლებულობს. ბევრი მათგანი დაწინაურების წესით მიდის სხვა სამუშაოებზე, ბევრი ებმება პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ ორგანოებში და სხვ. ამ მუშების შესაცვლელად კი ჩვენ არ მოგვეპოვება ახალი კადრები. ეს საკითხი მეტად მტკივნეული საკითხია თვითეული საწარმოსათვის. თუ ეხლავე არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებისათვის, ჩვენ მივალთ ისეთ მდგომარეობამდე, როდესაც საწარმოები უდიდეს სიძნელეების წინაშე დადგებიან, კვალიფიციური მომზადებული მუშახელის ნაკლებობის გამო.

რამდენიმე სიტყვა განუწყვეტელი კვირის შესახებ. უნდა ითქვას, რომ განუწყვეტელმა კვირამ დადებითი შედეგი მოგვცა, მაგრამ ბევრგან ის არ იქნა გატარებული ჯეროვანად. მანქანების მოვლა-შეკეთებას განუწყვეტელ კვირაზე გადასვლის შემდეგ ზოგიერთ საწარმოებში ნაკლებ ყურადღება ექცევა. ამას შედეგად მოყვა ის, რომ მთელი რიგი ძვირფასი დაზგები დადგნენ. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალების დიდ ნაკლებობას განიცდიან. ამ ნიადაგზე ცალკე საწარმოებს შორის იქმნება მეტად ცუდი კონკურენცია. ისინი ცდილობენ მეტი ხელფასის შეძლევით გადაიბირონ ინჟენერები და ტეხნიკოსები. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, სიდანაც უკანასკნელ დროს რამდენიმე ინჟენერი და ტეხნიკოსი წავიდა სხვა სამუშაოზე. აშკარაა, რომ ამას დეზორგანიზაცია შეაქვს ტეხნიკურ ძალების გამოყენების საქმეში.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა მასებთან კავშირის შესახებ. მართალია, პასუხისმგებელი ამხანაგები მეტად დატვირთულნი არიან სამუშაოთი, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვუსაყვედუროთ მათ, რომ ბევრი მათგანი არ მოდიან ხშირად ფაბრიკა-ქარხნებში და არ არიან მჭიდროთ დაკავშირებული მასების ყოველდღიურ ცხოვრებასთან, დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენ ზოგიერთ სიძნელეებს განვიცდით ხელმძღვანელ ამხანაგების უფრო ხშირად მისვლა ფაბრიკა-ქარხნებში, მათი ახსნა-განმარტებანი უთუოდ დიდ შედეგს გამოიღებდა. არ კმარა, რომ პ.-მგებელი ამხანაგები ჩვენ ვნახოთ მარტო ყრილობებზე და კონფერენციებზე. ამ გარემოებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. გორდელაძე

ამხანაგებო, აქ საკმაოდ ვრცლად ილაპარაკეს საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე. თბ. ორგანიზაციის საოლქო კომიტეტმა ბოლშევიკურად აღიარა თავისი შეცდომები. დაშვებულ შეცდომებზე მიუთითებდენ აგრეთვე სხვა ამხანაგებიც. მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ვერ შევჩერდებით მარტო ამ შეცდომების აღიარებაზე და საჭიროა აქედან შესაფერი პრაქტიკული დასკვნის გამოტანა. არ კმარა მარტო საკუთარი შეცდომების აღიარება. ჩვენ უნდა დავსახოთ არსებულ შეცდომების საფუძველზე ახალი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენ ყოველი ზომები უნდა მივიღოთ არსებულ კოლექტივების გაძლიერებისათვის. ამისათვის, რომ ამ კოლექტივებმა მეტი პროდუქცია მოგვცენ და მეტი საქონელი გამოიტანონ ბაზარზე. მეორე ამოცანა — რომელიც აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებისათვის, ესაა ურთიერთობის მოწესრიგება კოლმეურნეობათა წევრებსა და დანარჩენ გლეხკაცობას შორის. აშკარად უნდა ითქვას, რომ ეს ურთიერთობა ყოველთვის ნორმალური ვერაა. კოლმეურნეობები ზოგჯერ კარჩაკეტილად მუშაობენ და არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ მათი დანიშნულებაა არა მარტო საბჭოთა მეურნეობის გაძლიერება, არამედ ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის დახმარების გაწევა, მათი დარწმუნება იმაში, რომ კოლექტიურ მეურნეობას უთუოდ უპირატესობა აქვს დაქსაქსულ ინდივიდუალურ მეურნეობებთან შედარებით. თუ ეს საკითხი წარმატებით არ იქნა გადაჭრილი, ჩვენ უთუოდ გაგვიძნელდება საკოლმეურნეო მშენებლობაში შემდგომი გაშლა.

მეორე საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევაჩერო კონფერენციის ყურადღება, ეს არის ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმის განხორციელებისათვის. ვინც თვალს ადევნებს ჩვენს პრესას, ის დარწმუნდება, რომ საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ეს არის არა მარტო დიდი ეკონომიური ამოცანა, არამედ ის პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა არის. ამხ. შალვა ელიავამ თავის მოხსენებაში საკმაოდ ვრცლად განმარტა თუ რა შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს კაპიტ. ქვეყნები ჩვენი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. აქედან ცხადია, თუ რატომ ექცევა ამ საკითხს ასეთი დიდი ყურადღება. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას. ის ღონისძიებები, რომელსაც დღემდე იჩენენ ჩვენი პარტორგანიზაციები ამ მიმართულებით, საკმარისად ვერ ჩაითვლება. საჭიროა ამ მხრივ მოხდეს საფუძვლიანი გარდატეხა.

ამხ. ვ. ბოლქვაძე

ამხანაგებო! ამხ. ლადო სუხიშვილის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა აგრეთვე საბინაო კავშირის წარმომადგენელი, რომელმაც თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს უსაყვედურა, რომ ის არ უწევს დახმარებას საბინაო კოოპერაციას. არ ვიცი რა ჰქონდა ამხანაგს მხედველობაში, როდესაც მან ეს აქ განაცხადა, ამის საპასუხოთ მე უნდა აღვნიშნო შემდეგი: საბინაო კავშირს ჩვენს ქალაქში უჭირავს საუკეთესო სახლები. მიუხედავად ამისა ამ სახლებზე ისეთივე სარენტო გადასახადია აღმასკომის მიერ დაწესებული, როგორც ლენინის რაიონის მუშების კერძო პატარა სახლებზე. ამ დაკლებული გადასახადების მიხედვით საბინაო კავშირს აღმასკომის სალაროში უნდა შემოეტანა ნახევარი მილიონი მანეთი, ნამდვილად კი მან შემოიტანა მხოლოდ 20 ათასი მანეთი. ამის შემდეგ არ ვიცი რა უფლებით შეიძლება უსაყვედურონ აღმასკომის პრეზიდიუმს უყურადღებობა საბინაო კავშირისადმი.

ამხ. შალვა ელიავამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ თბილისს ჯერაც არა აქვს მთლიანი გეგმა. ჩვენ ამ ნაკლს დიდიხანია ვამჩნევთ. აღმასკომის პრეზიდიუმი თავის ბიუჯეტში ყოველ წლიურად ითვალისწინებს ხარჯებს მთლიანი გეგმის შესადგენად, რომლისთვისაც საჭიროა 600 ათასი მანეთი. მაგრამ საბჭოთა ზემდგომი ორგანოები, რომლის ხელმძღვანელი არის თვით ამხ. შალვა ელიავა, გვიშლიან ბიუჯეტში ხარჯების ამ მუხლს. ცხადია, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ თბილისის აღმასკომს ჰქონდეს ქალაქის მთლიანი გეგმა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვღებულობთ ზომებს, რომ საჭირო თანხა როგორმე ვიშოვნოთ და ქალაქისათვის შევადგინოთ მთლიანი გეგმა.

აქ აღინიშნა აგრეთვე, რომ თბილისის ტრამვაის მოძრაობა მოწესრიგებული არ არის, რაც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს. შესაძლებელია, რომ თბილისის ტრამვაის მოძრაობა მართლაც არ იდგეს საჭირო დონეზე, მაგრამ თუ უბედურ შემთხვევათა რიცხვს, რომელსაც ადგილი აქვს თბილისში ტრამვაის მოძრაობასთან დაკავშირებით შევადარებთ ასეთივე შემთხვევებს სხვა ქალაქებთან, უნდა ვთქვათ, რომ აქ მდგომარეობა რამდენადმე უკეთესია. მაგალითად, ბაქოში, სადაც გზები ტრამვაისათვის უფრო კარგია, უბედურ შემთხვევათა რიცხვი მეტია, ვიდრე თბილისში.

ამხ. ლადო სუხიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა თბილისის აღმასკომის შესახებ, რომ დაწინაურებულ მუშათა რიცხვი აღმასკომში მცირეა და ეს რიცხვი კიდევაც კლებულობსო. სჩანს ამხ. სუხიშვილს არ ქონია სწორი ცნობები მუშათა დაწინაურების შესახებ თბილისის აღმასკომის აპარატში. საქმის ნამდვილი მდგომარეობა ასეთია: 1928 წელში თბილისის აღმასკომში იყო 12 დაწინაურებული მუშა, 1929 წელს კი მათი რიცხვი გაიზარდა 25 კაცამდე. 1930 წელში დაწინაურებულ მუშათა რიცხვი თბილისის აღმასკომში უდრის — 37. მიმდინარე წლის 1-ლ იანვრიდან დღემდე დავწინაურეთ კიდევ 4 კაცი. ამჟამად თბილისის აღმასკომის აპარატში სულ არის 41 დაწინაურებული მუშა.

მინდა რამდენიმე სიტყვით შევჩერდე საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ თბილისის ოლქში. მე მინდა შევეხო საკოლმეურნეო მშენებლობის სადღეისო პრაქტიკულ ამოცანებს. მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ამჟამად ყურადღება, ეს არის აღრიცხვის საქმის მოწესრიგება კოლექტიურ მეურნეობებში. ეს კი ბრკოლდება უბრალო წვრილმანების გამო. მაგალითად, ჩვენს კოლმეურნეობებს დღემდე არ აქვს საბუღალტრო ცნობები, ანგარიშის საწარმოებო ბლანკები და სხვა მინიმალურად აუცილებელი ტეხნიკური საშუალებანი, ამის შესახებ თბილისის აღმასკომმა არა ერთხელ აღძრა საკითხი, მაგრამ ის მაინც მოუწესრიგებელია. მე პირადათ რამდენჯერმე ველაპარაკე ტელეფონით საკოლმეურნეო ცენტრს მოსკოვში, რომ დაეჩქარებია ასეთი ხელსაწყოების გადმოგზავნა, მაგრამ საქმის ეს მაინც არ შველის.

კონფერენციაზე საკმაოდ ბევრი ილაპარაკეს თბილისის მუშკოოპის მუშაობის შესახებ. ამხანაგებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ჩვენი მუშათა კოოპერაციის საქმიანობა. ეს მეტად სასურველი მოვლენაა. კრიტიკა შველის საქმის გამოსწორებას. ვერც მე ვიტყვი, რომ მუშკოოპს დეფექტები არა აქვს, ისინი უთუოდ არის და მათ აღმოსაფხვრელად საჭიროა ენერგიული ზომების მიღება. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ამხანაგებო, თუ რა როლს ასრულებს მუშკოოპი მუშა-მოსამსახურეთა სურსათ-სანოვაგით მომარაგების დარგში. მუშკოოპი აქ გამოდის, როგორც პროდუქტების განმანაწილებელი. ის თვითონ არ ამზადებს პროდუქტებს. ამიტომ ბევრი ის სამართლიანი საყვედური, რომელიც მუშკოოპის მისამართით გაისმის, არ ეკუთვნის თვით მუშკოოპს. აქ საჭიროა ზომების მიღება დამამზადებელ ორგანიზაციათა საქმიანობის გასაჯანსაღებლად. რაც შეეხება მუშკოოპს, კრიტიკა მისი საქმიანობის გარშემო უმთავრესად უნდა გაშლილიყო იმ მიმართულებით, თუ რამდენად დამაკმაყოფილებლად ასრულებს მუშათა კოოპერატივი სურსათ-სანოვაგის განაწილებას.

ამხ. ლელაშვილი

ამხანაგებო, მე მიხდებოდა მუშათა იმ ბრიგადაში მონაწილეობა, რომელიც იკვლევდა „პურის კავშირი"-ს („სოიუზხლებ") საქმიანობას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ბრიგადის მუშაობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სახელმწიფო და კოოპერატიულ აპარატში გვყავს, როგორც საქმის არმცოდნე, ისე თავის მოვალეობისადმი მოუვლელი ხალხი. მაგალითად: პურის განაწილების აპარატში მუშაობს კბილის ექიმი, რომელსაც ამ საქმის არაფერი გაეგება. აგრეთვე იყო ასეთი კურიოზული შემთხვევაც აღმოჩნდა, რომ აპარატში არის სულით ავადმყოფი. როდესაც ჩვენ დაწესებულების უფროსს შევეკითხეთ, თუ რატომ მოხდა ეს, მან განაცხადა, რომ მე ისეთ თანამშრომელს არც კი ვიცნობო. აშკარაა, როცა დაწესებულების ხელმძღვანელი არ იცნობს თავის თანამშრომელს, ამ დაწესებულების მუშაობა წესიერი ვერ იქნება. აპარატის გაჯანსაღებას მომავალში ჩვენ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ, ვიდრე ეს დღემდე იყო. ამოცანას, მხოლოდ მაშინ გადავწყვეტთ წარმატებით, თუ ამ საქმეში ჩავაბამთ მუშებს და ღარიბ, საშუალო გლეხობის ფართო მასებს.

ამხ. ჩუბინიძე

ამხანაგებო, მე მინდა რამოდენიმედ შევაჩერო კონფერ. ყურადღება კომკავშირის თბილისის ოლქის ორგანიზაციის მდგომარეობის საკითხებზე. პირველ ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ მთავარი მნიშვნელობა კომკავშირის რიგების განმტკიცებისათვის აქვს მის წევრთა შორის იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაფართოებას. ამ მხრივ ჩვენ უთუოდ გვაქვს ერთგვარი მიღწევები. კომკავშირის საოლქო კომიტეტმა გასულ წლის განმავლობაში საფუძვლიანად გარდაქმნა პოლიტგანათლების მთელი სისტემა და ამ ახალ სისტემის ცალკე საფეხურებში გაატარა თავის წევრთა 60 პროც.-ტი. ქალაქად კომკავშირის პოლიტიკურად აღზრდა-გამოთვინის საქმე შედარებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, სოფლად კი სხვა მდგომარეობა გვაქვს. აქ ჩვენ მთელ რიგ მიზეზების გამო ვერ შევძელით პ.-სკ. ქსელის გაშლა. ამით აიხსნება სხვათა შორის, რომ სოფლად კომკავშირის პოლიტიკური მომზადების დონე უფრო დაბალია. ამის დამამტკიცებელი ფაქტები ჩვენ ნათლად დავინახეთ საკოლმეურნეო მშენებლობის დროს. მაგალითად, როგორც ამხ. ლადო სუხიშვილმა აღნიშნა თავის მოხსენებაში, ბორჩალოს ყოფილ მაზრაში, როდესაც ტარდებოდა გაცხოველებული საკოლმეურნეო მშენებლობა, 100 კაცზე მეტი კომკავშირელმა გადაჰყარა თავისი ბილეთები და უარი განაცხადა კოლექტივში შესვლაზე.

კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტმა ყოველივე ზომები მიიღო იმისათვის, რომ პარტიასთან ერთად, მასაც ენერგიული მუშაობა გაეშალა საკოლმეურნეო მშენებლობაში. ამ მიზნით ჩვენ მოვამზადეთ 88 კომკავშირელი კოლმეურნეობათა პრაქტიკულ მუშაკებათ და გავგზავნეთ ისინი სოფლად.

არანაკლებ ყურადღებას ვაქცევდით ჩვენ კომკავშირის მონაწილეობას საწარმოო - საფინანსო გეგმების განხორციელებაში. სოციალისტური შეჯიბრება, როგორც იცით ფართოდ არის გაშლილი ჩვენს საწარმოებში და ამ შეჯიბრებაში კომკავშირი სხვებთან ერთად ღებულობს მონაწილეობას. ამჟამად თბილისის ოლქში სულ არის 5.453 დამკვრელი კომკავშირელი. ამასთანავე ჩვენ ავიღეთ ერთი ახალგაზრდობის სპეციალური ქარხანა, რომელშიაც მხოლოდ ახალგაზრდობა მუშაობს. უნდა ითქვას, რომ ამ ქარხანას აქვს მიღწევები ბევრ რიგ დარგში, მაგრამ ამასთან ერთად, კომკავშირელთა შორისაც ეხვდებით ცრუდამკვრელობის ფაქტებს. ამის კი მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. განსაკუთრებით არანორმალურად უნდა ჩაითვალოს, როცა პარტიული უჯრედი არ უწევს კომკავშირის დამკვრელ ბრიგადას სათანადო ხელმძღვანელობას. ასეთი ფაქტი ჩვენ გვქონდა ქარხანა „თემქა"-ში.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კომკავშირის საქმიანობის წარმატებით განვითარებისათვის პარტიის ხელმძღვანელობას კომკავშირის ორგანიზაციებში. ამ მხრივ თბილისის ოლქში ბევრგან დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არა გვაქვს. პარტუჯრედები, ხელმძღვანელობის ნაცვლად, ზოგჯერ უფრო დიქტატორობას იჩენენ კომკავშირზე. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც პარტუჯრედები ახშობენ თვითკრიტიკას და სათანადო გასაქანს არ აძლევენ მსუბუქ კავალერიის მუშაობას. ასეთი შემთხვევა ჩვენ გვქონდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფაკულტეტის უჯრედში. იყო ამნაირივე ფაქტი მიწსახკომის უჯრედშიაც.

ამხ. ბედია

ამხანაგებო, შემთხვევითი სრულიადაც არ არის, რომ ჩვენს კონფერენციაზე ასე მწვავედ სდგას კადრების მომზადების საკითხი. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ მუშაობა კადრების მომზადებისათვის სუსტად არის დაყენებული. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა შემადგენლობის გამუშურებას. ამ მხრივ მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშების და მუშის შვილი სტუდენტების რიცხვი უდრის მხოლოდ 9,7 პროც-ს, საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—12 პროც-ზე ცოტა მეტს. ასეთივე მდგომარეობაა სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტშიაც.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ დირექტივა უმაღლეს სასწავლებლების მსმენელთა შემადგენლობის გამუშურების შესახებ, შესრულებული არ არის.

რით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ კადრების მომზადების საკითხი ვერ არის დამაკმაყოფილებელი? მთავარი მიზეზი აქ ის არის, რომ ჩვენი პარტიული აქტივი და საზოგადოებრივ მუშათა მასები ამ საკითხის გადაწყვეტაში არ ღებულობენ უახლოეს მონაწილეობას. ბევრს საქმე ისე წარმოუდგენია, რომ არსებობს ამისათვის სათანადო აპარატი—პარტიის კულტურულ - პროპაგანდიული განყოფილება, სახალხო განათლების ორგანოები და ისინი შეასრულებენ დავალებასო.

ეს შემცდარი აზრია. მარტო აპარატი ამ დიდ ამოცანას ვერ გადასწყვეტს, თუ მას ამ შემთხვევაშიაც უაქტივესი მონაწილეობა არ გაუწია მუშათა ფართო მასებმა.

რამდენიმე მიღწევები გვაქვს უმაღლეს სასწავლებელთა რეორგანიზაციის დარგში. ეს საქმე შედარებით წინ მიდის. ჩვენი უმაღლეს სასწავლებლები იყოფა ცალკე ინსტიტუტებად, რომლებიც გადაეცემა ამიერ - კავკასიის და საქართველოს სამეურნეო ორგანოებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში ერთმმართველობის პრინციპის გატარებას. უნდა ითქვას, რომ უმაღლეს სკოლებში პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ასრულებდენ ადმინისტრატიულ ფუნქციებსაც. ჩვენ დავსვით საკითხი იმის შესახებ, რომ ეს არანორმალური მდგომარეობა საფუძვლიანად შეცვლილიყო და ერთმმართველობის პრინციპი მტკიცედ ყოფილიყო განხორციელებული უმაღლეს სასწავლებლებშიაც. ამ მიმართულებით კიდევაც გადაიდგა სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები, მაგრამ ზოგჯერ აქაც გვხდება მოულოდნელი დაბრკოლებები. მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციამ უარი განაცხადა იმ თავის ფუნქციების მიღებაზე, რომელიც ჩამოერთვა სტუდენტთა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს. ადმინისტრაციას არ აღმოაჩნდა საამისო შესაფერი აპარატი. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ეს ღონისძიება უთუოდ უნდა იქნეს ბოლომდე მიყვანილი.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ სტუდენტთა კონტრაქტაციის საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, შესაფერ დახმარებას ვერ უწევს სტუდენტობას. თუ, მაგალითად, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს კონტრაქტაციით უნდა აეყვანა 280 სტუდენტი, მან მხოლოდ 45 კაცი აიყვანა. ეს არის ნამდვილი „საქმიანობა" (დელიაჩესტვო), რომელსაც ამ შემთხვევაში იჩენენ ჩვენი სამეურნეო ორგანოები.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა პარტგანათლების საკითხებზე. მართალია ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ პარტგანათლების მნიშვნელობაზე, მაგრამ ამას თან არ ახლავს შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯები. ამავე დროს, უდაოა, რომ პარტიის წევრთა დიდი ნაწილი ჩამორჩება თავისი პოლიტიკური და კულტურული მომზადებით. ამ საკითხებს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, საჭიროა, რომ სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ.

ამხ. ერისთავი

ამხანაგებო, აქ ბევრი ილაპარაკეს მუშკოოპის დეფექტებზე. მე არ შემიძლია არ დავეთანხმო იმ შენიშვნებს და საქმიან მითითებებს, რომლებიც ორატორებმა მისცეს მუშათა კოოპერატივს მისი საქმიანობის გამოსასწორებლად. ჩვენს კოოპერაციას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ახასიათებს: მოუწესრიგებელია პროდუქტების თავის დროზე განაწილება; ძალიან ხშირად ადგილი აქვს მომხმარებლისადმი უხეშად მოპყრობას; მუშკოოპში შემჩნეულია დანაკარგებით მიღებული ზარალიც. არის აგრეთვე გაფლანგვის შემთხვევებიც. ჩვენ ყველა ამ დეფექტების წინააღმდეგ შესაფერის ბრძოლას ვაწარმოებთ.

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო ორგანიზაციის მეორე (XI) პარტკონფერენცია

რეზოლუცია

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ

კონფერენციამ საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების მოსმენის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი ცნობილი იქნას სწორად და მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ აირჩია კომისია ამხ. ლ. სუხიშვილის და ე. ასრიბეკოვის მოხსენებათა გარშემო რეზოლუციების დასამუშავებლად.

მაგრამ, ამხანაგებო, არის ისეთი დეფექტებიც, რომელნიც ჩვენს საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად, ჩვენ გვქონდა მოცემული დირექტივა დაგვეკლო ფასები პროდუქტებზე. ჩვენ ეს დავალება ნაწილობრივ შევასრულეთ, პროდუქტებს ფასები დავუკელით 3 პროცენტით, მაგრამ დამამზადებელ ორგანიზაციებმა, რომელნიც ჩვენ გვაწვდიან პროდუქტებს, ზოგიერთ შემთხვევაში ფასები მოუმატეს. ამასთანავე შემოღებული იქნა ე. წ. მაზანობრივი ფასების დამატება. აშკარაა, რომ ასეთ პირობებში ჩვენს ღონისძიებას ფასების შემცირებისათვის საჭირო შედეგი ვერ მოყვება.

ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ მომხმარებელთა მოთხოვნილებას, რადგან მოთხოვნილების ზრდა არ შეეფერება პროდუქციის დამზადებას. თვითონ მუშათა კოოპერატივს კი არ შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს პროდუქტების დამზადება. მუშკოოპი იძულებულია უცადოს სანამ მას მოაწოდებენ პროდუქტებს სათანადო ორგანიზაციები. ჩვენ ამრიგად წარმოვადგენთ პროდუქტების განაწილების პასიურ აპარატს. ეს მდგომარეობა ცხადია არ არის ნორმალური. ამის შესახებ ჩვენ რამდენჯერმე დავსვით საკითხი თბილისის საოლქო კომიტეტში, რომელმაც შესაფერისი დადგენილება გამოიტანა. მუშკოოპს მიეცა უფლება გამოიჩინოს საკუთარი ინიციატივა პროდუქტების დამზადებაში, მაგრამ დამამზადებელი ორგანიზაციები ამის წინააღმდეგ წავიდენ და ჩვენ დღემდეც ძველ მდგომარეობაში ვართ.

თბილისის მუშკოოპი სწრაფად იზრდება ორგანიზაციულად. ამის დამადასტურებელი ფაქტები საკმაოდ ვრცლად მოიყვანა თავის მოხსენებაში ამხ. ლადო სუხიშვილმა. მაგრამ მთავარი ჩვენი ნაკლი ამ დარგში ის არის, რომ კოოპერატივში გაერთიანებული მასები არ არიან სათანადო აქტივობით ჩაბმული მუშკოოპის ყოველდღიურ მუშაობაში. რომ ეს ასე იყოს, რომ კოოპერატივის წევრები ახლო მონაწილეობას ღებულობდეს ჩვენს საქმიანობაში, მაშინ, უდავოა, ის უკმაყოფილება, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი მუშკოოპის გარშემო, ამდენად შესამჩნევი აღარ იქნებოდა.

გარდა ამისა მეტად აფერხებს მუშკოოპის მისწრაფებას გამოიჩინოს საკუთარი ინიციატივა პროდუქტების დამზადებაში ის გარემოება, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები ჩვენ ამ მხრივ არ გვიწევენ შესაფერ დახმარებას. მაგალითად, ჩვენ განზრახვა გვქონდა დაგვემუშავებია საკუთარ მიწებზე კარტოფილი. ამ მიზნით საქართველოს სახკომსაბჭოს მითითებით გორის რაიონიდან იძულებული გავხდით წამოგვეღო ტრაქტორი, მაგრამ გორის მუშაკებმა უკვე ვაგონებზე დატვირთული ტრაქტორები შეაჩერეს ერთ-ერთ მახლობელ სადგურზე და უკან დააბრუნეს.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშკოოპის წესიერი მუშაობისათვის საწყობებისა და ტრანსპორტის საკითხის მოწესრიგებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. არა გვაქვს შესაფერი საწყობები, არა გვაქვს ტრანსპორტი საჭირო რაოდენობით. ამის გამო ფუჭდება დიდძალი პროდუქტები.

ამხ. დვალი

ამხანაგებო, საკოლმეურნეო მშენებლობის უმწვავესი საკითხია შრომის ორგანიზაციის და კოლმეურნეობათა ანგარიშ-წარმოების სათანადო დონეზე დაყენება. ამას კი აფერხებს ის გარემოება, რომ დღემდე ჩვენს კოლმეურნეობებს არა აქვთ აღრიცხვისათვის საჭირო ნაბეჭდი ბლანკები. სამი თვეა გვპირდებიან ამ ბლანკების გადმოგზავნას და ჯერ კიდევ დაპირება შესრულებული არ არის.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო მშენებლობაში აგროკულტურულ მუშაობის სწორად წარმოებას. ყოვლად დაუშვებელია, როდესაც კოლმეურნეობანი ამ მხრივ მარცხს განიცდიან. ეს უტეხავს სახელს კოლექტივიზაციას გლეხობის თვალში და ასუსტებს თვით კოლმეურნეობის მდგომარეობას. მაგალითად, სოფელ მისაქციელის კოლექტივში სრულიად დაიღუპა დანათესი, რადგან თესლი უვარგისი აღმოჩნდა. ბევრი ეძებეს დამნაშავე, მაგრამ არ იქნა აღმოჩენილი. ასეთი მდგომარეობა ნორმალურად ვერ ჩაითვლება. საჭიროა სამეურნეო საქმიანობა კოლექტივებში უფრო საღ და მტკიცე ნიადაგზე იქნას დაყენებული.

მინდა ორიოდე სიტყვით შევჩერდე იმ გარემოებაზე, რომელსაც ადგილი აქვს საკოლმეურნეო მშენებლობაში. სოფ. წილკანში 15 კომლ გლეხმა დაარსა კომუნა, მაგრამ კომუნაში შესვლამდე მათ დაჰყიდეს თავიანთი სახლები და ფული კი დახარჯეს. აშკარაა, ასეთი კომუნა შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებდა. დღეს ამ კომუნას 18 ათასი მანეთი აქვს და მის წევრებს საზრდოც კი არ გააჩნიათ. ამგვარ მდგომარეობას მომავალში მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს. საჭიროა სანამ კომუნა ან კოლექტივი დაარსდებოდეს, წინასწარ იქნას მიღებული შესაფერი ორგანიზაციული ზომები.

ამხ. ქაცარავა

ამხანაგებო, კადრების მომზადების საკითხში, რომელსაც აქ ორატორები ვრცლად ეხებოდენ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფგანათლების სისტემის გადახალისება-გაუმჯობესებას. დღემდე ჩვენში სიღარიბის გამო პროფგანათლების ჰასაკი დამტკიცებული იყო 12 წლიდან, უკანასკნელ დროს სპეციალურ-პარტიულ თათბირის შემდეგ გადაწყვეტილია ეს მდგომარეობა გამოსწორებულ იქნას. პროფგანათლების ჰასაკი ჩვენში უნდა დაწესდეს 15 წლიდან.

სახალხო განათლების რეორგანიზაცია საფუძვლიანად უნდა შეეხოს მეორე საფეხურის სასკოლო სისტემას. საჭიროა ამ სკოლებში გავაძლიეროთ პოლიტექნიზმის პრინციპი. საშუალო განათლება უნდა გარდაიქმნას ამ პრინციპის საფუძველზე. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ახალგაზრდობამ მეორე საფეხურის სკოლებში საშუალო-საერთო განათლებასთან ერთად მიიღოს სპეციალური განათლებაც. ამისათვის სკოლა უნდა გადაიყვანოთ საწარმოების ბაზაზე. შვიდწლედები უნდა დაუკავშიროთ ქარხნებს, გლეხს, ახალგაზრდობის სკოლები — კოლმეურნეობებს.

სახალხო განათლების მუშაობის გაჯანსაღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს განათლების საქმის კონცენტრაციას, მის მოქცევას ერთ ხელმძღვანელ აპარატში. აქ გამოვიდა საბინაო კოოპერაციის წარმომადგენელი; მან აღნიშნა, რომ საბინაო კოოპერაციას აქვს წრე-კურსები და სხვა სკოლები. ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ პროფსაბჭოს მასიურ-კულტურულ მუშაობის დარგში უხდება სახალხო განათლების ორგანოების ფუნქციათა შესრულება. საჭიროა ძალთა ასე დაქსაქსულობას გადაჭრით მოეღოს ბოლო. კადრების მომზადების საქმე მთლიანად უნდა გავაერთიანოთ, მაშინ უფრო ადვილად შევძლებთ დასახული მიზნის განხორციელებას.

ჩვენ აქტიურად შევუდგებით საყოველთაო განათლების განხორციელებას თბილისის ოლქში. მაგრამ ამ გზაზე გვეღობება მთელი რიგი დაბრკოლებანი. ჩვენს ოლქში არიან ისეთი ჩამორჩენილი რაიონები, როგორც, მაგალითად, ბორჩალო და დუშეთის რაიონი, სადაც საყოველთაო განათლების საჭირო ტემპის გატარება შეუძლებელი ხდება.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა კომუნისტებისა და კომკავშირელთა კადრების შესახებ სახალხო განათლების სისტემაში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. საჭიროა ამ წინადადების მტკიცედ გატარება, რომელიც აქ წამოაყენა ამხ. ლადო სუხიშვილმა. ყოველი პედაგოგი კომუნისტი და კომკავშირელი, რომელიც არ მუშაობს სახალხო განათლების დარგში, უნდა გადმოყვანილ იქნას ამ საქმეზე. მართალია, მასწავლებელთა შორის არიან იდეოლოგიურად მიუღებელი ელემენტები, მაგრამ საქმე მარტო ამაში არ არის. ჩვენი ხელმძღვანელობაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას იდეოლოგიური სიმტკიცის მხრივ. ჩვენი მიზანია სახალხო განათლების ორგანოები გადავაქციოთ კულტურული რევოლუციის ნამდვილ შტაბად, ამას კი ჩვენ მივაღწევთ იმ შემთხვევაში, თუ საქმე მარტო აპარატს არ დაეკისრება, თუ ჩვენ აქტიურ დახმარებას გაგვიწევენ მუშათა ფართო მასები და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამხ. ჭინჭარაული

მე მინდა შევეხო საშეფო მუშაობის ზოგიერთ დაბრკოლებებს. არიან საწარმოები და დაწესებულებები, რომელთაც შეფობა აღებული აქვთ თბილისის ოლქის არც თუ ისე შორეულ სოფლებზე. მაგალითად, ერწო-თიანეთის რაიონის სოფლები, რომელნიც 40-44 ვერსით არიან დაშორებული ქალაქს, მოკლებულნი არიან შეფის მზრუნველობას, რადგან თბილისიდან ამ სოფლებში ჩასვლა ხშირად უფრო ძნელია, ვიდრე აქედან მოსკოვში გამგზავრება. არ არის გზები, არ არის ხიდები. ამ მდგომარეობას უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება.

ჩვენ საერთოდ ბევრს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ კოლექტიურ მეურნეობებს და კომუნებს. საქმით კი ზოგიერთი ორგანიზაციები ამას არ ამართლებენ. მაგალითად, აქ ამხ. პეიცოვი ვრცლად შეჩერდა კოლმეურნეობებისათვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობაზე. ნამდვილად კი საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ ხელი შეუშალა ერწო-თიანეთის კომუნის მუშაობას. ჩვენ გვქონდა იქ ლოკომობილი, რომელიც კომუნას მეტად ესაჭიროებოდა, მაგრამ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ ის ჩამოგვართვა და ამას ასაბუთებდა იმით, რომ ლოკომობილი მათ უნდა გამოიყენონ საექსპორტო პროდუქტების დამუშავებისათვის. ნამდვილად კი ეს ლოკომობილი დღეს უქმად დგას და ვერც კომუნამ ისარგებლა მით. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობების მუშაკების მომზადებას. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა მეტად არა დამაკმაყოფილებელია. ამავე დროს ყველასათვის ცხადია, რომ კოლმეურნეობების მუშაობის განმტკიცება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მომზადებული მუშაკები ხელმძღვანელობენ მათ.

ამხ. ზერიძე

ამხანაგებო, მე მინდა შევჩერდე წითელი არმიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების დამოკიდებულების საკითხზე. უნდა ითქვას, რომ აქ ხშირად სიტყვა საქმეს არ შეეფერება. სამოქალაქო ორგანიზაციები ვერ იჩენენ საკმაო მზრუნველობას კერძოდ ტერიტორიალურ ნაწილების მიმართ. საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა სპეციალური დადგენილება გამოიტანა იმის შესახებ, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა ტერიტორიალურ ნაწილებს. ეს დადგენილება ცალკე წიგნადაც იქნა გამოშვებული, მაგრამ გარდა თვით არმიის მუშაკებისა ამ დადგენილების განხორციელებაზე სხვები თითქმის არ ზრუნავენ.

განსაკუთრებით საჭირო იყო ჩვენთვის სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარება ახალ წვევულთა შეკრების დროს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რამაც ცუდი გავლენა მოახდინა საქმეზე. თბილისის საოლქო პარტორგანიზაციის კომიტეტმა ამ საკითხს მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. საჭიროა ბოლო მოეღოს იმ უყურადღებობას, რომელსაც ბევრი სამოქალაქო ორგანიზაცია იჩენს ტერიტორიალურ ნაწილებისადმი.

მეორე სხდომა

კონფერენციის მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. მეიფარიანი

კამათში გამოსული ამხანაგების უმრავლესობა შეეხო საკოლმეურნეო მოძრაობას და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გატარებაში დაშვებულებს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების და საერთოდ ჩვენი ნაკლოვანებების მხილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. მანგლისის, აღბულაღის, ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონებში გაგზავნილ მუშათა ბრიგადების შერჩევაში დაშვებული იყო შეცდომები, რაიონებში გაგზავნილ ამხანაგების უმრავლესობამ არ იცოდენ ადგილობრივი მოსახლეობის ენა, კარგად ვერ იცნობდენ იქაურ ზნე-ჩვეულებებს და სხვა. გარდა ამისა ბრიგადებში მოხვდნენ ისეთები, რომლებიც ადგილებზე კოლმეურნეობათა მნიშვნელობის პოპულარიზაციის ნაცვლად ღვინოს სვამდენ, ხულიგნობდენ, სტეხდენ დებოშებს და სხვ.. მუშათა ბრიგადების ზოგიერთი წევრების ასეთ მოქმედებამ სახელი გაუტეხა მუშათა ბრიგადების საქმიანობას. საშეფო საზოგადოებებმა უნდა გადახალისონ თავიანთი მუშაობა. საშეფო ორგანიზაციებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ სოფლის მშრომელ მოსახლეობას.

ამხ. პერვუშინი

ტექნიკური განათლების გავრცელება მუშათა ფართო მასებში სადღეისო ამოცანაა, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური ცოდნის გავრცელებას მუშათა მასებში სათანადო ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამ უკანასკნელ ერთი თვის განმავლობაში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ორჯერ ჩატარდა რეორგანიზაცია; ამჟამად კი მიმდინარეობს მესამე რეორგანიზაცია, ცალკე დარგებში ინსტიტუტების შესაქმნელად. ხშირი რეორგანიზაციები სასწავლო გეგმის შესრულებაზე ცუდად მოქმედებენ. დიდი ნაკლებობა გვაქვს მეცნიერულ ძალების სიმცირის გამო. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორთა, დოცენტთა და ლექტორთა 90 პროცენტზე მეტი გამოსულნი არიან თავად-აზნაურობის წრიდან; აშკარაა, რომ ისინი ვერ შესძლებენ ახალი, წითელი სპეციალისტების სათანადოთ მომზადებას. აქ, პარტიულ კონფერენციაზე, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მუშათა წრიდან მეცნიერული ძალების მომზადებას. არ ხდება კომკავშირელების დაწინაურება ასპირანტებად. პირველ კურსზედაც არ არის შემოღებული სპეციალური საგნების სწავლება. განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკა მოუგვარებელია. პროლეტარულ წრიდან გამოსული სტუდენტობა მატერიალურად უზრუნველყოფილი არ არის. არც კონტრაქტაციის საკითხია მოგვარებული. ხშირად კონტრაქტაცია ეძლევა ჩვენთვის მიუღებელ ელემენტებს. ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში სდგას ამოცანა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამუშურების შესახებ. მომავალ სასწავლო წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღებულ უნდა იქნეს უმთავრესად მუშები, მაგრამ არ კმარა მარტო მუშების მიღება, საჭიროა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღებულ მუშებს შეუქმნათ ისეთი პირობები, რომ მათ შესძლონ კურსის დამთავრება.

ამხ. ავაქოვი

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საოლქო კომიტეტის ყოველდღიურ საქმიანობას წინ ეღობებოდა მრავალი სიძნელეები, მიუხედავად საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებისა, ჩვენ სახალხო მეურნეობის განვითარების ცალკე დარგებში საკმაო მიღწევები გვაქვს.

კამათში გამოსული ამხანაგები ვრცლად შეჩერდენ საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებსა და მიღწევებზე; მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო კოოპერაციის მუშაობაზე, რაც უნდა ბევრი ილაპარაკონ მუშკოოპის ხელმძღვანელ ამხანაგებმა, თავს მაინც ვერ გაიმართლებენ. მართალია, მუშკოოპი დამამზადებელი ორგანიზაცია არ არის, მისი მოვალეობაა პროდუქტების განაწილება, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მუშკოოპი სწორად ვერ ანაწილებს იმ პროდუქტებს, რომელიც მის განკარგულებაშია. ამას წინად მუშათა ბრიგადებმა და „მსუბუქ კავალერისტებმა" მუშკოოპის სავაჭრო პუნქტებზე თავდასხმა მოაწყვეს. მუშათა ბრიგადებმა და „მსუბუქ კავალერისტებმა" სავაჭროებში აღმოაჩინეს პროდუქტების საკმაო მარაგი. ეს იმას მოწმობს, რომ მუშკოოპი წესიერად ვერ ანაწილებს მასიური მოხმარების პროდუქტებს. მუშკოოპის აპარატი უსათუოდ უნდა გაჯანსაღდეს; საჭირო იქნება აპარატის შტატის გადათვალიერება, მასში მუშაკების შერჩევა და მუშების საკმაო რაოდენობით დაწინაურება. საბინაო კრიზისი მწვავედ სვამს საკითხს ჩვენს წინაშე ახალი სახლების აგების შესახებ. უნდა ითქვას, რომ საბინაო კრიზისის გადაჭრა მარტო ერთ ორგანიზაციას არ შეუძლია. მუშებისათვის ახალ სახლების აგებაზე უნდა იზრუნოს როგორც საბინაო კავშირმა, ისე საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებმა, სამეურნეო ორგანიზაციებმა და ყველა საწარმოებმა. უნდა აღინიშნოს, რომ საბინაო კოოპერატიული ამხანაგობები არ ასრულებენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დადგენილებებს ბინებში უცხო, არა მშრომელ ელემენტების გამოსახლებისა და შემჭიდროების შესახებ. საბინაო კავშირმა მომავალში კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ახალი სახლების მშენებლობა.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, ქალაქის აღმასკომის საქმიანობის ნაკლოვანებებს უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს სექციები ვერ ასრულებდენ პარტიისა და ხელისუფლების მითითებებს. ქალაქისათვის აღმასკომს არა აქვს ერთი მთლიანი გეგმა, რომ უფრო გეგმიანად ჩავატაროთ ქალაქის კეთილ-მოწყობა. თბილისის აღმასკომის ზოგიერთი მუშაკები სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ დაწინაურებულ მუშებს, აღმასკომში არაა შექმნილი კარგი პირობები დაწინაურებულ მუშებისათვის. მთელი რიგი ფაქტების მოყვანა შეიძლება იმის შესახებ, რომ დაწინაურებულებს ზოგიერთი მუშაკები გზას უხშობენ. ეს მდგომარეობა უსათუოდ უნდა შეიცვალოს. მუშა-დაწინაურებულებს მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ. მათ მეტი შესაძლებლობა უნდა მივცეთ თვითშემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ გასაშლელად.

ამხ. ანდღულაძე

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების დროს ქალაქიდან სოფლებში ჩასულ ამხანაგებმა ინიციატივა წაართვეს ადგილობრივ მომუშავეებს. ქალაქიდან ჩამოსული ბრიგადები გვერდს უვლიდენ ადგილობრივ ორგანიზაციებს და მათ გარეშე აწარმოებდენ მუშაობას. ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციები ერთმანეთის შეუთანხმებლად გზავნიდენ მუშათა ბრიგადებს სოფლად. ბრიგადებს არ ეძლეოდა სათანადო ახსნა-განმარტება, თუ როგორ უნდა ჩაეტარებიათ კოლექტივიზაცია და სასოფლო სამეურნეო კამპანია. ადგილებზე მივლინებულმა ამხანაგებმა დაამახინჯეს პარტიის ხაზი. სოფელ პატარძეულში კულაკების სიაში შეიტანეს საშუალო გლეხები და წითელარმიელების ოჯახის წევრები. ამ გარემოებამ კანონიერი უკმაყოფილება გამოიწვია სოფლის მოსახლეობაში.

ამხ. ანდღულაძე თავის სიტყვაში შეჩერდა სასამართლოების მუშაობაზე, ერთმმართველობის გატარებაზე და აღნიშნა, რომ ერთმმართველობა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გატარებული საწარმოებში; კოლუჯრედები და ადგილკომები საწარმოების ხელმძღვანელებს ერთგვარ წინააღმდეგობას უწევენ ერთმმართველობის გატარებაში.

ამხ. პიპინსკი

ამხ. პიპინსკი შეეხო საბინაო მშენებლობას და საბინაო კოოპერაციის მუშაობას. ორატორმა აღნიშნა, რომ საბინაო მშენებლობა ქალაქში ნელი ტემპით მიმდინარეობს. საწარმოები და სამეურნეო ორგანოები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი საბინაო მშენებლობით. ჩვენში იგება ახალი ფაბრიკა-ქარხნები და ამავე დროს ნაკლებად ვზრუნავთ ახალი მუშა-ხელის ბინებით უზრუნველყოფაზე. საბინაო კოოპერაციაც სუსტად მუშაობს. სახლების შეკეთება ნელი ტემპით სწარმოებს. სამეურნეო ორგანოებს უნდა მიეცეს სათანადო დირექტივა, რომ მათ დროზე ხელი მოჰკიდონ მუშებისათვის ახალი სახლების აგებას.

ამხ. ზეინალ-ზადე

კოლექტივიზაციის გასატარებლად სოფლებში გაგზავნილი იყო მუშათა ბრიგადები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშათა ზოგიერთი ბრიგადები ვერ ამართლებდენ მათზე დაკისრებულ იმედებს. მუშათა ბრიგადებში მოხვდნენ ისეთები, რომლებმაც არ იცოდნენ ადგილობრივი ენა. ეს კიდევ უფრო აბრკოლებდა ბრიგადების მუშაობას. ბრიგადებში გაგზავნილი იყვნენ მუშები, რომლებმაც არ იცოდნენ თურქული ენა და არ იცნობდნენ ადგილობრივ მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს. არ სწარმოებდა მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის. ამის გამო საშუალო და ღარიბ გლეხთა დიდი ნაწილი მოექცა კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის ქვეშ. ბაშკიჩეთის რაიონში 165 კომლს ჰქონდა საარჩევნო ხმის უფლება, ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა რამდენიმე საშუალო და ღარიბ გლეხებს. გარდა ამისა ინდივიდუალურად დაბეგრილი აღმოჩნდა საშუალო გლეხები. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ბაშკიჩეთის რაიონში ერთ წერტილზეა გაყინული. აქ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. კომკავშ. უჯრედებს შორის მუშაობა მოისუსტებს. კომკ. უჯრედებზე პარტიული ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი ზედმეტია; ამის გამო კომკავშირის წევრების უმრავლესობა მოექცა კულაკების გავლენის ქვეშ. ზოგიერთი ამხანაგი ყურადღებას არ აქცევს ქალთა შორის მუშაობას. ეს კი შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ქალები გადამწყვეტ როლს ასრულებენ კოლმეურნეობათა ჩამოყალიბებაში და მის დაცვის საქმეში. ბაშკიჩეთში კულაკების გავლენის ქვეშ მოქცეული გლეხი ქალები აქტიურად გამოდიოდნენ კოლექტივების წინააღმდეგ. მომავალში ქალთა შორის მუშაობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. რაიონში 4 კოლმეურნეობაა; კოლექტივების განმტკიცებისათვის საჭირო იყო სესხი; 4 მაისს საკრედიტო ამხანაგობიდან მიღებული იქნა დეპეშა 10.000 მანეთის სესხად გაცემის შესახებ. გლეხობა ამ ცნობას აღფრთოვანებით შეხვდა, მაგრამ 10 მაისს მიღებული იქნა მეორე დეპეშა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ გადმოგზავნილი 10.000 მანეთი უკან დაებრუნებიათ; ასეთ მუშაობით ჩვენ კოლმეურნეობებს ვერ განვამტკიცებთ.

ამხ. მღებრიშვილი

ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებს არ აქვთ იმდენი საშუალება, რომ ხელფასი მისცენ მოანგარიშეებს. თბილისის საოლქო კომიტეტმა, სანამ კოლმეურნეობები მოღონიერდებოდნენ, უნდა გამონახონ სახსრები მოანგარიშეების დასაკმაყოფილებლად. კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის საჭიროა აგრონომები და მიწისმზომლები. დუშეთის რაიონში, რომელიც 3.600 კომლს აერთიანებს, მხოლოდ ერთი აგრონომია. მთელ რაიონში 60 კოლმეურნეობაა და აქედან ცხადია, რომ ერთ აგრონომს არ შეუძლია სათანადო მუშაობა ჩაატაროს ყველა კოლექტივებში. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში შეუძლებელი არის კოლმეურნეობებში მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ანგარიშწარმოება კოლექტივებისათვის მეტად მწვავე საკითხთაგანია. მთელ რაიონში 3 მოანგარიშე გვყავს. კოლმეურნეობებში არა გვაქვს საანგარიშო წიგნები, შესაფერი ბლანკები და სხვ. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ გამოცდილი მოანგარიშეებით და სათანადო წიგნებით. კოლექტიური მეურნეობები საჭიროებენ გრძელვადიან სესხს. დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებზე სესხის სახით გაცემული 7.500 მანეთი მეტად უმნიშვნელოა.

ამხ. სოროკინი

ხე-ტყის სახერხი ქარხნების მომარაგება ნედლი მასალით მოისუსტებს. ეს კი საგრძნობლად აბრკოლებს ახალ მშენებლობას. ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები ვერ ასრულებენ ქარხნების დაკვეთებს. საწარმოო საფინანსო გეგმის მიხედვით ხე-ტყის სახერხი ქარხნები საჭიროებენ 1.200 ათას კუბიკურ ფუტზე მეტ ნედლ მასალას. ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს კი შეუძლიათ მხოლოდ 14.000 კუბიკური ფუტის ნედლი მასალის ჩაბარება. სატყეო ტრესტი ყურადღებას არ აქცევს ხე-ტყის ქარხნების მუშაობას და მის ნედლი მასალით მომარაგებას. ამას წინად საბინაო კავშირმა 300 ვაგონი ხე დასახერხად გადასცა კერძო სექტორს; პარტორგანიზაციის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ეს მასალა გადაეცა ხე-ტყის სახერხ ქარხნებს. ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობა უნდა გაჯანსაღდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხე-ტყის სახერხი ქარხნები ნედლი მასალის ნაკლებობის გამო ვერ შესძლებენ საწარმოო-საფინანსო გეგმის დროზე შესრულებას.

ამხ. კირაკოზოვი

ამხანაგებო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამხანაგი შეეხო კოოპერაციის მუშაობას, თქვენი ყურადღება მაინც უნდა შევაჩერო სამომხმარებლო კოოპერაციისა და დამამზადებელ ორგანიზაციების საქმიანობის ზოგიერთ საკითხებზე. სამომხმარებლო კოოპერაციამ და დამამზადებელ ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მოაწესრიგეს მასიური მოხმარების პროდუქტების დამზადების საქმე. დღეს სოფლად თამამად შეიძლება რამდენიმე ასეული ფუთი ყველის და კარაქის დამზადება. კოოპერაცია თავის დროზე ვერ აძლევს გლეხებს დაპირებულ მანუფაქტურას, ამის გამო მასიური მოხმარების პროდუქტები ხელში უვარდება კერძო პირებს. გლეხები თავიანთ ნაწარმოებს კერძო ბაზარზე გამოაქვთ.

ამხანაგებო, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ სპეკულიანტებს ფუთობით გამოაქვთ შაქარი კოოპერატივებიდან, მიაქვთ სოფლებში და ერთი სამად ჰყიდიან. დამამზადებელ ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გაშალონ თავიანთი სავაჭრო ქსელი, რომ სოფლის მშრომელი მოსახლეობა ხელში არ ჩაუვარდეს სპეკულიანტებს და ჩარჩ-ვაჭრებს.

საბინაო მშენებლობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლად აგებული სახლები მალე დაინგრევა. ავლაბრის რაიონში აგებდნენ სახლს, რომელიც ნახევარი მილიონი მანეთი დაჯდა. სახლი ჩაბარებული არ ჰქონდა კომუნალურ მეურნეობას და კედლები დასკდა, სახურავიდან წყალი ჩამოდის და სხვ. ახალი სახლების ასეთი მშენებლობა არაფრად არ ვარგა. ჩვენ სახლები ერთი და ორი წლით არ გვინდა. ახლად აგებული სახლები უნდა იყვნენ გამძლე და შესაფერისად მოწყობილი.

პარტიულ კონფერენციაზე გვერდს არ უნდა ავუხვიოთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი კავშირი გვაქვს წითელი არმიის ნაწილებთან. აქ გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენ წითელ არმიის ნაწილებთან სუსტი კავშირი გვაქვს. ჩვენ სისტემატიურად არ მივდივართ წითელ ყაზარმებში და არ ვეცნობით წითელარმიელების ყოფა-ცხოვრებას. წითელ არმიის ნაწილებთან კავშირს ვიჭერთ მხოლოდ საზეიმო დღეებში. ასეთი კავშირი არაფრად არ ვარგა. ჩვენ მეტი ცოცხალი კავშირი უნდა გვქონდეს არმიასთან, უფრო მეტად უნდა ვიცნობდეთ არმიის ცხოვრებას, მით უმეტეს დღეს, როდესაც გართულებულია ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა. შემდეგში სამოქალაქო ორგანიზაციებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭირონ სამხედრო ორგანიზაციებთან და წითელი არმიის ნაწილებთან.

ამხ. პეტროსოვი

თბილისის ოლქში ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა ჩქარი ტემპით ვითარდება. ამ უკანასკნელ წლებში რამოდენიმე ახალი ფაბრიკა და ქარხანა აიგო. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის 5 წლიან გეგმაში შეტანილია კიდევ ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგება. ეს, ამხანაგებო, ძალიან კარგი საქმეა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენს წინაშე პრაქტიკულად სდგას ამოცანა საქართველოს აგრო-ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გადაქცევის შესახებ. ახალ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩვენ, ამხანაგებო, არ ვზრუნავთ და არ ვფიქრობთ ახალ კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებაზე. ახალი კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება ჩვენი მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა დაისვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ საწარმოო-საფინანსო გეგმების დროზე შესრულებას. შემდეგში კიდევ უფრო ვრცლად უნდა გაიშალოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ქსელი. მოსწავლე ახალგაზრდობამ დაბალ და საშუალო სასწავლებლებში საერთო განათლებასთან ერთად სათანადო კვალიფიკაციაც უნდა მიიღონ. დაბალ და საშუალო განათლების კურსდამთავრებულმა ახალგაზრდებმა უნდა შესძლონ საწარმოებში მუშაობა.

ზოგიერთი საწარმოები საწარმოო-საფინანსო გეგმებს მუშათა მასების მონაწილეობის გარეშე ადგენენ. ამის გამო მუშები ვერ იცნობენ საწარმოო-საფინანსო გეგმას. ასეთი გეგმები მხოლოდ ქაღალდზე დარჩება. საჭიროა და აუცილებელი, რომ საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენაში მუშათა ფართო მასებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ. ასეთი შედგენილი გეგმები უფრო რეალური იქნება, ვინემ კაბინეტში შედგენილი გეგმები.

მუშათა გამოგონებლობას სათანადო ყურადღება არ ექცევა; ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მუშების საქმიან წინადადებების განხილვას და მის ცხოვრებაში გატარებას აჭიანურებენ; ხშირად მუშების საქმიანი წინადადებები რჩებიან „ხმათ უდაბნოსა შინა". ქალაქის მუშებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ სოფელს, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ქალაქის პროლეტარიატის ხელმძღვანელობა სოფელზე. ამ მხრივ კი საჭიროა სოფლად გაგზავნილი მუშების მომზადება. თბილისის საოლქო კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ მეტი ენერგიული ზომები უნდა მიიღოს მუშების სოფლისათვის მოსამზადებლად.

ამხ. რუხაძე

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა შევასწოროთ, რათა მომავალში მსგავსი გამოცდენი თავიდან აცილებული იქნეს. ადგილებზე გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლად გაგზავნილ ამხანაგებმა უხეში შეცდომები დაუშვეს. მივლინებულ ამხანაგებმა რაიონები მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად გამოაცხადეს. მათ ანგარიში არ გაუწევიათ ადგილობრივი პარტორგანიზაციებს; კიდევ მეტი: ზოგიერთი მუშაკები მუქარით მიმართავდნენ ადგილობრივ ამხანაგებს: „ჩვენ ცენტრიდან ვართ გამოგზავნილი, თქვენ არაფერი არ იცით, ამიტომ ჩვენ უნდა დაგვიჯეროთ", მივლინებულ ამხანაგების საკითხისადმი ასეთი მიდგომა კლავდა ადგილობრივ პარტორგანიზაციების ინიციატივას. ჩამოსული ამხანაგები ვერ იცნობდნენ სოფლის ზნე-ჩვეულებებს, მათ კარგად არ იცოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ენა, რის გამო საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომები კიდევ უფრო გაღრმავდა.

ჩვენ სოფლის მეურნეობისათვის არ გვყავს კადრების საკმაო რაოდენობა. ვისაც მუშაობა შეუძლია სოფლად არ მიდის. ასეთი მდგომარეობა უსათუოდ უნდა შეიცვალოს. პარტიის წევრები, რომლებიც უარს განაცხადებენ სოფლად სამუშაოდ წასვლაზე, სათანადოთ უნდა დაისაჯონ. ერწო-თიანეთის რაიონი თბილისის ოლქის სხვა რაიონებთან შედარებით ჩამორჩენილი კუთხეა. ამ რაიონში უმთავრესად განვითარებულია მესაქონლეობა და ხე-ტყის დამზადება. მაშინ, როდესაც თბილისის ხე-ტყის სახერხი ქარხნები ნედლი მასალის ნაკლებობას განიცდიან, ერწო-თიანეთის რაიონში ხე-ტყის დამზადების საქმე მოუწესრიგებელია. აქ შეიძლებოდა ხე-ტყის საკმაო მარაგით დამზადება და თბილისის ქარხნებისათვის მიწოდება, მაგრამ რატომღაც ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები ამ გარემოებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. თბილისის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილება სუსტ ხელმძღვანელობას უწევს ხე-ტყის დამზადების საქმეს.

ერწო-თიანეთის რაიონში არსებულ სკოლებში მოკალათებული არიან [illegible] მასწავლებლები. ისინი ვერ ზრდიან მოსწავლე ახალგაზრდობას კომუნისტური მსოფლმხედველობით; არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში, ყურადღებას არ აქცევენ კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობას. თბილისის ოლქის განათლების განყოფილებამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ჩამორჩენილ რაიონებს და იქ გაგზავნოს იდეოლოგიურად მტკიცე და სათანადოთ მომზადებული მასწავლებლები.

ამხ. საყვარელიძე

ამხ. საყვარელიძე შეეხო განათლების საკითხებს, შრომის სკოლების მუშაობას, მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს და აღნიშნა, რომ ჩვენს საბჭოთა შრომის სკოლებში ადგილი აქვს ხულიგნობას. მოწაფეები სკოლებში მთვრალი დადიან, ხულიგნობენ, დებოშს სტეხენ და სხვა. თბილისის მე-5 შრომის სკოლის მოწაფეები მთვრალი გამოცხადდენ და ერთი აურ-ზაური ასტეხეს. იყო შემთხვევა, რომ მოწაფეებმა გამგეზე თავდასხმა სცადეს. ზოგიერთი მასწავლებლები ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ. ისინი ნაკლებათ ზრუნავენ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებაზე. ზოგიერთი მოწაფე კომკავშირელებიც ვერ სდგანან სათანადო სიმაღლეზე. ისინი რომანტიულ ნიადაგზე ერთმანეთს უწყობენ ინტრიგებს. შრომის სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ ვამბობთ, რომ გვაქვს შრომის სკოლები, მაგრამ თბილისის ზოგიერთ შრომის სკოლებში შრომის პრინციპებზე ლაპარაკი ზედმეტია. ასეთ სკოლების მუშაობაში უნდა მოხდეს ძირითადი გარდატეხა. შრომის სკოლებმა უნდა მოგვცენ და უნდა აღზარდონ ნამდვილი შრომის მოყვარე ადამიანები, მტკიცე იდეოლოგიით და კომუნისტური მსოფლმხედველობით გაღჭურვილი ახალგაზრდობა. ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც შრომის სკოლებში ფართოთ შეიტანენ შრომის ელემენტებს და სკოლებში გვეყოლება კომუნისტური იდეოლოგიით გაღჭურვილი და სათანადოთ მომზადებული მასწავლებლები.

ამხ. პუგაჩოვი

საბჭოთა აპარატის წმენდას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აპარატის რაციონალიზაციისათვის. აპარატის წმენდა აშკარავებს დაწესებულებების სერიოზ ნაკლოვანებებს და სწმენდს აპარატს უღირს-ბიუროკრატიულ და მავნე ელემენტებისაგან. ზოგიერთ შემთხვევებში საბჭოთა აპარატის წმენდა ვერ იძლევა სასურველ შედეგებს. მაგ., მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენში ჩატარდა აპარატის წმენდა. მუშა-მოსამსახურეთა მასები აქტიურად გამოვიდნენ და გაბედულად ამხილეს ცხენთ-საშენის აპარატის საერთო ნაკლოვანებანი. წმენდაზე გამომჟღავნდა, რომ ცხენთსაშენის აპარატში მოკალათებულია მეფის მთავრობის ყ. ოფიცერი — ვინმე კამბაშიჩევი; მიუხედავათ იმისა, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული იქნა მთელი რიგი ბრალდებები, მისი მოხსნა მაინც არ მოხერხდა.

ჩვენ ხშირად ვიძახით კადრების სიმცირეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს დაწესებულებებში ხშირად შეხვდებით ისეთებს, რომელთაც სპეციალური განათლება აქვთ მიღებული და მუშაობენ არა შესაფერ თანამდებობებზე. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრებულები დანიშნულებისამებრ არ არიან გამოყენებული.

ამხ. ყამარაული

ლოზუნგი—„5-წლიანი გეგმის—4 წელში შესრულება"—პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში სდგას. ჩვენ რაც არ უნდა დაგვიჯდეს, რაც ენერგია არ უნდა დავხარჯოთ, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული 5-წლიანი გეგმა—4 წელიწადში უსათუოდ უნდა შევასრულოთ. ამისათვის კი საჭიროა მუშათა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივის ფართოთ გაშლა და მასების აქტიურად დარაზმვა საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად. ამხ. ლადო სუხიშვილი თავის მოხსენებაში ვრცლად შეჩერდა სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლაზე. მე უნდა განვაცხადო, რომ ზოგიერთ შემთხვევებში სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა ქაღალდზეა დაწერილი. ასეთი მდგომარეობა უსათუოდ უნდა შეიცვალოს. მასების შეგნებული და აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია უდიდესი ამოცანების შესრულება, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას. საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში, სოც. შეჯიბრებისა და დამკვრელობის გარდა, უდიდეს როლს თამაშობს საწარმოების მომარაგება ნედლი მასალით და ახალი მანქანა-იარაღებით. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობა საგრძნობლად ჩამორჩება. ჩვენი ზოგიერთი ფაბრიკა-ქარხნები მოძველებული მანქანა-იარაღით მუშაობენ, რაც თავის დაღს ასვამს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა შეუძლებელია ახალი კადრების აღზრდისა და მომზადების გარეშე. კადრების სიმცირის გამო მშენებლობა შესაფერ ეფექტს ვერ მოგვცემს; ამიტომ ცალკე სამეურნეო ორგანიზაციებმა დროულად უნდა დააყენონ საკითხი მეურნეობის ცალკე დარგებისათვის ახალი კადრების მომზადების შესახებ. საბინაო მშენებლობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ მუშათა ახალი ძალების ბინებით უზრუნველყოფას. მრეწველობის ზრდასთან ერთად ცალკეულ წარმოებებში იზრდება მუშების რიცხვი, ამიტომ აქედანვე უნდა შევუდგეთ მუშებისათვის ბინების შენებას. თბილისის საოლქო კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ თავის დროზე სათანადო მითითება უნდა მისცეს სათანადო ორგანიზაციებს და ფაბრიკა-ქარხნებს, საბინაო მშენებლობის უფრო ფართოდ გაშლისათვის.

კონფერენციის მეორე სხდომაზე დასრულდა კამათი ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენების გარშემო. იმავე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ოზიაშვილის სიტყვა. გარდა ამისა საქართველოს [illegible] ინჟინერ-ტექნიკოსების სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ქვარიანი. ამის შემდეგ კონფერენციის მეორე სხდომა დაიხურა.

მესამე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. შამშე ლეჟავა. სიტყვა ეძლევა ამხ. ლადო სუხიშვილს.

ამხ. ლ. სუხიშვილის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! ჩემს საბოლოო სიტყვაში მე პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გაუსვა იმ გარემოებას, რომ კამათში გამოსული ამხანაგები სრულიად სწორად და საქმის ინტერესის თვალსაზრისით მიუდგნენ საკითხს. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა ორგანიზაციულად და იდეურად, ის სამართლიანად ატარებს ლენინის პარტიის საამაყო სახელს. თბილისის საოლქო პარტიულ ორგანიზაციის კომიტეტს ისეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა განვლილ საანგარიშო პერიოდის მანძილზე, რომ თვითკრიტიკა მისი მუშაობის შეფასების დროს უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენ, წინანდელთან შედარებით, მეტი შეცდომები გვქონდა მუშაობაში. კამათში გამოსული ამხანაგები მთლიანად იდგნენ პრინციპიალურ სიმაღლეზე და მათ სიტყვებში ადგილი არ ჰქონია რაიმე ანტიპარტიულ შეხედულებებს.

საკითხების ის ჯგუფი, რომელსაც ამხანაგები აქ შეეხნენ, მე მინდა დავყო რამდენიმე წყებად.

მრეწველობა და კადრების საკითხი

პირველი საკითხი, რომელზედაც შეჩერდა ორატორების დიდი უმრავლესობა ეს იყო მრეწველობის ამოცანები და კადრების მომზადების პრობლემა. ეს საკითხები უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი პარტიის განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს, 1924 წლიდან კომუნისტური პარტია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა ერთი მხრივ მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრებთან და მეორეს მხრივ ტროცკისტულ „მემარცხენე" მიმდინარეობასთან. პრაქტიკამ სავსებით ცხადჰყო, რომ ჩვენი პარტიის მიერ აღებული გეზი მთლიანად სწორია და მჭიდროთ არის შეფარდებული სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან. მართალია, ჩვენ მრეწველობის განვითარების დარგში გვაქვს შეცდომები, მაგრამ ეს რა არის ისეთი შეცდომები, რომელთა გამოსწორებაც არ შეიძლებოდეს. მთელი ჩვენი ყურადღება უნდა იქნას მიპყრობილი ამ შეცდომების გამოსწორებისაკენ.

ამხანაგებს თავიანთ სიტყვებში სრულიად გამორჩათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც მე მინდა ეხლა შევაჩერო კონფერენციის ყურადღება. მხედველობაში მაქვს საამშენებლო მასალის თვითღირებულების შემცირების პრობლემა. პარტიამ მოგვცა მტკიცე დირექტივა, რომ საამშენებლო მასალის ღირებულებისათვის დაგვეკლო 14 პროცენტი. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ეს დავალება ჩვენ ვერ შევასრულეთ. განზრახული იყო მშენებლობის გაიაფება 8 პროცენტით პროექტების რაციონალურად დამუშავების გზით. ამ მხრივ ჩვენ მშენებლობა გავაიაფეთ მხოლოდ 5—6 პროცენტით. 6 პროცენტით უნდა გაგვეიაფებინა თვით საამშენებლო მასალები. ცნობები ამის შესახებ თითქმის არ მოგვეპოვება. მაგრამ ის, რაც არის, მოწმობს, რომ არა თუ შემცირდა საამშენებლო მასალის თვითღირებულება, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, კიდევაც გაიზარდა.

ამასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული საბინაო მშენებლობის საქმე. თქვენ იცით, რომ საბინაო მშენებლობა ვერ დგას სათანადო დონეზე. მეტად ჭიანურდება დაწყებულ საამშენებლო ერთეულების დასრულება. დაწესებულებები ხშირად ამთავრებენ მშენებლობას ერთი წლის დაგვიანებით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია გეგმით. არის შემთხვევები, როცა მშენებლობა უფრო მეტადაც იგვიანებს. ეს შემჩნეულია არა მარტო აღმასკომის საამშენებლო მუშაობაში, არამედ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რკინისგზის და სხვა ორგანიზაციებშიაც. ასეთივე ხასიათის მუშაობაში. არის შემთხვევები, როცა მშენებლობაზე გადადებული თანხები გამოუყენებელი რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ არა გვაქვს მოწყობილი შესაფერი ფართო მშენებლობის ხელმძღვანელი აპარატი და არ გვყოფნის სათანადო მუშათა კადრები.

საერთოდ, კადრების საკითხმა, თავის თავად გასაგები მიზეზების გამო, კონფერენციის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, მაგრამ კამათში გამოსული ამხანაგები თითქმის არ შეხებიან ერთ მეტად საგულისხმო მომენტს. ეს არის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადება. ჩვენ, კერძოთ, კალატოზებისა და დურგლების მეტად დიდ ნაკლებობას განვიცდით: არა გვყავს სათანადო რაოდენობის საშუალო სპეციალისტებიც. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობა დიდ დაბრკოლებების წინაშე დგას იმის გამო, რომ მას არ ჰყოფნის საქმის მცოდნე მუშაკები. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები მოკლე დროში ვერ მოგვცემენ ამ მშენებლობისათვის საჭირო ძალებს. გარდა ამისა ვერც საფაბრიკო-საქარხნო სკოლები დააკმაყოფილებენ ჩვენს გაძლიერებულ მოთხოვნილებას მრეწველობის უზრუნველსაყოფად საჭირო კვალიფიციურ მუშაკებზე. აქედან თავის თავად ისმება საკითხი—მოვახდინოთ ძალთა მაქსიმალური მობილიზაცია ახალი კადრების დაჩქარებით მოსამზადებლად და ამასთანავე უკვე არსებულ კადრების უფრო მიზანშეწონილად გამოყენებისათვის. თავის მხრივ ჩვენმა უმაღლესმა სკოლებმა და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებმა თავიანთი მუშაობა უნდა შეუფარდონ ჩვენს ნამდვილ მოთხოვნილებას აღმშენებლობის დარგში.

დაშვებული შეცდომების გამოსწორებით განვამტკიცოთ საკოლმეურნეო მშენებლობა

როგორც მოსალოდნელი იყო, კამათში გამოსული ამხანაგების უდიდესი ყურადღება მიიპყრო სოფლის მეურნეობის საკითხებმა. თქვენ იცით, რომ მეც ჩემს მოხსენებაში ამ საკითხს განსაკუთრებული ადგილი დაუთმე, ვინაიდან განვლილი საანგარიშო პერიოდი ამ მხრივ თქვენთვის მეტად საყურადღებოა. ამხანაგები უმთავრესად ეხებოდნენ იმ დეფექტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მშენებლობაში. ეს ძალიან კარგია, მაგრამ მარტო დეფექტების აღნიშვნა როდი კმარა. საჭიროა დასახულ იქნას გზები ამ დეფექტების გამოსასწორებლად. ამაზე კი ამხანაგები თითქმის არ შეჩერებულან. ეს ბრძოლა დეფექტების გამოსასწორებლად არის მთავარი პირობა საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი წარმატებითი გაშლისათვის. ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული 1933 წელში გადავიდეთ მთლიან კოლექტივიზაციაზე. ეს ამოცანა ვერ იქნება შესრულებული, თუ პირველ ყოვლისა არ იქნა გადალახული კოლმეურნეობის მშენებლობაში დაშვებული შეცდომები.

შეცდომების გამოსწორება ზოგიერთ ამხანაგს ერთობ თავისებურად ესმის. მათ ჰგონიათ, რომ ეს არის დახევა პრინციპიალური ხაზიდან. ნამდვილად კი ეს ნიშნავს უკან დახევას გენერალური ხაზის დამახინჯებისაგან, ეს ნიშნავს დაბრუნებას პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემულ სწორ პოზიციებზე.

შეცდომათა გამოსწორების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა დაუყოვნებლივ კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობის იმ ნაწილთან, რომელიც ამ უკანასკნელ დროს მთელ რიგ ჩვენ მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომების გამო მერყეობს. ამ გარემოებას ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. მეტად დამახასიათებელია, ამხანაგებო, ერთი შეკითხვა, რომელიც მე მივიღე მოხსენების შესახებ, შეკითხვის ავტორი სწერს: თითქოს პარტიამ დაარღვია ლენინის ანდერძი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება კოლექტივებში გლეხების ძალით შეყვანა. ეს უნდა გცოდნოდათ და მტკიცედ გეხელმძღვანელებინათ ლენინის ამ მითითებით.

სჩანს ამ შეკითხვის ავტორი არ იცნობს საქმის ნამდვილ ვითარებას. მას არ მოუსმენია ჩემი მოხსენებაც, რომელშიაც მე საკმაოდ ვრცლად შევჩერდი ამ საკითხზე და განზრახ ამახინჯებს ამ საკითხს. ეტყობა, რომ ამ შეკითხვის ავტორი უფრო ჩვენი პარტიის პოლიტიკით არის გაბოროტებული, ვიდრე შეცდომებით. განა მართალია, რომ ჩვენმა პარტიამ დაამახინჯა ლენინის მითითებანი კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხში? ამაზე პასუხს იძლევა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ამხ. სტალინი თავის ცნობილ სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა მან აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაზე ჯერ კიდევ 1929 წლის 27 დეკემბერს, როდესაც საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩვენ არ გვქონია იმდენად ბევრი შეცდომები. თავის ამ სიტყვაში ამხ. სტალინი განკულაკების შესახებ შემდეგს ლაპარაკობს:

„შეიძლება თუ არა დაუშვათ განკულაკება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში,—მეკითხებიან სხვადასხვა მხრიდან. სასაცილო შეკითხვა. განკულაკება არ იყო დასაშვები სანამ ჩვენ კულაკობის ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვის თვალსაზრისს ვადექით, სანამ საშუალება არ გვქონდა გადავსულიყავით გადამწყვეტ შეტევაზე კულაკობის წინააღმდეგ. სანამ არ შეგვეძლო კულაკური წარმოება შეგვეცვალა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. ახლა? ახლა სხვა საქმეა... ახლა განკულაკებას ახდენენ თვით ღარიბი და საშუალო გლეხთა მასები, რომელნიც ანხორციელებენ მთლიან კოლექტივიზაციას".

რას მოწმობს ამხ. სტალინის ეს სიტყვები. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენს პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს თავიდანვე სწორი გეზი ჰქონდა მოცემული. ამხ. სტალინი აშკარად ლაპარაკობს, რომ განკულაკება დასაშვებია მთლიან კოლექტივიზაციის რაიონში. ჩვენ ეს მითითება დავარღვიეთ. ჩვენ შეუდექით განკულაკებას არა მარტო ასეთ რაიონების გარეშე, არამედ ზოგიერთ ადგილებში კულაკების სიაში მოვაქციეთ საშუალო გლეხები. განა ამის შემდეგ, როცა პარტიის სწორი მითითება ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა თავის მუშაობაში დაამახინჯეს, შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სწორი არ იყო პარტიის ხაზი? მე ვფიქრობ, რომ ეს არის ცილისწამება პარტიის წინააღმდეგ (ხმები: მართალია). ამასთანავე პარტია და პირადათ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ამხ. სტალინი პირდაპირ გვაფრთხილებდნენ, რომ არ შეიძლება გლეხობის ძალით შეყვანა კოლმეურნეობებში. აი, რას ამბობს ის ამის შესახებ. რაში მდგომარეობს გლეხთა საკითხში დაშვებული შეცდომების ფესვი? ამ კითხვაზე, ამხ. სტალინი შემდეგ პასუხს იძლევა:

„ძალადობის დაშვება საშუალო გლეხთან სამეურნეო ურთიერთობაში, იმის დავიწყება, რომ საშუალო გლეხთა მასებთან სამეურნეო კავშირი ძალდატანებითი ღონისძიებების საფუძველზე კი არ უნდა აიგოს, არამედ საშუალო გლეხთან შეთანხმების საფუძველზე, საშუალო გლეხთან დაკავშირების საფუძველზე".

ამის შემდეგ შეკითხვის ავტორს კიდევ ჰყოფნის გამბედაობა სთქვას, რომ პარტიამ დაივიწყა ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ დაუშვებელია გლეხკაცობის ძალდატანებით შეყვანა კოლმეურნეობებში. ეს ბრალდება წმინდა წყლის ცილისწამებაა. (ხმები: მართალია). განა ამხ. სტალინი და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვალდებულია ყოველდღე გვიკითხოს ლექციები ლენინიზმის ელემენტარულ საფუძვლებზე, ნუთუ ჩვენ ადგილობრივი მუშაკები თვითონ არა ვართ ვალდებული ვიცოდეთ ეს და პრაქტიკულ მუშაობაში მთლიანად ვაგებდეთ პარტიის ამ ძირითად ხაზზე? რასაკვირველია, ეს ასეა და როდესაც ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში ამას ივიწყებენ, დაუშვებელია იმაზე ლაპარაკი, რომ პარტიას არ ჰქონდა აღებული სწორი ხაზი, დაუშვებელია საკუთარი შეცდომებისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენის ცდა და პარტიის მაღალი სახელის გაბიაბრუება. არსებითათ ეს შეკითხვა არის წმინდა წყლის ანტიპარტიული დოკუმენტი, ის არის ნამდვილი ანტიპარტიული განწყობილების გამოხატვა. (ხმები: მართალია).

აპარატის გამუშურებით აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმი

შემდეგ, ამხანაგებო, მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ამასთან დაკავშირებით საბჭოთა აპარატის გამუშურების საკითხებზე. ეს საკითხები არც თუ ისე მარტივია, როგორც ეს შეიძლება ბევრს ერთი შეხედვით ეჩვენება. საჭიროა ენერგიული, სისტემატიური ხანგრძლივი ბრძოლა ჩვენი აპარატის მძიმე სენის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი მთავარი საშუალება კი არის მუშათა მასების ფართოდ ჩაბმა სახელმწიფო აპარატში. მე ჩემს მოხსენებაში მოვიყვანე ციფრები დაწინაურებულ მუშების შესახებ და აღვნიშნე, რომ მუშათა დაწინაურება თბილისის ოლქის საბჭოთა აპარატში საჭირო ტემპით არ მიმდინარეობს. კამათში გამოსული ამხანაგები ამ ციფრებში შეედავენ. ზოგიერთს ისინი სწორად არ მიაჩნია. მე არ ვამბობ, რომ ეს ციფრები აბსოლუტურად სწორი არის, მაგრამ უდავოა, რომ ისინი არსებითად გამოხატავენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას ამ დარგში, უდავოა, რომ მუშათა დაწინაურების მხრივ ჯერ კიდევ ბევრი და ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ვიმეორებ, რომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით განვითარება ბევრად არის დამოკიდებული აპარატის გამუშურებაზე.

ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა

მეორე საშუალება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებას, ეს არის ბოლშევიკური თვითკრიტიკის დაუნდობლად გაშლა. მე მოვიყვანე ჩემს მოხსენებაში იმის დამამტკიცებელი რამდენიმე ფაქტი, რომ თვითკრიტიკა ყველგან ვერ არის სათანადოთ განვითარებული. არის შემთხვევები, როდესაც დაწესებულება - ორგანიზაციების ხელმძღვანელნი უკმაყოფილო რჩებიან იმის გამო, რომ მათ თვითკრიტიკის წესით მიუთითებენ შეცდომებზე. მათ ზოგჯერ ისე წარმოუდგენიათ, თითქო ეს ნიშნავს დაწესებულების ხელმძღვანელის წინააღმდეგ ბრძოლას. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. თვითკრიტიკის მიზანია მიუთითოს დაწესებულების ხელმძღვანელებს, რომელიც ხშირად მეტად დატვირთულნი არიან საქმით, მათ მიერ შეუმჩნეველ შეცდომებზე და დაეხმარონ მათ ამ შეცდომების გამოსწორებაში. ასე გვესმის ჩვენ თვითკრიტიკა.

მაგრამ არის, ამხანაგებო, ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზოგიერთები თვითკრიტიკის მეტად სასარგებლო ლოზუნგს აკნინებენ და ის ჩამოჰყავთ უპრინციპობამდე. არის შემთხვევები, როდესაც თვითკრიტიკას პირადი მოსაზრებებისათვის იყენებენ. რასაკვირველია, ამას ჩვენ ვებრძოდით და მომავალშიაც შევებრძოლებით. მაგ., ჩვენს რაიონულ კონფერენციაზე ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც დაწესებულებათა ნაკლოვანებების გამომჟღავნების მაგივრად ზოგიერთი ამხანაგი გადადიოდა ამ დაწესებულების ხელმძღვანელების პიროვნებებზე. თქმა არ უნდა, რომ არიან სხვადასხვა ამხანაგები, რომელთაც ეს თუ ის ნაკლი ახასიათებს. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მათ შეცდომების გამოსწორებაში და არას შემთხვევაში მიზნათ არ უნდა დავისახოთ ასეთი ამხანაგების სახელის გატეხვა უსამართლოდ.

კოოპერაციამ უნდა გააუმჯობესოს მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების საქმე

შემდეგი ჯგუფი საკითხებისა, რომელთაც კამათში გამოსული ორატორები შეეხენ, ეს იყო კოოპერაციის მუშაობა და მუშა-მოსამსახურეთა მასების მომარაგება სურსათ-სანოვაგით. უნდა აღვნიშნო, რომ არ არის დასაშვები, როდესაც კოოპერაციის წარმომადგენელი იმის ნაცვლად, რომ ის დაეთანხმოს ამხანაგების მითითებებს მუშკოოპის დეფექტებზე, გამოდის და კისრულობს მეტად არა საპატიო ამოცანას — კოოპერაციის უდაო შეცდომების დაცვას. უკეთესი არის, როცა ამხანაგები გულდასმით მოისმენენ საქმიან შენიშვნებს და შემდეგ დაუბრუნდებიან თავიანთ დაწესებულებებს გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

თბილისის მუშათა კოოპერატივის საქმიანობაში უთუოდ აქვს ადგილი დიდ დეფექტებს. ამას ყოველდღიურად ნათლად გრძნობენ არა მარტო თვით ამ კოოპერაციის ხელმძღვანელნი, არამედ ისინიც, ვისაც საქმე აქვს ჩვენს კოოპერატივებთან. განა მართალი არ არის, რომ კოოპერაცია ვერ ამარაგებს მუშა-მოსამსახურეებს სურსათ-სანოვაგით? განა არა აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როდესაც ჩვენს კოოპერატიულ სავაჭროებში არ მოიპოვება ისეთი პროდუქტები, რომელთა შოვნა შეიძლება? განა არ არის ისეთი მაგალითები, როდესაც საქონელი იგზავნება მხოლოდ რამოდენიმე მაღაზიაში, სადაც „კუდები" ჩნდება და სხვა მაღაზიებში კი ეს საქონელი არ მოიპოვება? ყოველივე ეს არის, ამხანაგებო. ამ დეფექტების გამოსწორება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. აქეთკენ უნდა იქნას მიპყრობილი ჩვენი მთავარი ყურადღება.

მუშების დიდმა უმრავლესობამ კარგად იცის, რომ ჩვენ პროდუქტების ნაკლებობა გვაქვს. მათ იციან აგრეთვე ამის მიზეზები. საქმე ამაში კი არ არის. მომხმარებლის უკმაყოფილება უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენი კოოპერაცია ხშირად ვერ აკეთებს მას, რის გაკეთებაც მას შეუძლია. კოოპერაცია ვერ ანაწილებს მიზანშეწონილად იმას, რაც მოიპოვება.

არის მაგალითები, როდესაც ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ვაწარმოოთ პირველ მოთხოვნილების პროდუქტების დამზადება თბილისის მახლობელ რაიონებშიაც, მაგრამ ეს არ ხდება. მაგ.: წალკის რაიონში შეიძლებოდა გვეწარმოებია ყველის, კარაქის, კვერცხის და ხორცის დამზადება. რამოდენიმეჯერმე ჩამოვიდა იქაური ორგანიზაციის მდივანი თბილისში, რომ დადოს ხელშეკრულება ჩვენ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ამ პროდუქტების დამზადების შესახებ, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განხორციელდა. ეს იმიტომ, რომ ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციები დაავადებული არიან ბიუროკრატიული სენით, მათ აკლიათ მოქნილობა მუშაობაში.

ამასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ბოსტნეულობის მოყვანა - დამზადების საკითხი. ჩვენი ოლქის პირველმა პარტიულმა კონფერენციამ ამის შესახებ გარკვეული დირექტივა მოგვცა. მან დაავალა სათანადო ორგანიზაციებს ბოსტნეულობის მოშენება თბილისის მახლობელ რაიონებში.

როგორც იცით, ამხანაგებო, ხარჯებს ბოსტნეულობაზე მუშათა ბიუჯეტში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამიტომ ბაზრის მომარაგებას ამ პროდუქტით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ბოსტნეულობის მოშენება თბილისის მახლობელ რაიონებში უსათუოდ შეიძლება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენ ვერ ვიჩენთ ამ მიმართულებით სათანადო ინიციატივას, რომ ეს საქმე ვერ დავაყენეთ მტკიცე გეგმიან ნიადაგზე. მეტად შეუშალა ხელი ამ ამოცანის განხორციელებას ის გარემოებამ, რომ ბოსტნეულობის მომშენებელ რაიონებს ვერ მივაწოდეთ პური საკმაო რაოდენობით, ამიტომ ისინი გადავიდნენ პურის ადგილობრივად მოყვანაზე. მაგ., მანგლისის რაიონი თბილისის ბაზარს უკანასკნელ წლებამდე დიდი რაოდენობით აწვდიდა კარტოფილს და კომბოსტოს. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ უკანასკნელად იქ მეტად შემცირდა ბოსტნეულობის მოშენება, გლეხები სთესავენ კარტოფილს და კომბოსტოს იმდენს, რამდენიც მათ პირად მოთხოვნილებისათვის ესაჭიროებათ. მიწების დანარჩენ ფართობს კი უთმობენ ხორბლის ნათესებს.

ჩვენ შეგვიძლია ქალაქის ირგვლივ მოვაწყოთ საბჭოთა მეურნეობები, სადაც შესაძლებელია ბოსტნეულობის მოშენება. უკანასკნელ დროს თბილისის მახლობელ რაიონების ბაღ-ბოსტნები გადავეცით კოლექტივებს. დღემდე იქ კერძო პირები იყვნენ გაბატონებული და ბოსტნეულობას სთესავდენ ისე, როგორ მათ ინტერესებს შეეფერებოდა. ამჟამად თბილისის ბაღ-ბოსტნების 800 ჰექტარი კოლმეურნეობათა ხელშია. შემდეგში ბოსტნეულობის მოშენება უნდა გადავიტანოთ დიღმის რაიონშიაც. კარტოფილი დათესილი იქნა აგრეთვე ერწოს რაიონში. ყველა ეს ზომები უთუოდ გააძლიერებს ბოსტნეულობის გამოტანას ქალაქის ბაზარზე, მაგრამ თბილისის მოთხოვნილებას ეს მაინც ვერ დააკმაყოფილებს. დასკვნა აქედან ისეთია, რომ ჩვენმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი ელასტიურობა უნდა გამოიჩინონ პროდუქტების განაწილების საქმეში და ამავე დროს გადამწყვეტი ზომები მიიღონ ამ პროდუქტების საკუთარი საშუალებებით დამზადებისათვის.

მწვავედ დავარტყათ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმს

უკანასკნელი საკითხი, რომლითაც მე მინდა დავასრულო ჩემი სიტყვა, ეს არის ბრძოლა ორ ფრონტზე. მაგრამ სანამ პირდაპირ ამ საკითხზე გადავიდოდე, მე ნებას მივსცემ ჩემს თავს მოვიყვანო კიდევ ერთი შეკითხვა, რომელიც მივიღე მოხსენების გარშემო.

ამ შეკითხვაში ნათქვამია, რომ ჩვენში საშუალო გლეხს დაეკარგა ნათესი მეურნეობის გაფართოების სტიმული, ამის გამო, შეკითხვის ავტორის აზრით, მომავალში ჩვენ მეტი დაბრკოლებები გვექნება.

აქაც საქმე გვაქვს საქმის ვითარების ან არცოდნასთან, ან მის შეგნებულად დამახინჯებასთან. როგორია სინამდვილე? ცენტრალური კომიტეტის დავალებით თბილისის ოლქში გაზაფხულის ნათესების ფართობი ჩვენ უნდა გაგვედიდებია 8,5 პროცენტით. საოლქო კომიტეტმა კი თავის გეგმაში გაზაფხულის ნათესების ფართობის გადიდება გაითვალისწინა 7 პროცენტით. ჯერ-ჯერობით მთელს ოლქში თესვა არ დამთავრებულა და ეს ციფრები, რომელიც ჩვენ ამის შესახებ მოგვეპოვება შემდეგს მოწმობს: ც. კ.-ტის დავალების შესრულებას ნახევარი პროცენტი გვაკლია, ეს მაშინ, როდესაც თესვა არ დაწყებულა ხევის რაიონში. ამასთანავე არა გვაქვს ცნობები დუშეთისა და თიანეთის მთიან რაიონებიდან. თუ ეს რაიონები გეგმას სანახევროდ შეასრულებენ, ჩვენ მოცემულ დავალებას მთელს ოლქში განვახორციელებთ 106 პროცენტით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ რაიონებში გეგმა უფრო მეტი რაოდენობით იქნება შესრულებული.

ამას მოწმობს ის, რომ ბარში, მთელ რიგ რაიონებში გეგმას გადააცილეს 7,9 პროცენტით, ასე, რომ საგაზაფხულო თესვის დარგში ჩვენ კარგი მდგომარეობა გვაქვს.

ნუთუ ამის შემდეგ აშკარა არ არის, რომ ამ შეკითხვის ავტორი არ იცნობს საქმის ვითარებას? ეს შეკითხვა მოწმობს, რომ ოპორტუნისტულ გადახრებს ჩვენს რიგებში მართლაც აქვს ადგილი, რომ ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ჩვენი მიმდინარე მუშაობის მთავარი ამოცანაა, ამასთანავე ერთ-ერთი შეკითხვის ავტორი ამბობს, რომ ბუხარინის, ტომსკის და რიკოვის პოზიცია სოფლის მეურნეობის საკითხებში სწორი იყო, ამის საპასუხოდ ჩვენ პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ამ ამხანაგებმა ბუხარინმა, ტომსკიმ და რიკოვმა აღიარეს აშკარად საკუთარი შეცდომები, მათ გულახდილად განაცხადეს, რომ პარტია სწორად ატარებს ლენინურ ხაზს. ეს სინამდვილემაც დაგვანახვა. განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენს წინაშე უკვე გამოაშკარავდა 5-წლიანი გეგმის 4 წელიწადში განხორციელების შესაძლებლობა? ამას ხელს უწყობს ერთის მხრივ საბჭოთა კავშირის მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა და მეორეს მხრივ მუშათა კლასის დაუცხრომელი შრომითი ენტუზიაზმი. გარდა ამისა, ჩვენ უდიდესი მიღწევა გვაქვს საკოლმეურნეო მშენებლობაში. მთელ საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მოსახლეობის 30 პროცენტი. ზოგიერთ რაიონებში კი ის 50 პროცენტსაც აღწევს. ნუთუ ეს არ არის ჩვენი პარტიის უდიდესი მიღწევა?

ამასთან დაკავშირებით მე მინდა შევჩერდე ამხ. ბარაბანოვის გამოსვლაზე, რომელმაც აქ განაცხადა, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობაში დაშვებული შეცდომები გამოწვეულია პარტიის მცდარი პოლიტიკით. ამხ. შალვა ელიავამ სამართლიანად გაკიცხა ის და ცხადჰყო, რომ ამხ. ბარაბანოვის გამოსვლას არაფერი სცხია კომუნისტობის. ჩვენ დავინახეთ, რომ ამის შემდეგ ამხ. ბარაბანოვი გამოვიდა კონფერენციაზე და ერთგვარი „განმარტება" მოგვცა. მან სთქვა, თითქოს, ის თავის პირველ სიტყვაში გულისხმობდა არა პარტიის ც. კ.-ტს, არამედ კოლმეურნეობათა ცენტრს. მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. ბარაბანოვი ძველი მუშაა, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ის ამ შემთხვევაში მაცდურობს, რომ მისი განცხადება გულწრფელი არ არის, რომ მას თავის სიტყვაში მართლაც კოლმეურნეობის ცენტრი ჰქონდა გულში, ამას კიდეც იტყოდა თავის დროზე. ბარაბანოვმა კარგად იცის, რომ კოლმეურნეობის ცენტრი არ არის ჩვენი პარტიის პოლიტიკის დამსახველი. აშკარაა, რომ მის უკანასკნელ „შესწორებას" არავინ დაიჯერებს. სჯობდა უფრო გულახდილი ყოფილიყო ის ბოლომდე.

დასასრულს ორიოდე სიტყვა „მემარცხენე" კონტრ-რევოლუციონურ ტროცკიზმის ნაშთების შესახებ. „მემარცხენეობის" სენი ჯერ კიდევ დაძლეული არაა. ამხანაგმა არაქელოვმა, რომელსაც მე უსაყვედურე კოლმეურნეობათა წევრთა რიცხვის სოც. შეჯიბრების წესით გადიდების დაუშვებლობა, მიპასუხა, რომ ეს არ არის „მემარცხენე" გადახრა საკოლმეურნეო მშენებლობაში. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, მე სრულიადაც არ მითქვამს, რომ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობაში დაუშვებელია, პირიქით, ეს არის ერთ-ერთი მთავარი საშუალება კოლმეურნეობათა შინაგანი მუშაობის გასაჯანსაღებლად. სოც. შეჯიბრება კოლექტიურ მეურნეობებში მიზნად უნდა ისახავდეს მოსავლის გადიდებას, აგროკულტურულ ღონისძიებების გაუმჯობესებას, ანგარიშ - წარმოების მოწესრიგებას და სხვა. ასეთი სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებში არა თუ დასაშვებია, არამედ უაღრესად სასურველია და სავალდებულო. მაგრამ დაუშვებელია, როდესაც აღბულაღის რაიონი იწვევს სოციალისტურ შეჯიბრებაში წალკის რაიონს და შეჯიბრების პირობათ აყენებენ კოლმეურნეობათა რიცხვის გადიდებას. ეს არის ადმინისტრატიული ღონისძიებების ავისებური ლეგალიზაცია საკოლმეურნეო მშენებლობაში. ასეთი სოციალისტური შეჯიბრება პირდაპირ ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს. და მე ურჩევ ამხანაგებს, გადაჭრით აიღონ ხელი ამგვარ მეთოდებზე და აზრებზე კოლექტიურ მშენებლობაში. ჩვენი მიზანია, საბოლოოდ აღვგავოთ პარტიის რიგებიდან ტროცკიზმის ნამსხვრევები და მათი სხვადასხვა გამოხატულებანი. ამასთანავე ენერგიული ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ იმ მერყევ ელემენტების წინააღმდეგ, რომელთაც თავიანთი პოზიცია ვერ გაურკვევიათ და ქანაობენ პარტიული ხაზის გატარების საქმეში.

აი, ამხანაგებო, ყველა ის საკითხები, რომელზედაც ჩემს საბოლოო სიტყვაში მე მინდოდა მიმექცია თქვენი ყურადღება. ღრმად მწამს, რომ კონფერენცია სავსებით გაითვალისწინებს ყველა აქ დამუშავებულ საკითხებს და დასახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებით განვითარებისათვის. ამხანაგები ადგილებზე დაბრუნების შემდეგ უფრო მხნედ, უფრო ენერგიულად და უფრო სწორად შეუდგებიან პრაქტიკულ მუშაობას ჩვენი საერთო დიადი მიზნის საბოლოოდ გამარჯვებისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოგვარება

ამტკიცებს საკოლმეურნეო. მშენებლობას და ამსხვრევს კულაკობის წინააღმდეგობას

გამომუშავების ნორმების მტკიცე განსაზღვრით, შესრულებულ სამუშაოთა სწორი აღრიცხვით და სანარდო სისტემის შემოღებით—ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება

შრომის ორგანიზაციის საკითხები კოლმეურნეობებში

კოლმეურნეობათა მშენებლობაში პარტიული პოლიტიკის დამახინჯებათა ფაქტებს თანდათან ბოლო ეღება. ღარიბ - საშუალო გლეხთა მასები და მოჯამაგირენი ათი ათასობით ირაზმებიან კოლექტივებში და აწარმოებენ დაუნდობელ ბრძოლას გათავხედებული კულაკების წინააღმდეგ. არსებული კოლექტივების სამეურნეო პრაქტიკამ სავსებით გაამართლა იმედები და კოლმეურნეობათა რიგებს მშრომელი გლეხების ახალ ახალი ტალღები აწყდება.

ამის შემდეგ კოლმეურნეობათა მშენებლობის უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს მიღწეულ შედეგების განმტკიცებასა და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებაში. კოლმეურნეობათა გამსხვილებას და ახალი კოლექტივების დაარსებას თან უნდა სდევდეს კოლექტივების შინაგანი განმტკიცებისათვის ბრძოლა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე ყველაზე უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს შრომის ორგანიზაციის მოგვარება კოლექტივებში.

სამწუხაროდ ამ გარემოებას ყველგან როდი უწევენ სერიოზულ ანგარიშს. ჩვენში ჯერ კიდევ მრავლად არიან ისეთი „მუშაკები", რომელნიც კოლექტივებში შრომის ორგანიზაციის საკითხებს მეორე ხარისხოვან საკითხად სთვლიან და გონიათ, რომ იგი თავისთავად მოგვარდება.

უპირველესად ყოვლისა, არ სრულდება კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანოების/დადგენილებები სანარდო მუშაობის სისტემის წესად შემოღების შესახებ. მთელ რიგ კოლექტივებში მუშაობის და შრომის ანაზღაურების შინაური „წესები" არსებობენ: გორის ოლქში კოლექტივის წევრები დაყოფილია „ბეჯითების და ზარმაცების კატეგორიად", თბილისის ოლქის მთელ რიგ კოლექტივებში ჯამაგირებს აწესებენ და კახეთის ოლქში (სოფელ ცოდნის კარში) კოლექტივის წევრებს დღეში 3 მანეთი და 50 კაპ. ეძლევათ მიუხედავათ იმისა, თუ როგორ და რამდენ ხანს მუშაობენ ისინი.

ამ არანორმალური პრაქტიკის მოთმენა ყოვლად შეუძლებელია.

სანარდო სისტემა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შემოღებული იქ, სადაც მისი გატარება შეიძლება და იქ, სადაც სანარდო მუშაობას რაიმე ობიექტიური მიზეზები აფერხებენ—უნდა დაწესდეს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული ყველასათვის სავალდებულო წესები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე გამომუშავების ნორმების დაწესებას. მუშაობის სანარდო სისტემაზე გადასვლას უმთავრეს შემთხვევებში აფერხებს სწორედ ამ ნორმების უქონლობა.

აღნიშნული ნორმების გამომუშავების დროს მტკიცედ უნდა იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი პირობები, კოლექტივის ტექნიკური ბაზა, მეურნეობის ხასიათი და რაიონის თავისებურებანი. გამომუშავების ნორმების განხილვა - დაწესებაში მასიურად უნდა იქნენ ჩაბმულნი კოლექტივის წევრები და ამ დარგში ადგილი არ უნდა ექნეს ბიუროკრატიულ და კაბინეტურ განკარგულებებს.

ქალთა შრომა კოლექტივებში მოუწესრიგებელი და გამოუყენებელია. გორის ოლქის მთელ რიგ სოფლებში ქალებს შრომას უნაზღაურებენ მამაკაცებთან შედარებით 50 პროც. დაკლებით მხოლოდ იმიტომ, რომ „ისინი ქალებია".

ქალთა შრომის გამოყენებაში ასეთი შეუფერებლობის დაუშვებლობასთან ერთად მტკიცედ უნდა გატარდეს ცხოვრებაში საქ. კოლმეურნეობათა მუშაკების უკანასკნელი თათბირის დადგენილება ქალთა შრომის გამოყენების შესახებ.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს შესრულებული სამუშაოს აღრიცხვას. ყოვლად შეუძლებელია შესრულებული სამუშაოს „გარიგებით" და „თვალით გაზომვა". სამუშაოს და ნამუშევრის აღრიცხვა უნდა ხდებოდეს სამუშაო დღის გულდასმით შესწავლის გზით. ამ დარგში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ძველი ჯანსაღი კოლექტივების და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკული გამოცდილება.

დასასრულ, ისევ მწვავედ სდგას კოლმეურნეობათა მშენებლობის კადრების საკითხი. კოლმეურნეობათა აპარატებისათვის ჯანსაღი და კვალიფიციური კადრების მიწოდების დარგში დღემდე არ მომხდარა საფუძვლიანი გარდატეხა. კოლმეურნეობათა აპარატში ადგილი აქვს შემთხვევითი პირების მოკალათებას. ისეთი მდგომარეობაც არის, როდესაც კოლმეურნეობის მართველობის საქმე კლასობრივად უცხო ელემენტების ხელშია და სხვა.

მიღებულ უნდა იქნეს ზომები საუკეთესო სამეურნეო მუშაკების კოლმეურნეობათა აპარატებში გადასასროლად.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება საჭიროა თვით კოლექტივის წევრთაგან კადრების მოსამზადებლად: ტრაქტორისტი, გამწევი ძალის ხელმძღვანელი, აგრონომი, ზოოტეხნიკი, მევენახე - მეღვინე, ბუღალტერი, მოანგარიშე და სხვა — აი ის მომუშავენი, რომელნიც ესაჭიროებათ კოლექტივებს შრომის ორგანიზაციის მოსაგვარებლად.

ავამოქმედოთ კოლმეურნეობათა ჯგუფურ განაერთების საბჭოები

(წერილი კახეთიდან)

კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობის მიმდინარე ეტაპი, სათანადო ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე აყენებს კოლმეურნეობებში ხელმძღვანელობის გაძლიერების ამოცანას.

უდავოა, რომ ამჟამად კოლექტივებს არ ჰყავთ სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები. წერა-კითხვის მცირე მცოდნე მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები არიან სოციალისტურ მშენებლობის ამ უდიდეს საქმის უჯრედების ხელმძღვანელები სოფლად. კოლმეურნეობების შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვენ შრომის სწორ ორგანიზაციას; ეს კი შეუძლებელია კოლმეურნეობებში ხელმძღვანელობის რადიკალურათ გაუმჯობესების გარეშე.

სამწუხაროთ, ჩვენს სოფელს არ მოეპოვება იმდენი ტექნიკური და სპეციალური ძალები, რომ ყველა კოლმეურნეობა დააკმაყოფილოს; ეს შესაძლებელიც რომ იყოს ცალკე კოლმეურნეობას არ ძალუძს საკუთარივ დაიქირაოს აგრონომი, ბუხჰალტერი და სხვ. ეს მდგომარეობა აფერხებს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოგვარებას და კატეგორიულად მოითხოვს კოლმეურნეობათა ჯგუფურ განაერთის საბჭოების ჩამოყალიბებას.

უნდა ითქვას, რომ დღემდე ჯგუფურ განაერთების საბჭოების მუშაობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე: მაგალითად, სიღნაღის რაიონში და მთელ კახეთშიაც ჯგუფურ განაერთის საბჭოები არ არსებობენ. ამ მხრივ არ არის განხორციელებული საქ. კპ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამია: „მნიშვნელოვანი როლი აქვს კოლმეურნეობათა ჯგუფურ განაერთებს, რომელნიც წამოყენებული იქნენ თვით კოლექტივების ინიციატივით და რომლებმაც სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება კოლმეურნეობათა მშენებლობის პრაქტიკაში. ჯგუფურმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ წვრილ კოლმეურნეობებში რთულ მანქანებისა და ტრაქტორების საერთო გამოყენება უნდა გაეერთიანონ წვრილი კოლმეურნეობანი იმისათვის, რომ მათ საერთოდ მოაწყონ საწარმოები, სატრაქტორო კოლონები და მსხვილი სამანქანო სადგურები. ამით ჯგუფური გაერთიანებანი უნდა გადაიქცნენ საწარმოო ცენტრებათ, რომლებიც უნდა ამზადებდნენ საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ პირობებს წვრილ კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის და მათში მაღალი გლეხურ მეურნეობების მასიურათ ჩაბმისათვის".

საქ. კპ. (ბ) ცეკას ამ დადგენილების განხორციელებას ადგილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა. ამის შედეგია ის, რომ დღემდე ჯგუფური, განაერთების საბჭოები არ დაძრულან მკვდარი წერტილიდან.

კონკრეტულად, თუ რა უნდა გააკეთოს ჯგუფურ განაერთის საბჭომ, ამის შესახებ არსებობს გარკვეული დადგენილება კოლმეურნეობათა სრულიად საკავშირო პირველი ყრილობისა. საჭიროა სათანადო ხელმძღვანელ ორგანოებმა ეს დადგენილება გადაამუშაონ და ამ დარგში კონკრეტული დავალება მისცენ კოლმეურნეობებს.

კოლმეურნეობათა ჯგუფური განაერთების ახლათ ჩამოყალიბება და არსებულის ამოძრავების საქმეში ჩაბმულ უნდა იქნენ რაიონის და ოლქის აგრონომიული ძალები.

კახეთის ოლქში, ჯგუფური განაერთების საბჭოების ამოქმედება განამტკიცებს შრომის ორგანიზაციას კოლმეურნეობებში და კოლექტივებს გაუადვილებს მსხვილ საწარმოო საშუალებათა და სპეციალისტთა ძალების გამოყენებას.

ბაქვი.

ტბების ამოშრობა ბათომის მახლობლად

მტკიცე კოლექტივი

(ნაგომარი, გურია)

ნაგომარის გაზ. „კომუნისტი"-ს სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი—237 კომლს აერთიანებს. საყანე მიწების ფართობი აქ მეტად მცირეა—სულ 180 ჰექტარი. ამ დღეებში კოლექტივი კიდევ მიიღებს 40 თუ 60 ჰექტარ მიწას.

ცხადია, საყანე მიწების ასეთი რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს მოსახლეობას. აქ უმთავრესი მნიშვნელობა ტექნიკურ კულტურებს ეძლევა, მით უმეტეს, რომ მიწის ფართობის მეტი წილი გამოსადეგია ამ კულტურებისათვის. ამიტომაა, რომ კოლექტივი განსაკუთრებით დაიწყო ჩაის გაშენებას. წელს დამზადებულ იქნება 60 ჰექტარი მიწა ჩაისათვის, 33 ჰექტარზე კი ჩაი ამ გაზაფხულზე იქნება დათესილი. საყანე მიწები, რაც არის, უკვე მოხნულია. ჩაის გარდა წელს საცდელით 1 ჰექტარ ბამბუკს გაშენებას აპირებენ და 10 ჰექტარზე ითესება თამბაქო.

ნაგომარის კოლექტივს აქვს აგრეთვე კრამიტის და აგურის პატარა ქარხნები. საწარმოო გეგმით გათვალისწინებულია 60.000 ცალი კრამიტისა და 100.000 აგურის დამზადება. მიუხედავათ ამისა, საწარმოო გეგმით კოლმეურნეობა პირველ წელიწადს გეგმას ვერ შეასრულებს. ეს გასაგებიც არის, რადგან მუშა ხელის შრომის უმთავრესი ნაწილი ჩაის კულტურაზე იქნება დაბანდებული, ხოლო ჩაი პირველ ორ-სამ წელიწადს შემოსავალს არ მისცემს კოლექტივს. ამიტომ, ამ კოლექტივის სესხით უზრუნველყოფა უთუოთ საჭიროა.

შრომის ორგანიზაციის მხრივ ნაგომარი დიდათ არ განსხვავდება ნატანებისაგან. დაახლოებით აქაც იგივე ნაკლი და მიზეზები არის, რაც ნატანების კოლექტივში: ინდივიდუალური ნარდი მუშაობა არც აქ არის შემოღებული, ხოლო ჯგუფური ნარდი მუშაობა ათეულებათ სწარმოებს. სხვათა შორის, აქაც და ნატანებშიაც ქალები მეტი რიცხვი მონაწილეობას ღებულობს მუშაობაში.

ნაგომრის კოლექტივის წევრი ქალების მუშაობა სამაგალითო და მისაბაძია. მთელ რიგ სამუშაოებში ქალები მუშაობაში ბეჯითობით მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან.

ი. ძ—ე.

ვეხმარებით კოლექტივებს

შემაქვს სოფ. ჭალაღელე - აგარა-უჯუშის კოლექტივის ფონდში მესამე სესხის 815 მან. ობლიგაციები და ვიწვევ ალ. ჭელიძეს, კ. გამყრელიძეს, პრ. გურგენიძეს, ფორია შავლაძეს და ს. ჭელიძეს.

ივ. დალაქიშვილი.

—:—

შემაქვს სოფ. ჭელიაღელე - აგარა - უჯუშის კოლექტივის ფონდის გასაძლიერებლად ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 100 მანეთის ობლიგაციები და ვიწვევ ნიკ. ჭელიძეს, ლატო დალაქიშვილს და შოთა ჭელიძეს.

რომანოზ ძონქოსაძე.

ქვემოდ დასახელებულ პირებს შეაქვთ სოფ. ჭელიაღელე-აგარა-უჯუშის კოლექტივის ფონდის გასაძლიერებლად ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციები შემდეგი რაოდენობით: იასონ დალაქიშვილს—100 მან., სვ. ჭელიძეს — 129 მან. და იწვევენ სერგო ჭელიძეს, ლენტორ ჯმუხაძეს, ვალ. ჯმუხაძეს და ილ. ჭელიძეს.

შემაქვს სოფ. სხვავის (ქუთ. ოლქი) კოლექტივ „შრომის სხივი"-ს ფონდის გასაძლიერებლად ინდუსტრიალიზაციის სესხის 40 მანეთის ობლიგაციები და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ივ. გიორგობიანს, ვ. მეიშვილს, მ. აბრამიძეს, შ. თელიას, ს. წეველიძეს, ნ. გელაშვილს, ერ. მაისურაძეს, გრ. შენგელიას, ქრ. თუთბერიძეს, ი. გოლეთიანს და ი. ქებურიას.

მეთოდე ნეფარიძე.

ქვემოდ ჩამოთვლილ პირებს შეაქვთ სოფ. ჭელიაღელე-აგარა-უჯუშის კოლექტივის ფონდში ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციები შემდეგი რაოდენობით: ა. დალაქიშვილს — 100 მან., ალ. ჭელიძეს — 30 მან., ეას. დალაქიშვილს — 80 მან., აკ. ჭელიძეს — 30 მან., ვ. დალაქიშვილს — 15 მან., რ. ქურცაძეს — 15 მან., რ. კერესელიძეს — 15 მან. და ალ. მაცაბერიძეს — 15 მან., სულ 300 მან. და იწვევენ შემდეგ ამხანაგებს: ზ. დალაქიშვილს, ვ. გურგენიძეს, კატუშა დალაქიშვილს, სილ. ძონქოსაძეს და სერგო ჭელიძეს.

გამომუშავების ნორმების დაწესების შესახებ კოლმეურნეობებში

კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს მუშაობის სანარდო სისტემა.

რას ნიშნავს მუშაობის სანარდო სისტემა: მუშაობის სანარდო სისტემის დროს შრომის ანაზღაურება ხდება არა გაწეულ ნამუშევარ დროის მიხედვით, არამედ გამომუშავების მიხედვით; რაკი ეს ასეა, ამიტომ კოლექტივის ყველა წევრი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გააკეთოს, რომ მეტი ანაზღაურება მიიღოს.

სანარდო სისტემა შემოღებულ უნდა იქნეს ყველა იმ სამუშაოზე, სადაც შესაძლებელია გამომუშავების ნორმის დაწესება, იქ სადაც არაა დაწესებული გამომუშავების ნორმები—არ შეიძლება იყოს არავითარი სანარდო სისტემა.

სანარდო სისტემის მთავარი ამოცანაა—გამომუშავების ნორმის სწორი დაწესება.

გამომუშავების ნორმის სწორი დაწესება აუცილებელია კიდევ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გაუგებრობანი და დავა კოლმეურნეობის წევრთა შორის, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ რაიონში.

ჩვენ უნდა გამოვნახოთ ისეთი ღონისძიება, რომელიც მოგვცემს საშუალებას დავუმტკიცოთ გლეხს, რომ განსაზღვრულ დროის განმავლობაში მართლაც შესაძლებელია განსაზღვრული სამუშაო ნორმის შესრულება.

ამით უზრუნველვყოფთ ერთის მხრივ შრომის ნაყოფიერების ზრდას და მეორეს მხრივ—რაც გლეხისთვის მთავარია, მისი შრომის ანაზღაურება უზრუნველყოფილი იქნება. აქ ისმება საკითხი—რა მეთოდით და ვის მოვალეობას უნდა შეადგენდეს გამომუშავების ნორმის დაწესება?

ზოგიერთ მუშაკს ჰგონია, რომ ნორმის გამოანგარიშება არ წარმოადგენს ძნელ საქმეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ნორმის დაწესება მეტად რთული საკითხია, რადგანაც ისინი შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი არა მარტო სხვადასხვა რაიონში, არამედ ერთ და იმავე რაიონის სხვადასხვა კოლმეურნეობაში.

გამომუშავების ნორმები კოლექტივებში დამოკიდებულია სამუშაოს მექანიზაციის ხარისხისაგან, ძირითად საწარმოო საშუალებათა ხასიათისაგან, ნიადაგის პირობებისაგან და მოცემულ ადგილმდებარეობისაგან. გამომუშავების ერთი ნორმა გვექნება მაშინ, როდესაც მოხნავს, თესავს და მომკას აწარმოებენ ცოცხალ წევის ძალით, მაგრამ სულ სხვა იქნება მექანიკურ (ტრაქტორით) წევის დროს. ერთი ნორმა გვექნება მაგარ ნიადაგზე და სულ სხვა ნორმა უნდა იქნეს რბილ ნიადაგის დამუშავების დროს.

გამომუშავების ნორმის დასაწესებლად არსებობს სხვადასხვა მეთოდი:

1. ნორმების დაწესება გამოცდილების ნიადაგზე. კოლმეურნეობის წევრებმა იციან თავიანთი გამოცდილებიდან, თუ რამდენ სამუშაოს შესრულება შეუძლიან ერთ მომუშავეს ერთი დღის განმავლობაში,—(ამას რუსულად უწოდებენ „დანორმვა შეხედვით".) ასეთი წესით გამომუშავებული ნორმა მოკლებულია დასაბუთების ყოველგვარ საფუძველს; ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეცდომას და მხედველობაში არ იქნეს მიღებული ისეთი გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს გამომუშავების ნორმაზე.

2. ნორმის დაწესება სტატისტ. მონაცემების საფუძველზე. თუ კი შესრულებულ სამუშაოს აღრიცხვა სწარმოებდა, ეს მეთოდი უფრო დაახლოვებულია სინამდვილესთან, რადგან აქ სწარმოებს აღრიცხვა სამუშაოს ფაქტიურად შესრულების საფუძველზე.

3. მახლობელ საბჭოთა მეურნეობიდან გამომუშავების ნორმის გადმოტანა; ასეთი მეთოდი ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული, მაგრამ არც ის შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად.

4. ერთად-ერთი მიზანშეწონილი მეთოდი გამომუშავების ნორმის სწორი დაწესებისათვის არის მეთოდი სამუშაო დღის შესწავლისა.

რაში მდგომარეობს ეს უკანასკნელი:

სამუშაო დღის შესწავლით ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ სამუშაო დღის შინაარსის გაგებას, ე. ი. ვიგებთ, თუ განსაზღვრულ დროის განმავლობაში (ვსთქვათ 10 საათი) რას აკეთებს მუშა, როგორ აკეთებს და რით აკეთებს, მოკლეთ, ვიგებთ მუშაობდა იგი ამ ხნის განმავლობაში თუ არა—რამდენი იყო ნაყოფიერი და არა ნაყოფიერი მუშაობა.

ვსთქვათ მუშა გამოვიდა სამუშაოზე დილის 6 საათზე, დაამთავრა მუშაობა ნაშუადღევის 4 საათზე, ე. ი. სამუშაო დღის ხანგრძლივობა იყო 10 საათი. ამ დროის განმავლობაში მუშამ მოხნა ტრაქტორით ორი ჰექტარი, მაგრამ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ მუშამ 2 ჰექტარის მოხნას 10 საათი კი არ მოანდომა, არამედ 6 საათი; დანარჩენ დროს იგი ისვენებდა. ვსთქვათ დასვენებისათვის მიღებულია 1 საათი,—მაშასადამე, მას 3 საათი ზედმეტად დაუსვენია. სწორედ ეს 3 საათი არის არა ნაყოფიერი მუშაობა. მას რომ ეს 3 საათიც ემუშავნა, მაშინ მოხნავდა არა 2 ჰექტარს, არამედ 3 ჰექტარს და სხვ.

აღნიშნულ მეთოდის მეორე უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ნორმის გამომუშავებისას მხედველობაში მიიღება ყოველგვარი გარემოება, რაც კი გავლენას ახდენს ნორმის სიდიდეზე (მექანიკურ წევის ძალის მუშაობის სისწრაფე, ბრუნვათა სისწრაფე და მრავალი სხვ.).

მესამე უპირატესობა. ამ მეთოდის გამოსახება იმაში, რომ ამ შემთხვევაში დავას ადგილი არ ექნება, რადგან შეგვეძლება კოლმეურნეობის წევრს განვუმარტოთ, რომ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებისათვის მას მიცემული აქვს სათანადო დრო.

მიუხედავად ამ მეთოდის უპირატესობისა არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს სხვა კოლმეურნეობიდან საორიენტაციოთ გადმოტანილ გამომუშავების ნორმას, ან დაკვირვების ნიადაგზე გამომუშავებულ ნორმას. პირველ ხანებში მოგვიხდება ყველა ამით სარგებლობა მათში სათანადო ცვლილებების შეტანით.

მაშასადამე, რამდენადაც გამომუშავების ნორმები სწორედ იქნება გამოანგარიშებული იმდენად შრომის ორგანიზაციის საკითხი უკეთესად იქნება გადაჭრილი.

აღნიშნულ სამუშაოს ჩატარება წარმოუდგენელია თუ საამისოთ არ იქნება სპეციალურად მომზადებული კადრი, რომლის მოვალეობას უნდა შეადგენდეს გამომუშავების ნორმის დაწესება სამუშაო დღის შესწავლის საფუძველზე.

როდესაც ვლაპარაკობთ შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემაზე, აუცილებელია პირველ რიგში უნდა გადაწყდეს საკითხი გამომუშავების (შესრულებულ სამუშაოს) აღრიცხვის შესახებ: თუ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა არ სწარმოებს, სანარდო სისტემით შრომის ანაზღაურება შეუძლებელია, რადგანაც არ გვეცოდინება გამომუშავებულა ნორმა ამა თუ იმ მომუშავის მიერ შესრულებულია თუ არა.

ყველა ზემოაღნიშნულ საკითხზე უკვე არის გარკვეული დირექტივა საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრისა; ამ დირექტივების მტკიცედ გატარება უზრუნველჰყოფს კოლექტივებში შრომის სწორ ორგანიზაციას.

მ. ბეჟანიშვილი.

როგორ მიმდინარეობს გაზაფხულის თესვა

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, 20 მაისისათვის საქართველოში მარცვლეულ კულტურებით დათესილი იყო 433.989 ჰექტარი, რაც შეადგენს გეგმის (592.195 ჰექტარი), 73,29 პროც. აქედან სიმინდით დათესილი იყო 319.575 ჰექტარი, შესრულებული იყო გეგმის (451.215 ჰექტ.) 70,8 პროც.; პურით—45.000 ჰექტ. შესრულებული იყო გეგმის (52.110 ჰექტარი) 86,4 პროცენტი; ქერით—51.817 ჰექტარი ანუ გეგმის (68.410 ჰექტარი) 75,7 პროც., ძაძით (სოია)—14.935 ჰექტარი, რაც შეადგენს გეგმის (20.460 ჰექტარი) 73 პროც. დანარჩენი კულტურებით (ფეტვი, ღომი, შვრია და სხ.), რომლების თესვაც გეგმით არ არის გათვალისწინებული დათესილი იყო 2.657 ჰექტარი. მიწა.

კოლმეურნეობებში 20 მაისისთვის მარცვლეულ კულტურები დათესილი იყო 113.697 ჰექტარი (სიმინდით—76.513 ჰექტარი, პურით—12.754 ჰექტარი, ქერით—13.216 ჰექტარი, დანარჩენი კულტურები—924 ჰექტარი და სოიათი—10.290 ჰექტარი). ამრიგად 20 მაისისათვის კოლმეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ თესვის მთელი გეგმის (451.215 ჰექტარი) 25,19 პროც.

ოლქებისა და მაზრების მიხედვით თესვის გეგმის შესრულება შემდეგ სურათს იძლევა: ახალქალაქის მაზრაში დათესილი იყო სულ 24.200 ჰექტ., რაც შეადგენს გეგმის (33,180 ჰექტ.) 72.93 პროც.; ახალციხის მაზრაში—14.439 ჰექტარი, ანუ გეგმის (20.390 ჰექტარი) 70,81 პროც.; გორის ოლქში—37.676 ჰექტარი, ანუ გეგმის (43.510 ჰექტ.) 86,6 პროც.; კახეთის ოლქში—32.800 ჰექტარი ანუ გეგმის (38,100 ჰექტარი) 86,1 პროც.; თბილისის ოლქში 36.225 ჰექტარი ანუ გეგმის (43.077 ჰექტარი) 84,09 პროც.; სამხრეთ-ოსეთში—15.090 ჰექტარი ანუ გეგმის (16 200 ჰექტარი) 93,9 პროც.; ქუთაისის ოლქში 136.696 ჰექტარი ანუ გეგმის (169.095 ჰექტარი) 74,8 პროც.; ოზურგეთის მაზრაში—27.515 ჰექტარი, ანუ გეგმის (45.100 ჰექტარი) 61 პროც.; ზუგდიდის მაზრაში—43810 ჰექტ. ანუ გეგმის (57.150 ჰექტარი) 76,66 პროც.; სენაკის მაზრაში—26.496 ჰექტარი ანუ გეგმის 58.470 ჰექტარი), 45,3 პროც.; ზემო-სვანეთში—1.360 ჰექტარი ანუ გეგმის (1.710 ჰექტარი) 79,58 პროცენტი; აფხაზეთში—24.425 ჰექტარი ანუ გეგმის (49.913 ჰექტარი) 48,9 პროც. და აჭარისტანში 13.701 ჰექტარი ანუ გეგმის (16.300 ჰექტარი) 84 პროც.

ამრიგად მარცვლეულის თესვის გეგმის შესრულების საქმეში პირველ ადგილზე იმყოფებიან სამხრეთ-ოსეთი (შესრულებული აქვს გეგმის—93,9 პროც.), გორის ოლქი (შესრულებული აქვს გეგმის 86,6 პროც.), კახეთის ოლქი (შესრულებული აქვს გეგმის 86,1 პრ.) და აჭარისტანი (შესრულებული აქვს გეგმის 84 პროც.). ჩამორჩენილია სენაკის მაზრა (შესრულებული ჰქონდა გეგმის 45.3 პრ.) და აფხაზეთში (შესრულებული აქვს გეგმის 48,9 პროც.).

ამავე რიცხვისათვის კართოფილი მთელ საქართველოში დათესილი იყო 7.143 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის (9360 ჰექტ.) 75,2 პროც.; ბაღ-ბოსტანი გაშენებული იყო 8.396 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (10.759 ჰექტარი) 78 პროც.; ბალახეულობა და ძირხვენა დათესილი იყო 6.189 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (12.170 ჰექტ.) 50 პრ.; ბამბა დათესილი იყო 11.498 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის (14.300 ჰექტარი) 81,1 პროც.; კანაფი დათესილი იყო 1595 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის (2050 ჰექტ.) 77,8 პროც.; თამბაქო—3.827 ჰექტარზე რაც შეადგენს გეგმის (21.000 ჰექტარი) 18,2 პროც.; მზესუმზირა 1669 ჰექტარზე, გეგმა (1450 ჰექტ.) შესრულებული იყო 15,1 პროც. გადაჭარბებით, არახისი დათესილი იყო მხოლოდ 44 ჰექტარზე, ლობიო 3807 ჰექტარზე, ბრინჯი 272 ჰექტარზე და ლუფა 63 ჰექტარზე.

მრავალწლოვან ნარგავთა მდგომარეობა 20 მაისისათვის შემდეგი იყო: თუთის ხე გაშენებული იყო 1382 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის (1582 ჰექტ.) 87,4 პროც.; ხილის ბაღები გაშენებული იყო 1.154 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის (1896 ჰექტ.) 60,9 პროც., ჩაის პლანტაციები გაშენებული იყო 6.275 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (6.503 ჰექტარი) 96,5 პროც. და ვენახი—920 ჰექტარზე (900 ჰექტარი), გეგმა შესრულებული იყო 2,2 პროც. გადაჭარბებით.

თამბაქოს დარგვა

გუდაუთი, 25 მაისი. მაზრაში დაიწყო თამბაქოს მასიური გადარგვა. უკვე გადარგულია საკონტროლო დავალების 6-7 პროცენტი. (ადს).

სოხუმი, 25 მაისი. სოხუმის მაზრაში თამბაქოს გადარგვა წარმატებით მიმდინარეობს. თამბაქო უკვე გადარგულია 500-600 ჰექტარზე. (ადს).

ოჩემჩირი, 25 მაისი. ოჩემჩირის მაზრაში თამბაქოს ნერგის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაიწყო თამბაქოს გადარგვა პლანტაციებზე. (ადს).

სოხუმი, 25 მაისი. ფსირცხის რაიონში პლანტატორები მინდვრად გავიდნენ. თამბაქოს ნერგის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. (ადს).

ახალი ათონი, 25 მაისი. ახალი ათონის რაიონში გაიშალა მუშაობა თამბაქოს გადასარგავად, გადარგვის გეგმა შესრულებულია 20 პროცენტით. განზრახულია თამბაქოს გადარგვა დამთავრდეს ვადაზე ადრე—1 ივნისს. (ადს).

სოხუმი, 25 მაისი. ამხ. მიასნიკოვის სახ. კოლმეურნეობა (გუდაუთის მაზრა), რომელშიც მოწყობილია თამბაქოს სანერგე, სოხუმის მაზრაში გზავნის მილიონ ნახევარ ნერგს. (ადს).

„საქ. ჩაი"-ს საზოგადოებამ ჩაშალა ჩაის თესვის გეგმა აფხაზეთში

სოხუმი, 25 მაისი. აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობას, აფხაზეთის კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ მეურნეებს წელს ჩაი უნდა დაეთესათ 900 ჰექტარის სივრცეზე (აქედან აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობას—300 ჰექტარზე). რადგან „საქართველოს ჩაი"-მ დროზე არ გამოგზავნა საჭირო სას.-სამ. მანქანა იარაღი, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და ინდივიდუალურ მეურნეობებში ჩაის პლანტაციების დამუშავება ხელით სწარმოებდა. ახალ პლანტაციებს არ მიუღიათ არც ერთი ტრაქტორი, რის გამოც ნიადაგის დამუშავება ძალზე დაგვიანდა.

ჩაის თესვის უკანასკნელი ვადა—15—20 მაისი უკვე გავიდა. საკონტროლო დავალება შესრულებულ იქნა მხოლოდ 550 ჰექტარზე, აქედან აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში ჩაი დაირგო 200 ჰექტარზე.

მსუბუქი კავალერიის „თავდასხმის" შედეგები

„თავდასხმამ" გამოამჟღავნა

პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოების აღმაშფოთებელი გულგრილობა

საწარმოო გეგმის შესრულებისადმი

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს და ტრესტებს არც ერთხელ არ შეუმოწმებიათ რამდენად დაყვანილია გეგმა საწარმოო. ერთეულებამდე

მსუბუქი კავალერიის „თავდასხმის" შედეგები

ფაბრიკა - ქარხნებში მუშები არ იცნობენ საწარმოო გეგმას. — ადგილებზე არ სრულდება დირექტივა საწარმოო გეგმის თვითეულ მუშამდე დაყვანის შესახებ.

მსუბუქი კავალერიის თავდასხმა ფაბრიკა-ქარხნებზე—დამთავრდა. თავდასხმის ძირითადი მიზანი იყო გამორკვევა იმისა, თუ რამდენად საწარმოო-საფინანსო გეგმები დაყვანილია თვითეულ ცეხამდე და დაზგამდე და რამდენად იცნობენ მუშები მათზე შესასრულებლათ დაკისრებულ საწარმოო გეგმას.

თბილისში გამოკვლეულ იქნა სულ 34 საწარმო. ამჟამად მსუბუქი კავალერიის შტაბში კვლავ გრძელდება კავალერიის ცალკე რაზმებისაგან ცნობების მიღება. თითქმის ყველა მიღებულ ცნობებიდან აშკარა ხდება, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივა არაა შესრულებული.

აბრეშუმის ახალ საქსოვ ფაბრიკაში ფაბკომმა განაცხადა, რომ ყველა მუშები იცნობენ დაწვრილებით თავიანთ საწარმოს.

— სად გინდათ, რომ ჩვენ არ გაგვერჩია საწარმო. ამჟამად მსუბუქი კავალერიის შტა —საერთო კრებებზედაც განვიხილეთ იგი, საწარმოო თათბირებზედაც, სასცეხო კრებებზედაც და სხვადასხვა.

ფაბრიკის მუშა-ქალებმა კი განაცხადეს:

— ვმუშაობთ და რამდენიც გამოდის პროდუქცია ვიცით, ხოლო რა რაოდენობის უნდა იყოს ჩვენი დაზგის პროდუქცია ამის შესახებ დავალება არ მიგვიღია. აღმოჩნდნენ ისეთი მუშა-ქალები, რომლებმაც საერთოდ არ იციან, თუ რა არის ეს საწარმოო-საფინანსო გეგმა.

მექანიკურ და სამონტაჟო ცეხებს აქვთ წლიური საწარმოო პროგრამა, რომელიც კვარტალურათაც კი არ არის დანაწილებული. ფაბრიკის წლიურ საწარმოო გეგმას წარმოების ადმინისტრაცია უყურებს, როგორც არარეალურს და განუხორციელებელ ამოცანას. ეს ხალხი თავს იწყნარებს იმით, რომ აბრეშუმის ტრესტში მათ მისცეს იმედი საწარმოო გეგმის გადაშინჯვის შესახებ. საერთოდ კი საწარმოო გეგმას ფაბრიკა ვერ ასრულებს. მთელ ფაბრიკაში სანიმუშოთ მუშაობენ კომკავშირელები, რომლებმაც სამონტაჟო ცეხში გეგმა 36 პროც. გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო ძაფსახვევ განყოფილებაში გეგმა 9 პროც. გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

ჩამორჩენილობის მხრივ თბილისის ყველა წარმოებებს შორის განსაკუთრებულათ გამოირჩევა ქარხანა „თემქა". 1-ლ და მე-2 კვარტალში ქარხანას სრულებით არა ჰქონია საწარმოო-საფინანსო გეგმა, ხოლო მე-3 და მე-4 კვარტალის საწ.-საფინანსო გეგმა... წარდგენილია დასამტკიცებლათ თბილისის საოლქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაში, რომელსაც ეს გეგმა ჯერაც არ დაუმტკიცებია. მუშებმა არ იციან, თუ რა ევალებათ მათ. საწარმოო თათბირზე გამომუშავებული საწარმოო პროგრამა (და არა გეგმა) დაიწყებს მიეცა. ქარხნის მუშაობაზე არავითარი კონტროლი არაა. არც ცალკე ცეხები და არც მთლიანად მთელი ქარხანა არაა გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე. ქარხანამ არ იცის დანამდვილებით, თუ რა უნდა დაამზადოს. იყო ცდა ახალი ელექტრომოწყობილობათა დასამზადებლათ, მიუხედავათ შესაფერი მანქანების უქონლობისა და სპეციალისტების უქონლობისა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ მთელი მუშაობა ამოწურულათ ჩათვალა მას შემდეგ, რაც ცალკე ცეხებისათვის შემუშავებული საწარმოო გეგმები გამოიტანა 18 მაისს. სამეურნეო ანგარიშზე ფაბრიკა არაა გადაყვანილი, რადგან წარმოების ხელმძღვანელთა განცხადებით მათ „ვერ მოასწრეს გარკვევა, თუ როგორ ხდება წარმოების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე". შრომის დისციპლინა ფაბრიკაში მეტად სუსტადაა დაყენებული.

მიუხედავათ იმისა, რომ პოლიგრაფიულ მრეწველობაში შედარებით ადვილდება საწარმოო-საფინანსო გეგმების ცალკე ცეხებისთვის და დაზგებისათვის ჩამოყალიბება, მე-5 სტამბაში ეს დირექტივა მაინც არაა შესრულებული. საწარმოო გეგმები ჩამოყალიბებულია მხოლოდ ცეხებისათვის, მაგრამ არსებობს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ ამ გეგმების რეალობაში. მაგალითად, ერთ-ერთ განყოფილებას, საწარმოო გეგმის თანახმად 1-ლი კვარტალის განმავლობაში უნდა გამოეშვა ექვსი ათასი ერთეული და ფაქტიურათ კი გამოუშვა 16 ათასი. ასოთამწყობთა განყოფილებაში, გეგმით გათვალისწინებულია, რომ თვითეულმა მუშამ უნდა მოგვცეს 20-22 ათასი ერთეული, მაგრამ ფაქტიურათ თითო მუშა იძლევა 52-60 ათას ერთეულს.

მექანიკურ-საარტილერიო ქარხანაში სასცეხო საწარმოო გეგმები ადმინისტრაციამ გამოფინა... მსუბუქი კავალერიის თავდასხმის წინა დღით. ამ „საწარმოო გეგმაში" დაივიწყნიათ ხარისხობრივი მაჩვენებლების შეტანა. მთავარი ინჟინერი ტადიანი გაკვირვებულია—რა საჭიროა, რომ მუშებს აცნობენ საწარმოო გეგმებს.

— მე, ამბობს იგი,—მუშებს ვაძლევ დავალებებს, რომ უნდა დამიმზადონ ესა და ეს საგანი, ხოლო შემდეგ მევე ვადევნებ თვალყურს, თუ როგორ ასრულებენ მუშები ჩემს დავალებებს. აბა, მითხარით, რა საჭიროა ეს საწარმოო გეგმა?"

თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკაში საწარმოო გეგმა ჩამოყალიბებულია მხოლოდ ცეხებისათვის. თვითღირებულების მაჩვენებლები კი არ არის შეტანილი სასცეხო გეგმებში. ფაბრიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ საწარმოო-საფინანსო გეგმის ზუსტად ჩამოყალიბება და მისი დანაწილება ყველა მაჩვენებლების აღნიშვნით შეუძლებელია, რადგან, თურმე ნუ იტყვით, ფეხსაცმელების ფაბრიკა განსაკუთრებულ პირობებში ყოფილა.

თბილისის სადურგლო-ავეჯეულობის ფაბრიკა, რომელიც სატყეო ტრესტის ოფიციალური ანგარიშების თანახმად სანიმუშო წარმოებათ ითვლებოდა, მეტად ჩამორჩენილი აღმოჩნდა დირექტივის შესრულებაში.

თუ საქმის მდგომარეობა ცენტრში—თბილისში არ არის დამაკმაყოფილებელი, რას უნდა მოველოდეთ პროვინციის წარმოებებიდან?

მუკუზანის საბჭოთა მეურნეობაში მუშებს საწარმოო-საფინანსო გეგმაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ.

ბორჯომის წარმოებათა ხელმძღვანელები საწარმოო გეგმების ცეხებისა და დაზგებისათვის ჩამოუყალიბებლობის მიზეზათ ასახელებენ კოლექტივიზაციას. სტალინისში კი დირექტივის შეუსრულებლობის მოტივი სხვანაირია: „სამუშაოთი ზედმეტი დატვირთვა და თესვის კამპანია".

მსუბუქი კავალერიის თავდასხმამ გვიჩვენა, რომ ჩვენს საწარმოებმა, არა თუ მარტო ვერ შეისწავლეს მუშაობის ახალ მეთოდებზე გადასვლა, არამედ ვერ შეიგნეს უმნიშვნელოვანესი დირექტივებისადმი სათანადო ყურადღებით მოპყრობასაც კი. ასეთი მდგომარეობა გამომჟღავნდა არა მარტო სამეურნეო მუშაკების პრაქტიკაში, არამედ პროფკავშირებშიაც.

თავდასხმის უმთავრესი მიზანი იყო ყველა მათი გამოაშკარავება, ვინც დამნაშავეა საწარმოო გეგმების და პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების შეუსრულებლობაში. ეს დამნაშავენი სააშკარაოზე იქნებიან გამოყვანილნი, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება:

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ტრესტებს არ მოუხდენიათ ცეხებისა და დაზგებისათვის საწარმოო გეგმების მიცემის შემოწმება. საწარმოებს უნდა მიეცეთ კატეგორიული წინადადება, რომ შეასრულონ საწარმოო-საფინანსო გეგმების ქვედა ერთეულებამდე დაყვანა, რაზედაც დამოკიდებულია წლიური საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულება.

ქ. ლ.

გეგმა ბოლშევიკურად შევასრულეთ

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა ვაგონების შემკეთებელ ქარხნის მუშებმა, მუშათა ფართო კონფერენციაზე შეაჯამეს ხუთწლედის მე-2 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შედეგები.

გეგმა ბოლშევიკურად სრულდება

გამოირკვა, რომ ქარხნის მუშები ხუთწლედის მე-2 წელს საწარმოო გეგმას წარმატებით ასრულებენ. ეს სავსებით დაამტკიცა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგებმა, მუშებმა ამ ხნის განმავლობაში საწ.-საფ. გეგმა 1,4 პროც. გადაჭარბებით შეასრულეს. ინტენსიურად იზრდება შრომის ნაყოფიერებაც. გეგმით შრომის ნაყოფიერების გადიდება გათვალისწინებული იყო 15 პროც., ნამდვილად კი გაიზარდა 23,3 პროც. კაპიტალურ რემონტში ორთქლმავლების გაცდენა შემცირდა 21,1 პროც., ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 პროცენტისა. სამეურნეო წლის პირველ ნახევარში თვითღირებულების შემცირება დასახული იქნა 10 პროც.; ფაქტიურად კი თვითღირებულებამ დაიკლო 25,1 პროც. ქარხანაში ფართოდ არის გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა.

ჯილდო—შეჯიბრებაში გამარჯვებულებს

25 მაისს სტალინელებს ზეიმით დაურიგდა ჯილდოები. ჯგუფური ჯილდო (დროშა) მიეცა საშუალო შეკეთებისა და სამკედლო საამქროს. საწ.-საფ. გეგმისათვის მებრძოლთა რიგებში მოწინავე პოზიცია დაიკავეს ამხ. ძაძამიძის, კ. ბარბაქაძის (ამწყობი საამქრო) და აფემიის ჯგუფებმა (საქვაბო საამქრო). გარდა ამისა, დაჯილდოებულ იქნენ ამხ. ვლადიმიროვის ჯგუფი (ჩამომსხმელი საამქრო), ლორთქიფანიძის ბრიგადა (სახალხო ვაგონების საამქრო), მორეტის ჯგუფი (ღერძების გამხურებელი საამქრო) და ამხ. ფრანგიშვილის ბრიგადა (საიარაღო საამქრო).

დასასრულ, კონფერენციაზე ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის მოგება დაურიგდა 40 მუშას, რამაც დამსწრეთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

კირის დამზადების გეგმა ჩაშალეს

კოლმეურნეობას ებრძვიან, კერძო. მწარმოებლებს მხარს უჭერენ

საამშენებლო მასალათა ტრესტისათვის კირის დამზადება მინდობილი აქვს სოფ. საცხორისის კოლმეურნეობას, რომელიც შესაფერ მუშაობას უკვე ზამთრიდანვე შეუდგა (სოფ. საცხორისი შედის ძეგვის თემში).

კირის გამოსაწვავად კოლმეურნეობას უნდა გაეკეთებია შესაფერი საკირეები, სადაც პრიმიტიული წესით სწვავენ საკირე ქვას. საჭირო თადარიგი ტრესტმა წინასწარვე გაწია და თბილისის საოლქო სატყეო სამმართველოს ჯერ კიდევ 18 თებერვალს გადასცა 1.500 მანეთი იმ შეშის საფასურათ, რომელიც დასჭირდებოდა საცხორისის კოლმეურნეობას საკირეებისათვის. ეს შეშა უნდა დაემზადებია ძეგვის სატყეო აგარაკის გამგეს და შემდეგ გადაეცა დანიშნულებისამებრ.

ძეგვის სატყეო აგარაკის გამგემ მოქ. ვიქ. ცერცვაძემ მართლაც მოახერხა შეშის დამზადება. მაგრამ ეს შეშა მან გადასცა არა კოლმეურნეობას, არამედ კერძო მწარმოებლებს, რომლებიც თავიანთი ჯიბის გასასქელებლად ამზადებენ ჩვენი აღმშენებლობისათვის საჭირო საამშენებლო მასალას.

ცერცვაძის ასეთი საქციელის შესახებ ტრესტში განცხადება შემოიტანეს საცხორისის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ისინი მოკლებული არიან საშუალებას შეასრულონ კირის დამზადების გეგმა.

საჭიროა თბილისის სატყეო სამმართველომ გვიპასუხოს, რა ზომები მიიღო მან იმისათვის, რომ თავის დროზე ყოფილიყო შესრულებული საცხორისის კოლმეურნეობის მიმართ აღებული ვალდებულება და ან რით აიხსნება, რომ დამზადებული შეშა ეძლევა კერძო მწარმოებლებს და არა კოლმეურნეობას, რომელიც კირს სახელმწიფო მრეწველობის საჭიროებისათვის ამზადებს.

ლ. დ.

დაშვებულ შეცდომებს გამოვასწორებთ

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის საქვაბო საამქრომ 113 პროცენტით შეასრულა 29-30 წლის პირველი ნახევრის გეგმა. სულ ამ საამქროში მუშაობს 172 კაცი. ჩამოყალიბებულია 20 დამკვრელი ბრიგადა. ყველა დამკვრელებმა 5 პროც. შემცირეს თვითღირებულება 28-29 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირებულია პროდუქტის დამზადების დრო და აგრეთვე კაცთა სამუშაო საათი 42 პროც., დაკლებულია, მაგალითად, თუ წინად 100 საათი უნდა ემუშავნა მუშას, ახლა მუშაობს 58 ს. და იმდენივე პროდუქციას ამზადებს. ქვაბების დგომის ხანგრძლიობა შემცირდა 31 პროც. ნამუშევრის ხარისხის საქმე კი ვერ არის მოგვარებული. 12 მსხვილი შემთხვევა იყო ცუდი ხარისხის მუშაობისა: ამის მიზეზად ნედლი მასალის უვარგისობას ასახელებენ, მაგრამ დამამუშავებელიც ტყუის. ერთი ორთქლმავალის სპეცნების ცხრილი გააფუჭეს გაუფრთხილებლობით და აუარებელი ზარალი მიაყენეს წარმოებას. ნაწილობრივ იარაღის უვარგისობასაც უნდა მიეწეროს.

საქვაბო საამქრო ეჯიბრება ამწყობთა საამქროს. საქვაბო საამქროს მთავარი პირობაა ქვაბების დროზე მიწოდება ამწყობთა საამქროსათვის. ეს პირობა 80 პროც. სრულდება, დანარჩენი მუხლები შინაურ წესრიგს ეხება და შესრულებულია ასი პროც.

პროფმუშაობა მხოლოდ მფრინავი მიტინგის გამართვით ამოიწურება. სოც. შეჯიბრების ყოველდღიურ საკითხებს ნაკლებ ყურადღება ექცევა. საწ. თათბირების მუშაობა ინვერამდე სრულდებოდა არა სჩანს, შემდეგშიც მოისუსტეს. პარტხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელია. დამკვრელი ჯგუფებიდან პარტიაში 31 კაცმა შეიტანა განცხადება. საამქროში გამომჟღავნებულია ცრუ დამკვრელები, რაც ეჭვს ბადებს—ნუ თუ ყველამ 100 პროც. შეასრულა დამკვრელობა, ისიც ისეთ საამქროში, სადაც 6 თვის განმავლობაში საწარმოო თათბირი არ ყოფილა მოწვეული?

პრაქტიკულ ღონისძიებების გამომუშავება გააუმჯობესებს ქვაბების მიწოდებას, აწევს საჭირო მასალის და იარაღების ხარისხს, დააჩქარებს ელექტრონის ღუმელის ამუშავებას და ახალ მანქანებს დატვირთავს 100 პროც. და სხვ.

ვ. ნ. ბ.

დამკვრელი ქარხანა

ამხ. ელიავას სახელობის ქარხანა შეეჯიბრა ტუასის ნავთ-სადგურის ქარხანას. ხელშეკრულების და საწარმოო-ფინანსიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიზნით შექმნილია კომ-კავშირის და პიონერთა ბრიგადები. ხელშეკრულების თანახმად, გასულ წელთან შედარებით საწარმოო-საფინანსო გეგმა ქარხანამ შეასრულა გადაჭარბებით; რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას, იგი გაიზარდა 13 პროც., პროდუქციის თვითღირებულება ქარხანაში შემცირდა 12 პროცენტით. ქარხანა აერთიანებს 92 მუშას, აქედან სოც. შეჯიბრებაში ჩაბმულია 74 პროც. შეჯიბრების ხელშეკრულების საფუძველზე გატარდა რაციონალიზატორული ღონისძიებანი, რამაც—6 თვის განმავლობაში ქარხანას მისცა საკმაო რაოდენობის ეკონომია. დანაკარგებთან წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არაფერი გაკეთებულა.

სოცშეჯიბრების ხელშეკრულების დადების დღიდან ქარხანაში ფართო გასაქანი მიეცა გამომგონებლობას. მუშების გამოგონებათა და გაუმჯობესებათა გამოყენებით ქარხანაში უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში ადმინისტრაციული სამეურნეო ხარჯები საგრძნობლად შემცირდა, სახელოსნოში მიღებული შეკვეთები სრულდებოდა დანიშნულ დროზე უფრო ადრე კი კარგი ხარისხის, მაგ.: ცეცხლისმქრობელი გემი „მუშა"-ს საშუალო რემონტი გეგმით გათვალისწინებული იყო 40 დღე, შესრულებულ იქნა 18 დღით ადრე. კომუჯრედის და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობა შეჯიბრებაზე დამაკმაყოფილებელია, ადმინისტრაციის ყურადღებაც დამაკმაყოფილებელია.

ცუდი პროდუქციის გამომუშავება შემცირებულია 98 პროცენტით. ის აღფრთოვანება და ენთუზიაზმი, რომელსაც წარმოებისადმი ქარხნის მუშები იჩენენ, საუკეთესო გარანტიაა საწარმოო-ფინანსიური გეგმის შესრულების და სოცშეჯიბრების ბრწყინვალეთ ჩატარებისათვის.

კ. ჯიბლაძე.



მსუბუქი კავალერიის „თავდასხმა" მექანიკურ ქარხანაზე. კავალერისტები ესაუბრებიან ქარხკომის წევრებს სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესახებ

შვებულებაში მიმავალი მუშა

სოფლად უნდა გამოვიყენოთ

კოლმეურნეობების ორგანიზაციულად განსამტკიცებლად

დაუშვებელი გულგრილობა

(26 კომუნარის სახ. ქარხანა)

საშვებულო კამპანიას ჩვენი ქარხნის ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. შვებულებაში მიმავალთა შორის ახსნა-განმარტება მხოლოდ უჯრედმა იკისრა. უჯრედის ღია კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება შვებულთა ამოცანების შესახებ. ქარხკომთან არსებულ სოფლად მომუშავე სექტორს დაევალა წინასწარი ახსნა - განმარტება ჩაეტარებია შვებულებაში მიმავალთა შორის, მაგრამ ქარხკომმა ამ საქმის გასაკეთებლად თითიც არ გაანძრია.

ქარხკომის გულგრილობის გამო, 20 მაისამდე 16 კაცი შვებულებაში ისე წავიდა, რომ მათთან არც ერთი თათბირი არ ყოფილა მოწვეული.

შვებულებაში მიმავალთა მუშებს შორის ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ. ფართოთ უნდა აუხსნათ მუშებს — რა უნდა გააკეთონ სოფლად დასვენების დროს და ასეთი საშუალებით განვამტკიცოთ კოლმეურნეობები ორგანიზაციულად.

რადიო.

ქარხკომი მძიმეთ იქცევა

(კალინინის სახ. ქარხანა)

კალინინის სახ. ლითონის ქარხნის შვებულებაში მიმავალი მუშები დაპირებას იძლევიან, რომ ისინი სოფლად დიდ პრაქტიკულ მუშაობას ჩაატარებენ. ასეთი რამდენიმე მუშა უკვე აღრიცხულიც არის, მაგრამ ქარხკომი მეტად გულგრილად ეპყრობა ამ სასარგებლო საქმეს. შვებულების გამოყენების საკითხი არც საერთო კრებაზე, არც საწარმოო თათბირზე, არც საშეფო უჯრედის სხდომაზე და არც ქარხკომის თათბირზე არ დასმულა.

ქარხანას ჯერ ლიტერატურაც არ მიუღია, რომ შვებულებს დაურიგოს და ისინი წინასწარ გაეცნონ თავიანთ მოვალეობას სოფლად წასვლის დროს.

მელითონე.

დავაჩქაროთ ჯგუფების ჩამოყალიბება

სადგ. თბილისის კონდუქტორთა გუნდებში კარგა ხანია დაიწყო შვებულება, მაგრამ დღემდე მოძრაობის დარგის ადგილკომი არავითარ ახსნა - განმარტებას არ აწარმოებდა შვებულებაში მიმავალთა შორის. ეს ნაკლი გამოსწორდა 20 მაისს. ადგილკომმა მოიწვია მუშა - მოსამსახურეთა ფართო კრება, რომელზედაც ჩატარდა საუბარი—თუ როგორ უნდა გამოიყენოს შვებულება სოფლად წასულმა მუშამ. კრებამ დაადგინა, რათა ადგილკომთან დაარსდეს შვებულებაში მიმავალთა 3 ჯგუფი. ამ ჯგუფებში საშეფო უჯრედი ჩაატარებს საუბრებს და ლექციებს შვებულების გამოყენების შესახებ სოფლად.

აღნიშნული ჯგუფი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ადგილკომმა და საშეფო უჯრედმა უნდა დააჩქარონ მათი დაარსება.

მუშაობა მოისუსტეს

თამბაქოს № 1 ფაბრიკაში, პირველ ივნისიდან იწყება მასიური შვებულება. მართალია, ქარხკომმა გამოაკრა საამქროებში პლაკატები და ლოზუნგები შვებულთა ამოცანების შესახებ სოფლად, მაგრამ ეს არ კმარა.

ქარხანაში პრაქტიკული მუშაობა ჯერ არ ჩატარებულა. ივნისი კარზე მოგვადგა და მუშების დადგენილება ქარხანაში შვებულთა 2 წრის ჩამოყალიბების შესახებ ჯერ არ შესრულებულა.

საჭიროა ქარხკომმა გააცხოველოს შვებულთა შორის მუშაობა.

დამკვრელი.

გავაცხოველოთ მუშაობა შვებულთა შორის

ამას წინად შესდგა თბ. ტრამვაის შვებულებაში მიმავალ მუშების კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორი კულტსამსახური უნდა გაუწიონ შვებულებაში მიმავალმა მუშებმა გლეხებს. კრებამ საჭიროდ სცნო შვებულთა მოსამზადებელი წრის დაარსება. შვებულებაში მიმავალ მუშათა საერთო კრებამ დაავალა დაეხმარონ კოლმეურნეობებს შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში და სხ. აგრეთვე უნდა გამოარკვიონ როგორ მდგომარეობაშია სოფლად ინდივიდუალური მეურნეობები.

როგორც მოძრაობის დარგში, ისე ტრამვაის სახელოსნოშიც მასიური შვებულება 1-ლ ივნისიდან იწყება. პირველ ივნისს შვებულებაში მიდის 25 ვატმანი, 27 კონდუქტორი, 12 ლიანდაგის მუშა, 1 დარაჯი და 4 კონტროლიორი.

ფართოთ გავშალოთ შვებულებაში მიმავალთა შორის მუშაობა და მოვამზადოთ ისინი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მომწესრიგებლებათ.

დ—ლი.

ამხ. პ. კ. ორჯონიკიძის დანიშვნა

ამხ. პაპულია კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე დანიშნულია ა.-კ. რკინის გზის დირექტორის მეორე თანაშემწედ.

ამხ. ორჯონიკიძე უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

ამხ. პაპულია კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე დაიბადა 1882 წელს სოფ. გორეშაში (ყოფ. შორაპნის მაზრა) ღარიბი აზნაურის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მან მიიღო დ. ხარაგოულის ორკლასიან (მაშინ განათლების სამინისტროს) სასწავლებელში, რის შემდეგ შევიდა და დაამთავრა საქარის საბაღოსნო სასწავლებელი.

ამხ. პაპულია 14 წლისა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა და ვინაიდან ოჯახი უმუშა-ხელოდ დარჩა, იგი იძულებული იყო დროებით შეეწყვიტა სწავლა და წავიდა სოფელში, სადაც ეწეოდა სასოფლო მეურნეობას.

1896 წელს მუშაობდა შავ მუშად ჭიათურაში, — ურმით ეზიდებოდა შავ-ქვას.

1901 წლიდან ამხ. პაპულია შედის ამიერკავკ. რკინის გზაზე. თავის მუშაობას გზაზე იგი იწყებს ტელეგრაფის მოწაფეობიდან. აქედან იგი წინაურდება: ინიშნება ტელეგრაფისტად, სადგურის უფროსად, კომერციულ საგენტოს გამგედ, ეკონომიურ დარგის საერთო ნაწილის გამგედ, ეკონომიურ განყოფილების უფროსის თანაშემწეთ და შემდეგ ამავე განყოფილების უფროსად. ამ თანამდებობიდან ამხ. პ. ორჯონიკიძეს აწინაურებენ ამიერ-კავკ. რკინის გზის დირექტორის მეორე თანაშემწის თანამდებობაზე.

ამხ. პ. ორჯონიკიძე ძველი პარტიული მუშაკია. იგი საქართველოში მენშევიკური რეჟიმის არსებობის დროს ითვლებოდა საბჭოთა წარმომადგენლობის დიპლომატიურ შიკრიკად თბილისში და ასრულებდა პარტიის მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს.

ამხ. პ. ორჯონიკიძე ამიერ-კავკ. რკინის გზაზე ითვლება ერთ-ერთ უენერგიულეს მუშაკად. მას რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს შორის დამსახურებული აქვს უდიდესი სიყვარული. ისიც ყოველთვის მზად არის გამოეხმაუროს მათ ყოველგვარ მოთხოვნილებებს.

ცენტრალურმა პარტსკოლამ დაამთავრა სამოსწავლო წელი

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ცენტრალურმა პარტსკოლამ სამოსწავლო წელი დაამთავრა 15 მაისს. სამოსწავლო წლის განმავლობაში სკოლამ ფართოდ გამოიყენა სოციალისტური შეჯიბრება, რამაც დიდად შეუწყო ხელი აკადემიურად ჩამორჩენილ კურსანტების გამოსწორებას. დათხოვის თვე-ნახევრის წინ დაიწყო მსმენელების მომზადება საზაფხულო პრაქტიკული მუშაობისათვის. საკოლმეურნეო მშენებლობის შესასწავლად მოეწყო კურს-სემინარიები, რომლის ხელმძღვანელადაც მოწვეული იყვნენ კოლმეურნეობათა ცენტრიდან სპეციალისტები.

სამოსწავლო წლის დამთავრებისას მსმენელთაგან გამოყოფილ იქნა ორი ჯგუფი. ერთი ჯგუფი 26 კურსანტის შემადგენლობით გაგზავნილ იქნა სამხედრო ნაწილებში პოლიტ-ჯგუფხელმძღვანელებად, ხოლო მეორე ჯგუფი 20 კაცის შემადგენლობით,—საბჭოთა მეურნეობებში პარტმუშაობის საწარმოებლად.

კურსანტების შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ სკოლა კურსანტებთან ერთად ჯამს გაუკეთებს კურსანტების მიერ ადგილებზე ჩატარებულ მუშაობას.

საავიაციო სპორტის განსავითარებლად

მიმდინარე წლის 15 ივლისამდე თბილისში ჩატარდება ავიო-მოდელისტების საოლქო შეკრება. შეკრების მიზანია ჯამი გაუკეთოს მოდელისტების მუშაობას, აჩვენოს საბჭოთა საზოგადოებრიობას მოდელისტების მიღწევები და შეარჩიოს ახალგაზრდა მოდელისტები საქართველოს, ამიერ - კავკასიის და სრულიად საკავშირო მოდელისტების შეკრებაზე გასაგზავნად.

თბილისის საოლქო შეკრებაზე დაშვებულნი იქნებიან ორივე სქესის ახალგაზრდა მოდელისტები, რომლებიც მუშაობენ სამოდელო საქმეზე წრეებში.

იმ მიზნით, რომ მოდელისტებს მიეცეს საშუალება ნაყოფიერად ემზადონ შეკრებისათვის, თავდაცვა - ავიაქიმის თბილისის საბჭოს საავიაციო სექცია 1-ლ ივნისიდან ხსნის მოდელისტებისათვის საკონსულტაციო ბიუროს, რომელიც მოთავსებული იქნება სამოდელო კურსების შენობაში (კომინტერნის ქუჩა, 5). ბიუროში ცნობების მიცემა იწარმოებს სადამოს 5 ნახ. საათიდან 9 ნახ. საათამდე. ბიურო დახმარებას გაუწევს მოდელისტებს რჩევა-დარიგებებით და მოდელების ასაგებად საჭირო მასალების მიწოდებით.

ქრონიკა

ნიადაგმცოდნეობის მსოფლიო კონგრესი

თბილისში მიღებული ცნობებით, აგვისტოში ლენინგრადში შესდგება მსოფლიო კონგრესი ნიადაგმცოდნეობის საკითხებზე. კონგრესის მუშაობა ორ კვირაზე მეტს გასტანს.

კონგრესის რამოდენიმე სხდომა გადაწყვეტილია შესდგეს თბილისშიც. ამასთან დაკავშირებით ამ დღეებში თბილისში მოელიან კონგრესის საორგანიზაციო ბიუროს წარმომადგენლებს.

ნიადაგმცოდნეობის კონგრესს დაესწრებიან მთელ რიგ ქვეყნების გამოჩენილი სპეციალისტები და სხვადასხვა სამეცნიერო - საგამოკვლევო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

დედათა და ბავშთა დახმარების სამდღიური

10, 11 და 12 ივნისს საქართველოში ჩატარებული იქნება დედათა და ბავშთა დახმარების სამდღიური. თბ. აღმასკომმა დაადგინა აბანოების, სასტუმროების და სამხეცეს შემოსავალს, სამდღიურის სასარგებლოდ სამდღიურის განმავლობაში დაერიცხოს 10 პრ.

მედპერსონალის ხელფასის გადიდება

სოფლად მომუშავე ექიმების და საექიმო პერსონალის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა მომავალ წლიდან მათ გაუდიდდეს ხელფასი 20 პროცენტით.

ადგილობრივ აღმასკომებს წინადადება ეძლევათ 1930-31 წლის ბიუჯეტში შეიტანონ საექიმო პერსონალისათვის ხელფასის გასადიდებლად საჭირო თანხები.

ქალიის წინააღმდეგ

მიწადმოქ. სახ. კომისარიატმა ქალიის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობისაგან მიიღო 74.000 მ.

„თბილისის ტავერნა“

მუნიციპალურ მუზეუმისათვის თბ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ შეიძინა უცნობი მხატვარის ძველი სურათი სახელწოდებით: „თბილისის ტავერნა“. სურათი დიდი ოსტატობითაა შესრულებული და გამოხატავს რევოლიუციის წინანდელ თბილისის მოქალაქეთა ყოფას.

თბილისის აღმასკომში

— უმწეო ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აღმასკომმა გადასდო 20.000 მანეთი.

— საზ-ბა „საქ. ტურისტში“ აღმასკომი შევიდა წევრად და შეიძინა საზ-ბის აქციები—5.000 მ. რაოდენობით.

ბორის ძნელაძის ძეგლი

საქ. ა.ლ.კ.კ. ცეკამ გადასწყვიტა აგოს საქ. კომკავშირის ერთ-ერთ დამაარსებელის ბორის ძნელაძის ძეგლი.

ფაბრიკა - კომუნა

ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით და უმწეო ბავშთა სათანადოთ აღსაზრდელათ, გადაწყდა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში მოეწყოს ფაბრიკა - კომუნები.

ფაბრიკა - კომუნებში ბავშებს შეასწავლიან როგორც ხელობას, ისე წერა-კითხვას.

ფაბრიკა - კომუნებთან მოეწყობა ბავშთა საერთო საცხოვრებელი, კლუბი, ფიზკულტურის მოედანი და სხვა გასართობები.

პირველი ასეთი ფაბრიკა-კომუნა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მოეწყობა ბაქოში.

ამ კომუნა-ფაბრიკაში მოთავსებული იქნება 1000-ზე მეტი უმწეო ბავშვი.

ქუჩების კეთილმოწყობა

თბილისის აღმასკომმა ქუჩების კეთილმოწყობის საქმის შესასწავლად მოსკოვში მიავლინა ამხ. ვ. სიხარულიძე და ინჟ. გიორგობიანი.

სხვადასხვა

◆ ს. ს. პ. ი. კ. პ. (ბ) სამთო-ქიმიური ფაკულტეტის უჯრედის დახურული კრება, კომკ. № 8 უჯრედის ბიუროსთან ერთად შესდგება დღეს, 4 საათზე, განიხილავეა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

◆ ვ. ი. ლენინის სახელობის ს. ს. პ. ი-ტის სამთო ფაკულტეტის ყველა ის სტუდენტები, რომლებიც ჩაწერილი არიან ჭიათურის ექსკურსიაში მონაწილეობის მისაღებად, დღეს, დღის 2 საათზე უნდა გამოცხადდენ სამთო-ხელოვნების კაბინეტში. გამგზავრება მოხდება დღესვე.

სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი: ვ. მ. შოხორი—ძალმომრეობა ოჯახურ ყოფა-ცხოვრებაში. გვ. 54, ფასი 25 კაპ. ა. მართაშვილი—იმპერიალიზმი და აღმოსავლეთი. გვერდი 40, ფასი 25 კაპ. შეღავათები კოლმეურნეობებს (დადგენილებათა კრებული) გვ. 28. ფასი—10 კაპ. ს. ჯავშანიძე—მოთხრობები. გვერდი 146. ფასი 1 მანეთი და 20 კაპ. „კოლექტივიზაციის ფრონტზე“ № 1 (მხატვრ. კრებული) გვერდი 196, ფასი 1 მ. 30 კაპ. ელ. გაბლიანი—ჯიხვი სვანეთის მთებში. გვერდი 44, ფასი 35 კ.

წითელარმიელები მუშაობენ ბანაკის მოსაწყობად

ხელოვნება

ჭიათურის მუშათა თეატრი

ჭიათურის მუშათა თეატრმა დაამთავრა სეზონი ს. ლევიტინის პიესა „განაჩენი“-თ.

1929-30 წლის სეზონის განმავლობაში თეატრის მიერ დადგმული იყო 9 პიესა: „ბრაზი“ — ს. შანშიაშვილის, „რღვევა“ — ლავრენევის, „პროტექცია“—ს. შანშიაშვილის, „ზღვაური“,—ვ. გაბესკირიასი, „მგლის ბილიკი“ — აფინოგენოვის, „ზეინკალი“ — ი. ეკალაძის, „განაჩენი“ — ლევიტინის „მზის ამოსვლამდე“ — შ. დადიანის, „ორი ბიჭი“ — გ. როსებასი. სულ გაიმართა 60 წარმოდგენა. აქედან 10 წარმოდგენა მიზნობრივი, პროფკავშირის წევრთათვის, 6 — უფასო, 2 მოწაფეებისათვის, დანარჩენი — ღია. თეატრმა მოაწყო გასტროლები თბილისში, სადაც გაიმართა 10 წარმოდგენა.

გასული სეზონი იყო მეტად ნაყოფიერი. თეატრმა შესძლო მუშათა ფართო წრეების ჩაბმა თავის საქმიანობაში. ყოველ წარმოდგენას მრავალი მუშა ესწრებოდა, თვით თეატრი ხშირად მიდიოდა წარმოდგენების დასადგმელად მაღაროებთან არსებულ კლუბებში. ამითი თეატრმა მოიპოვა მუშების სიყვარული და პატივისცემა.

თეატრის სეზონის დახურვით ჭიათურის მაღაროების და ქარხნების რამოდენიმე ათასი მუშა დიდი ხნით, მომავალ სეზონამდე, მოკლებული იქნებიან ყოველგვარ კულტურულ გასართობს. სეზონის განმავლობაში რამდენიმეჯერ დაისვა საკითხი ჭიათურაში წლიური, მუდმივი დასის შექმნის შესახებ. მუშები მოითხოვდნენ, რათა ჭიათურას ჰყოლოდა მუდმივი დასი. მუშების ეს მოთხოვნილება სამართლიანია. ჭიათურას უნდა ჰყავდეს მუდმივი დასი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს ჭიათურის ქარხანა-მაღაროებში.

—ლი.

◆ ხელოვნების მთავარმა სამმართველომ დაადგინა მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქორხული გაგზავნოს ეროვნულ ხელოვნებათა ოლიმპიადაზე.

დახმარება თავდადებულ მილიციელის ოჯახს

ბორჩალოს და ლიუქსემბურგის რაიონებში დათარეშობდა ყაჩაღთა ძლიერი ბანდა, რომელიც შიშის ზარს სცემდა მშვიდობიან მცხოვრებლებს.

12 მაისს ბორჩალოს და ლიუქსემბურგის რაიონების მილიციელები შეერთებული ძალით დაედევნენ ბანდიტებს და შეუკრეს გასაქცევი გზები. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბანდიტები განადგურებულ იქნა.

ბანდიტებთან ბრძოლაში აღნიშნულ რაიონების მილიციამ იშვიათი ენერგია და თავდადება გამოიჩინა.

ბანდიტებთან ბრძოლაში განსაკუთრებით თავი ისახელა უმცროსმა მილიციელმა ნადირ ქიარიმ-ოღლიმ, რომელიც ბანდიტებთან უკანასკნელ შეტაკების დროს მოკლულ იქნა.

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების შუამდგომლობის თანახმად, თბილისის აღმასკომმა ნადირ ქიარიმ-ოღლის უმწეო მდგომარეობაში დარჩენილ ოჯახს ერთდროული დახმარების სახით მისცა 300 მანეთი, ხოლო ბორჩალოს და ლიუქსემბურგის რაიონულ მილიციების თანამშრომელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად გადასცა 500 მანეთი. გარდა ამისა აღძრულია შუამდგომლობა, რათა ნადირ ქიარიმ-ოღლის ოჯახს დაენიშნოს პენსია.

შემთხვევები

დაჭრა

ვალერიან ვლადიმერის ძე ყიფიანმა ბეკონ სისტემის თოფით შემთხვევით მძიმეთ დასჭრა გარსევანიშვილი. დაჭრილი მოთავსებულია ქალაქის პირველ საავადმყოფოში. — საბედ სტეფანეს ასულმა კაზაროვამ დანით მძიმეთ დასჭრა აირაპეტა ჩეხოს ძე ადუაზოვი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

გვამის პოვნა

მცხეთის ახალ ხიდის მახლობლათ იპოვეს მოკლული კაცის გვამი. ვინაობა გამოურკვეველია.

დაჯახება

ოლღას ქუჩაზე უმუშ ხაჩატუროვს დაეჯახა ცხენი, რომელზედაც იჯდა პიონერი ანდრო ვიქტორის ძე ვიჩენკო (მცხ. გრიბოედოვის ქ., № 27). დაშავებული ვიჩენკო გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

შეპყრობა

შეპყრობილია ალექსი ივანეს ძე კუზნეცოვი, რომელმაც უცნობ მოქალაქეს ჯიბიდან ამოაცალა 68 მან.—დაპატიმრებულია ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების თანამშრომელი შალვა ტრიფონის ძე ნოდია, რომელმაც კოოპერატივ № 30 მოიპარა ორი ტომარა შაქარი.

ქურდობა

გაქურდეს სამა იოსების ასული იოსელიანის ბინა (მცხ. ტატიანის ქ., № 5). წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები 65 მან. ღირებულების. — გალინა ბონდარენკოს (მცხ. ნინოშვილის ქ., № 54) ქმარმა მოპარა საკერავი მანქანა. — თამარა ხუციშვილის ბინიდან (მცხ. შრომის ქ.) მოიპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები 400 მან. ღირებულებისა. — ლუჩიანის სახელოსნოდან (მდებარე ბელგიის ქ., № 6) მოიპარეს 100 მან. ხელსაწყოები. — ივანე მელიქის ძე მუხტიანის ბინიდან (მცხ. ტელეგრაფის ჩიხი № 4) მოიპარეს 200 მან. ნივთები.— ალიმ ჯებრამ ოღლის დარაბიდან მოიპარეს 150 ცალი ნაბადი 2.200 მან. ღირებულებისა.

ჯიბგირობა

გრიგოლ ბეგლარის ძე ჭელიძეს ტრამვაიში ჯიბიდან ამოაცალეს 21 მან. და სხვადასხვა საბუთები. — თამარა მჭედლიშვილს (მცხ. ბაქრაძის მეორე ჩიხი № 3) ტრამვაიზე ასვლის დროს ჯიბიდან ამოაცალეს 15 მან. — ანნა პავლეს ასულ ბიკოვას (მცხ. აბაშის ქ., № 1) ტრამვაიში ჯიბიდან ამოაცალეს საფულე 10 მანეთით.

ვისია საფულე?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ტყავის საფულე ფულით. პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 7 ამხ. კოპალეიშვილთან.

ფეხბურთი

„დინამო“ — „ტრანსპორტელები“

ოთხშაბათს, 28 მაისს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება „დინამო“-ს და ტრანსპორტელთა კავშირის პირველი გუნდების ამხანაგური შეჯიბრება. 25 მაისს აღებული ბილეთები გამოდგება 28 მაისისათვის.

მთელი შემოსავალი გადაიდება პროლეტარიულ სტუდენტობის სასარგებლოდ.

დოღი

მეექვსე დღე, 25 მაისი

25 მაისს თბილისის იპოდრომზე მეექვსეჯერ ამ სეზონში ჩატარდა ჯიშიან და ჯიშნარევი ცხენების გამოცდა.

სულ ამ დღეს გაიმართა შვიდი დოღი, მათგან სამი ორწლიანი კვიცებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დოღის ძალზე ცუდი ამინდი დაესწრო, ამას ცხენების გამოცდის მსვლელობისათვის ხელი არ შეუშლია. კოკისპირულმა წვიმამ, რომელიც წამოვიდა პირველი დოღის დაწყებისთანავე, ძალზე დაამძიმა მიწა და ცხენებს უკვე აღარ ჰქონდათ საშუალება განევითარებიათ სათანადო სისწრაფე, მაგრამ მათ მაინც შესძლეს ამ დაბრკოლების გადალახვა. 25 მაისს გამართულმა დოღმა ნათლად დაამტკიცა, რომ ჩვენი ცხენთსაშენი მტკიცე და გამძლე პროდუქციას იძლევიან. ორწლიან კვიცებმაც კი, რომელთაც პირველად მოუხდათ ასეთ არა ხელსაყრელ პირობებში იპოდრომზე გამოსვლა, სამაგალითოდ ჩაატარეს დოღები.

მათთვის გამართულ დოღებში 1000 მეტრის მანძილზე (ორი დოღი) ყველაზე უკეთეს სისწრაფეს მიაღწიეს საქართველოს ცხენთსაშენის ცხენმა „პანკის“-მა, სომხეთის „ზორაბ“-მა და 1200 მეტრის მანძილზე „ლაუვარდ“-მა, რომელსაც სამხედრო უწყების „ფოსკორი“ შეეჯიბრა, მაგრამ—ამაოდ, ეს უკანასკნელი მეორე ადგილზე გამოვიდა.

მეექვსე დოღში 2.000 მეტრის მანძილზე გათამაშებული იქნა 200 მან. ჯილდო „განდიკაპი“.

ეს ჯილდო აიღო აფხაზეთის „ვესენი-სონ“-მა.

დანარჩენი დოღები გამართული იყო 2000 და 1600 მეტრის მანძილზე. საუკეთესო სისწრაფე უჩვენეს 2000 მეტრზე „პალო-ალტო“-მ (სამხ. უწყ.), „ქართლი“-მ (საქ. № ცხ. ლეგ. საწვრთნელ-საჯინიბო) და 1600 მეტრზე „პარტახი“-მ (საქ.).

შემდეგი დოღი გაიმართება 1 ივნისს. გათამაშებული იქნება ამ.-კავკასიის დიდი ჯილდო. ჯილდოში ერთმანეთს შეეცილებიან სამწლიანი ცხენები.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 27 მაისი

დილით 8 ს.—30 წ. 9 ს. 30 წუთამდე ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება მუშათა შუადღე, რომელსაც აწყობს ს.პ.კ.ს. კულტგანყოფილება. პროგრამაში ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი 10 კილოვატიანი რადიო-სადგურის საშუალებით გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: პიონერთა და მოწაფეთა საათი, ქართულ ენაზე, რადიო გაზეთი, ქართულ ენაზე; გადაცემა სოფლისათვის: ლიტერატურული და მუსიკალური საათი, ლექცია „დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტი“ რადიოთი, ქართულ ენაზე; დროის შემოწმება; გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; გაზეთი „პროლეტარი“ რადიოთი, სომხურ ენაზე; კომკავშირული რადიო გაზეთი, რუსულ ენაზე; კონცერტი; რეკლამა, უკანასკნელი ცნობები.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ო. ჯინორია (სამტრედია)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) მ. შედანია დიდინეძი (ზუგ. მაზ)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

პარტია № 34 (გრიუნფელდის დაცვა)

გათამაშებულია „დინამოს“ და თბ. სახ. უნივერსიტეტის ამხანაგურ შეჯიბრებაში 25 აპრილს, 30 წ.

თეთრები: ვ. გოგლიძე, შავები: ვ. ნენაროკოვი.

1. d4, მf6 2. მf3, g6 3. c4, კg7 4. მc3, d5 (გრიუნფელდის სვლა) 5. e3! საუკეთესო სვლა! სუსტი იქნებოდა 5. cd, მ:d5 6. e4, მ:c3! 7. bc, c5! 8. კc4, cd 9. cd, მc6 რაც შავებისათვის უფრო ხელსაყრელია თეთრ პაიკების სისუსტის გამო) 5.., 0-0, 6. ლb3!, c6 7. კd2 (უკეთესი იყო c:d) e6! 8. კd3, მbd7 9. 0-0, მb6 10. მe5, მfd7 11. მ:d7, მ:d7 12. ეac1, f5 13. f4 (მუქარა იყო 13.., f4) 13.., მფh8 (საშიშ a2-g8 დიოგანალიდან თავის მოშორებით და ამასთანავე ეტლის g-ხაზზე გადაყვანის სამზადისით რომელიც გახსნის შემდეგ მნიშვნელოვანი საოპერაციო ხაზი იქნება) 14. მფh1, ეg8 15. ლa3, მf6 16. b4 (მეფის ფრთაზე წამოწოლილ შავების იერიშის საწინააღმდეგოთ, თეთრები აწარმოებენ შეტევას ლაზიერის ფრთაზე) მg4 17. h3, ლh4 18. მფg1 (მხედრით f2-ზე ქიშის საწინააღმდეგოთ) მh6 19. b5, კf8 20. ლb2!, g5 21. კe1, ლh5 22. მe2 (უკანასკნელ ორ სვლით თეთრებმა მოსპეს ყოველივე იერიში შავების, სიმძიმის ცენტრი ისევ გადადის ცენტრში და ლაზიერის ფრთაზე, სადაც თეთრების უპირატესობა ცხადია) g4 23. მg3! (არ ივარგებდა რასაკვირველია 23. h4 რასაც მოჰყვებოდა g3 24. კ:g3, ე:g3 25. მ:g3, ლ:h4 მუქარით მg4 ან 23. მ:g3, ე:g3 25. კ:g3, კe7 ყველა ეს ვარიანტები გვიჩვენებს რომ სვლას h4-ს თეთრებისათვის, მდგომარეობის უსიამოვნო გართულება მოსდევდა იმ დროს, როდესაც შავებისათვის იგი ხელსაყრელი იქნებოდა) 23.., ლe8 24. h4, კe7. 25. h5, კd7 (ამ მდგომარეობაში შავებს შეეძლოთ სვლით კh4 მოეგოთ პაიკი მაგრამ მათ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ამის შემდეგ მათ უფრო დაუსუსტდებოდათ ისედაც სუსტი შავი უჯრედები და მასთან h-ხაზი გაიღებოდა მხოლოდ თეთრების სასარგებლოდ. ამიტომ ისინი უარს ამბობენ პაიკის მოგებაზე) 26. მფf2, მf7 27. ეh1, კf6 28. a4, მd6 29. c5, მc4?! (საეჭვო სვლაა, რომელიც ნამეტნავათ ართულებს პარტიას მაგრამ ისევე თეთრების სასარგებლოთ) 30. ე:c4!? (ეს შეწირვა არ იყო აუცილებელი, გაცილებით უკეთესი იყო უბრალო 30. კ:c4 მაგ. d:c 31. კc3!, h6 (საუკეთესო სვლა) 32. d5!, კ:c3 33. ლ:c3+, მფh7 34. bc, bc 35. d6 თეთრებისათვის მოსაგებ პოზიციით).

30.., dc 31. კ:c4, ეf8 32. კc3, ლe7 33. h6, კe8! (მh5 საწინააღმდეგოთ) 34. e4!, ლc7! 35. e5, კf7, 36. b6, ლb8 (რასაკვირველია არ ივარგებდა ab 37. ab, ლb8 38. კb4-ს გამო და თეთრები იგებენ) 37. a5, ab 38. cb, კe7 39. ლb3, ლd8 40. მფe3 (უკეთესი იყო ეd1 შავების ყოველივე ცდების წინაღდგომით) 40.., c5! 41. მ:f5, კg6 42. მd6 (ყველა ამის შედეგათ შავებს წაგებული პოზიცია აქვთ, ამიტომ ისინი მიდიან ავანტიურაზე) 42.., ე:f4!? 43. მფ:f4, კh4! 44. მe4? (თავდაცვის სუსტი გეგმაა, რაც ცხადი იქნება შემდეგიდან. სწორი იყო 44. მფe3 მაგ. ლg5+ 45. მფe2, ეf8 46. ე:h4, ლ:h4 47. კe1 და შემდეგ ლg3 ან ლe3 იმისდამიხედვით როგორ ითამაშებენ შავები. ან 45.., კh5 46. g3! კ:g3 47. კd2, ლg6 48. კd3 და მოიგება) ლf8+ 45. მf6?? (უხეში შეცდომა, თეთრები ვერ ამჩნევენ რომ შავებს შეუძლიათ აიყვანონ პაიკი h6-ზე ქიშით, რის შემდეგ ისინი იძულებულნი გახდებოდნენ იარაღი დაეყარათ. მაგრამ შავებიც თავის მხრივ ვერ ამჩნევენ ამას და პარტია რამდენიმე სვლის შემდეგ უახლოვდება დასასრულს. საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ სვლა ლ:h6+ არ იყო შემჩნეული მოწინააღმდეგების მიერ პარტიის ბოლომდისაც კი) კ:f6?? 46. ef, ლ:f6+ 47. მფg3, cd 48. კd2, ლe5+ 49. კf4, ლ:a5 50. კ:e6 (ფინალისათვის სამზადისით შეიძლებოდა აგრეთვე 50. ეa1 თამაში მაგ. ლ:a1 51. კe5+, მფg8 52. კe6+, მფf8 53. ლd4+, მფe8 54. ლb5+ ჩქარი შამათით) ეf8 51. ლb4! შავები დანებდნენ. მიუხედავათ შეცდომებისა, პარტია თავის ყოველივე სტადიაში მეტად საინტერესოა. რამოდენიმეთ აფუჭებს მას უხეში შეცდომა დაშვებული ორივე მხარის მიერ მე-45 სვლაზე.

ოფიც. განყოფილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი
სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსის 67 მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 67 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„67. სასამართლოს უწყება და შეტყობინება გაიგზავნება ფოსტით დაკვეთილ პაკეტში უკან დასაბრუნებელი ბარათით ან სასამართლოს გზირის ხელით; უწყება და შეტყობინება შეიძლება აგრეთვე გადაცემულ იქნეს სათანადო სასოფლო საბჭოს მეშვეობით; როდესაც უწყების და შეტყობინების ჩაბარება ზემოაღნიშნული წესით საძნელოა, იგი, მოდავის თხოვნით და სასამართლოს ნებართვით, შეიძლება გადაეცეს თვით მოდავეს მეორე მხარისათვის ჩასაბარებლად“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
მ. ცხაკაია.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე**
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:
ს. თოდრია.
1930 წ. აპრილის 26

დადგენილება
საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი
მუშათა გამომგონებლობის საკითხების ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის შესახებ

მუშათა გამომგონებლობის საკითხების ხელმძღვანელობის საქმის გასაერთიანებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან გამოგონებათა რეალიზაციისათვის არსებულ ცენტრალურ ბიუროს გაუწიოს ხელმძღვანელობა მუშათა გამომგონებლობის საკითხებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საწარმოს ხაზით სარკინიგზო ტრანსპორტის გამოკლებით.

2. გამოგონებათა რეალიზაციის ცენტრალური ბიურო ინახება საწარმოთა მიერ სამისოდ გადადებული სახსარით, რომლის რაოდენობაც თვითეული საწარმოსათვის განისაზღვრება ამ საწარმოს ხელმძღვანელისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის შეთანხმებით.

3. ამა დადგენილების განხორციელებისათვის ინსტრუქციის გამოცემა და გამოგონებათა რეალიზაციის ცენტრალური ბიუროს შესანახად საჭირო სახსარის შემოსვლისა და დახარჯვის წესის დამყარება დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე.**
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქ. მმართვ. **პ. მეგრელიშვილი.**
1930 წ. აპრილის 26

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — მხატვრული ფილმი ლტოლვილი კუნძული
სპარტაკი ყოფ. არფასტო — პრემიერა ცხენოსნები დაიძრნენ
სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — პოლა ნეგრი პარამუნტ-ფილმის სურათში ეკლიანი მავთული
პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ. — კომედიების საღამო ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით. (ჩაპლინის შემოქმედების ევოლიუცია)
რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი) — კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერგნერი მხატვრულ სურათში მეჭიანურე ფლორენციიდან
დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ. — საუკეთესო ფილმი პარიზელი ქალი პროგრ. გარეშე ცნობილი მომღერლის სერაფიმა შუვალოვას გასტროლები ახალი პროგრამა.
მ ა ლ ე: „მოპირდაპირე ქარი“, „ბრძმედის გმირები“.

მალე!
ბრძმედის გმირები ●● კოშკები
მალე!

სოც. უზრუნ. სახკომატთან
არსებული
სრ. საქ. ყრუ-მუნჯთა შენაერთის
გამწმენდი კომისია

ამით აცხადებს, რომ 27 მაისს დაიწყება აღნიშნული საზოგადოების მუშა-მოსამსახურეთა წმენდა. გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც აქვს რაიმე მამხილებელი მასალა, როგორც თანამშრომლებზე, აგრეთვე გამგეობის მუშაობაზე მიაწოდონ ასეთები გამწმენდ კომისიის მდივანს ამხ. პ. მახარაძეს, სოც. უზ. სახკომატში დღის 2 საათიდან 4 საათამდე და წმენდის ადგილზე 6 საათიდან. წმენდა იწარმოებს ყ/მ. კლუბში პლეხანოვის პროსპ. № 55.

გამწმენდი კომისია.

თანახმად სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1923 წლ. 15 მარტის № 12 ცირკულიარისა, ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ.

კუზმა მიხეილის ძე ივანოვმა

თავისი სახელი გამოიცვალა ახალ სახელზე „მ ი ტ ა ლ ი“-ზე.

მმაჩის ბიუროს გამგე ხიამაშვილი.
საქმის მწარმოებელი კოვზირიძე.
2794

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 თებერვლის დადგენილების თანახმად, გზათა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში საპაიო საფუძვლებზე შექმნილია საწყობებისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმის საკავშირო გაერთიანება

(ს. ზ. 1930 წ., № 2 განყ. № 14, მ3. 152)

„სოიუზტრანს“-ი

გაერთიანებას გადაეცა მთელი აქტივითა და პასივით 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის გამოყვანილი ბალანსებით (რომლებშიაც შეტანილია შესწორებები გადაცემის დღემდე) ყველა საერთო სარგებლობის საწყობები, აგრეთვე საზ. „ტრანსპორტ“-ის, საზ. „ხოვტორგფლოტი“-ს, რკინის გზების, მდინარეებისა და საზღვაო ნაოსნობის სატრანსპორტო-საექსპედიციო და საავტომობილო-საჭაპანო მეურნეობანი (სადაც ასეთები არსებობენ).

ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში გაერთიანებას გადაეცა იგივე საწყობები და მეურნეობანი (ნავთსადგურის ქალაქებს გარდა) და სააქციო საზოგადოება „ზაკავტომპრომტორგ“-ი.

აღნიშნულ საწარმოთა ყველა საქმეებისა და ყველა სასაწყობო (საერთო სარგებლობის საწყობი) სატრანსპორტო-საექსპედიციო და საავტომობილო-საჭაპანო საკითხებსა და საქმეებზე უნდა მიმართოთ „სოიუზტრანს“-ის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორას, ქ. თბილისი, აღმასკომის ქ. № 1 და ადგილობრივ სარაიონო კანტორებს.

გაერთიანება „სოიუზტრანს“-ი ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში თავის მოქმედებას იწყებს 1930 წლის 1 ივნისს.

გაერთიანება „სოიუზტრანს“-ის საორგანიზაციო ბიუროს რწმუნებული ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. **ივანიშვილი.**

ნ. 789 2—2

საქართვ. წითელი ჯვრის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
საავადმყოფო და პოლიკლინიკა
კამოს ქ. № 54, სანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.
საავადმყოფოს განყოფილებები:
ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
სამეანო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. გ. ლამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის განყოფ. გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხათრიძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,
მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)
რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი გ. ნაზარაშვილი.
პ ო ლ ი კ ლ ი ნ ი კ ა:
ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
მედიც. დოქ. ნ. ვესელვზოროვი 2—3, ორშაბათი, ოთხშაბ., პარასკევი.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკიანი 3—5 საათამდე. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—4 საათამდე. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულიოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ.
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს.
უროლოგიურ კაბინეტში — დოცენტი ა. წულუკიძე 2—4 საათამდე,
ტუბერკულიოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ.
ყელი, ყური და ცხვირის კაბინ. 9—11 ექ. დ. ჯაფარიძე, 11—1 ექ. დ. თევზაძე. და 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი.
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ.
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ.
ექ. თოფურიძე ვენერიულ სნეულებ. 4—6 საათ.
ნერვიულ სნეულებ. კაბინეტ. მიიღებს პროფესორი ს. ყიფშიძე 3—4
„ პროფ. მ. წინამძღვარიშვილი 2—3 საათ. ორშაბათი. ოთხშაბათი და პარასკევი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინ. პროფ. ს. ყიფშიძე 2—3 ს. ყოველ დღე.
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე.
კუჭ-ნაწლავებთა დაავადებანი ექ. ი. მჭედლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო-თერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.
პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდებათ—ერთი მან.
0—35

„კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
ჩვენს გაზეთზე ხელისმოწერის მიღებას
სამტრედიაში და მის რაიონში
ივნისის თვისთვის აწარმოებს
ამხ. ვლ. გოგელია

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური
მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო-თერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა
შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.
კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ლამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. ექ. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე
ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.
საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.
ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. სებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი—7—8 საათ. პროფ. ნ. ასპისოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
ეროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. დოც. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.
ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.
ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება.
მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.
25—18 ნ. 733.

თბილისის ქალაქის
რკინის გზის ცენტრალური
სადგური
(წერეთლის ქ. № 3)
ა-წ. 15 მაისიდან აწარმოებს
რკინის გზის სამგზავრო ბილეთების
გაყიდვას ყოველ დღე
დილის 8 საათიდან 20 საათამდე, ხოლო მისი პირველი განყოფილება (ორჯონიკიძის ქ. № 93) და მესამე განყოფილება (ბამბის რიგი № 6) დილის 8 საათიდან 14 საათამდე.
2—1 ნ. 795

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— მუშკ. წიგნ. № 1833—ასია თატევოსიანცის სახელზე. 2796
— კავშ. წიგნ. № 260 და სამხ. წიგნ.—სიმონ გიორგის-ძე ჯაფარიძის სახელზე. 2795
— მეტრიკ. ამონაწ. № 58—ზაქარია ილიკოს-ძე სულხანიშვილის სახ. 2798
— ა.ლ.კ.კ. ბილეთი—ნიკოლოზ ჩანადირის სახელზე. 2801
— მუშკ. წიგნ. № 71661—თამარა გრიკუროვას სახელზე. 2801
— სამხ. სააღრ. წიგნ.—კაპიტონ მოსეს-ძე კალანდაძის სახელზე. 2789
— კოოპერ. წიგნ. - აკაკი ტაპიძის სახელზე. 2803
— რძის აბონემ.— ლავრენტაშვილის სახელზე. 2805
— მეტრიკ. ამონაწ. № 1220—მათე კაციტაძის სახელზე. 2806
— რკ. გზის ბილეთი № 0010886—არსენ კალატოზიშვილის სახ. 2809
—საავადმყოფოს ბიულეტენი № 163626—ივანე შატავიძის სახელზე. 2807
— პურის წიგნ. № 3581 (2-სულის)—ვლასა ბიჭიას-ძე ბარამიძის სახ. 2817
— კავშ. წიგნ. № 49342—აბესალომ აბჟანდაძის სახელზე. 2804
— მუშკ. წიგნ. № 14500—სიმნა ყვითელაშვილის სახელზე. 2813
— საწევრო წიგნ. „ზაკტპო“-ს № 38315—ევგენი გიორგის-ძე ბარამიძის სახელზე. 2814
— სააღრ. ბარათი, პურის წიგნ. და პირად. მოწმ.—პავლე შარვანის-ძე ცომაიას სახელზე. 2815
— კავშ. წიგნ. № 11428—ბაბო ჩახტაურის სახელზე. 2816

ღრმად დამწუხრებული მშობლები: გრიგოლი და მარიამი, ბებია ოლღა, ბიძები: ალიოშა, ნიკო და ირაკლი, მამიდები: ქეთევანი და ელიჩქა ჩიქოვანები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

პატარა ელეონორას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ზედახუნწში 27 მაისს. (ქ)

მაშო და აკაკი ქართსანიძეები ოთიკოთი და ლეილათი დასტირიან

პატარა ელეონორას

მისი მოულოდნელად გარდაცვალების გამო. (ქ)

ვარლამ რუხაძე, რომან ერისთავი, პროკოფი ღლონტი, დავ. ქვარიანი, იაგორ ჩიგოგიძე, გიგა ღლონტი, მიშა ნალბანდი, შალვა რუხაძე, სალომე სვანიძე, იროდიონ ბერია და იულია ფავლენიშვილი მწუხარებას გამოსთქვამენ თანამოსამსახურე გიგილო ჩიქოვანის ქალიშვილის

პატარა ელეონორას

უდროოდ გარდაცვალების გამო. 2790

გულმოკლული მშობლები ვიქტორ იოსების ძე და ელენე იოსების ასული მექანარიშვილები შვილით არჩილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 25 მაისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. გორის მე-3 შრომის სკოლის მოწაფე, მათი უსაყვარლესი და დაუვიწყარი შვილი და ძმა

ბ ი ძ ი ნ ა

გამოსვენება დღეს, 27 მაისს 4 საათზე, ქ. გორი, სტალინის ქ. № 9. 2792

ანა მექანარიშვილი შვილებით, სიძეებით, რძლით და შვილიშვილებით აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარ, საყვარელ შვილიშვილის

პატარა ბ ი ძ ო ს

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. გორში, დღეს, 27 მაისს. 2793

ეკატერინე დავითის ასული და ვასილ იოსების ძე გულისაშვილები შვილებით: ეთერი, გივი და მზიათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი და საყვარელი

ბიძიკო მექანარიშვილის

გარდაცვალებას.
გამოსვენება დღეს, 27 მაისს 4 საათზე, ქ. გორი, სტალინის ქ. № 9. 2791

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

ქ: ქუთაისი **თ. ვ. აკოფაშვილი** შინაგანი სნეულება—სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

ლოგოპედი **ა. ა. კაიშაური** ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. სალ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მ ი ღ ე ბ ა: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ძმაქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

გაუბედურებული მეუღლე გრიგოლ როჟდენის-ძე ბარამიძე თავისი შვილებით ულრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ, რომ სოფ. საგარეჯოში გარდაცვლილ

გოგუცი გიორგის ასულ ქავთარაძე-ბარამიძის

ცხედარი გადმოსვენებულ იქნება ქალ. თბილისში დღეს, 27 მაისს. გამოსვენება სადგურიდან იმავე დღეს 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 2—2 2765

გაუბედურებული მამა გიორგი ივანეს-ძე ქავთარაძე მეუღლე დარიკოთი, ძმა მიშა, დები შურა, თამარა და ვეროკო მეუღლით კოწია კველაძეთი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ

გოგუცი გიორგის ასულ ქავთარაძე-ბარამიძის

ცხედარი ჩამოსვენებული იქნება თბილისში დღეს, 27 მაისს, გამოსვენება სადგურიდან კუკიის სასაფლაოზე დღესვე 4 საათზე. 2767

დამწუხრებულნი დეიდები ფაქიზო, მინადორა და თამარა, ბიძები: ლავრენტი თოფურიძე და დიმიტრი ჯაკობია, დეიდაშვილები: თამარა და ხუტა თოფურიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გოგუცა გიორგის ასული ქავთარაძე-ბარამიძისა

დაკრძალვა დღეს, 27 მაისს, კუკიის სასაფლაოზე. 2799

თამარა და შალიკო ბარამიძენი შვილი ეთერით, აბიბო და ეგნატე კვაჭაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ს. საგარეჯოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

გოგუცი ქავთარაძე-ბარამიძე

ცხედარს გადმოასვენებენ ს. საგარეჯოდან დღეს, 27 მაისს. დაკრძალვა დღესვე ნაშუადღევის 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 2797

ვალერიან ივანეს-ძე ქავთარაძე მეუღლე დონიათი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ სოფ. საგარეჯოში გარდაცვლილ დაუვიწყარ ძმისშვილის

გოგუცი გიორგის ასული ქავთარაძე-ბარამიძის

ცხედარი გადმოსვენებული იქნება თბილისში, დღეს, 27 მაისს, გამოსვენება სადგურიდან დღესვე 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 2767

აკაკი და ქსენია შამათავები გულითადი მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ჩვენი დაუვიწყარი მეგობრის

გოგუცი ქავთარაძე-ბარამიძის

ცხედრის ჩამოსვენება საგარეჯოდან თბილისში მოხდება დღეს, 27 მაისს. გამოსვენება სადგურიდან 4 საათზე. 2810

გულმოკლული მეუღლე კატო, შვილები: ლადო, ინჟ. გრიგოლ და ექ. ნიკოლოზ, რძლები: თამარ, კატუშა და ზოსია, შვილიშვილები: თამარ, ნელი, თინა, მერაბ და გოგი, გაუბედურებული და მართა ჩიქოვანისა და ძმისწული ვალერიანე ულრმეს მადლობას უძღვნიან ყველა იმ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომელთაც გაინაწილეს მათი უზომო მწუხარება დაუფასებელი მამის და აღმზრდელის

გიორგი მერაბის ძე გეგეჭკორის

გარდაცვალების გამო, რომლის დასაფლავება მოხდა სოფ. მარტვილში შაბათს, 24 მაისს, მონასტრის გალავანში. 2802

სამუდამოთ გულმოკლულნი მშობლები: დედა მატრონე, მამა ივანე ხელაძეები შვილებით, დეიდა თამარა, ბიძა ვასილი ბუაძეები შვილებით, ბებია ტასია, ბიძა ნესტორი და ბიცოლა ოლია ზენაიშვილები იუწყებიან, რომ 25 მაისს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ცქრიალა

ქეთო ივანეს ასული ხელაძე

დაკრძალვა 28 მაისს, სოფ. ჯუნჯუათში. 2812

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეფროსინე, შვილები: ფოტინე, სტეფანე, გიორგი, სერგო, ანდრო და ვანდა, რძლები მარუსია და დარიკო აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 25 მაისს გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენთა დაუფასებელი მამა

კონსტანტინე (კოწია) ფირანის-ძე ნიკოლაიშვილი

დასაფლავება მოხდება სოფ. ნიგოითში, რომლის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (მ)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები ანა ჩხეიძისა, კოლია და ალიოშა ამაშუკელები, სიძე თომა, შვილისშვილები: ნინო, მარო, ლარა, დავით და მიშა ჩხეიძეები ოჯახობითურთ გულისტკივილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათი ძვირფასი და ტკბილი

რახიელ ნიკოლოზ კლდიაშვილის ას. ამაშუკელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ოთხშაბათს, 28 მაისს, სოფ. ლახუნდარაში, ყოფ. შორაპნის მაზ. 2808

დამწუხრებულნი მეუღლე პავლე შვილებით—ოლა, ნინა და ილო, რძალი მარუსა აივაზოვები, სიძე კოლია გვანცალაძე იუწყებიან, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

თებრო ზაქარიას ასული აივაზოვისა

დაკრძალვა დღეს, 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან, ტარიელის შესახვევი № 8. 2818

ტირაჟი—54.885
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904